F 171
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

7

СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1975

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VIII-75 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6,75,

შეკვ. № 731 უე—04801 ტირაჟი 5.000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств,
полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР,
ул. Уш. Чхеидзе № 19

ПРИКАЗ № 317

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

гор. Тбилиси от 16 апреля 1975 г.

Об утверждении отчета по Республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР за 1974 г.

Отметить, что общая сумма фактического расхода составила 10.517,0 тыс. руб. при плане в 10.495,0 тыс. руб. и кассовом расходе 10.404,0 тыс. рублей.

Из общей суммы, ассигнованной на 1-е января 1975 года не было освоено 113,0 тыс. руб., в основном в части ассигнований на питание воспитанников школ-интернатов в сумме 26,0 тыс. рублей и прочим расходам—40,0 тыс. рублей.

Неосвоение средств на питание является следствием надобра контингента воспитанников в школах-интернатах, в результате чего не был выполнен план детодней питания на 106.515 д/дней.

Наряду с этим отдельными учреждениямы были допущены перерасходы в сумме 60,0 тыс. руб. в т. ч. руководством Глданской № 1 школы-интерната—17,0 тыс. руб., по централизованным приобретениям оборудования—22,0 тыс. руб., ввиду необходимости выкупа грузовых автомашин, для учебных целей, что не было предусмотрено ассигнованиями и по выдаче пособий, направленных в школы республики молодым специалистам—16,0 тыс. руб.

Дебиторская задолженность составила на 1-ое января—113,0 тыс. руб., из них 27,0 тыс. руб. по приобретению тракторов у „ГРУЗСЕЛЬХОЗТЕХНИКИ", который на 1 января 1975 г. не обеспечил поставку таковых, что было осуществлено лишь в январе 1975 года.

В части ассигнований по госкапвложениям неосвоение в 1974 году состовило 427,0 тыс. руб., ввиду невыполнения подрядно-строительными организациями плана строительства детсадов и яслей и пришкольных интернатов, по которым план выполнен был лишь на 78,6% и 84,4% соответственно.

Все отчеты подведомственными организяциями были представлены в срок, а также сводный Министерству финансов Грузинской ССР.

В целях дальнейшего наведения строжайшей дисциплины в деле расходования государственных средств и обеспечения выполнения бюджета, во исполнение постановления Совета Министров Грузинской ССР от 17 марта 1975 г. № 176,

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Всем руководителям учреждений, подведомственных Министерству просвещения Грузинской ССР:

а) обеспечить полное освоение бюджетных ассигнований и выполнение всех предусмотренных планом мероприятий, не допуская каких-либо бюджетно-финансовых нарушений;

б) принять действенные меры к сохранности жестского и мягкого инвентаря, не допуская преждевременной его амортизации;

в) усилить охрану социалистической собственности устранить бесхозяйственность и условия, порождающие ее.

2. Планово-финансовому управлению:

а) при ассигновании средств на II кв. т. г. зачесть всю дебиторскую задолженность, числящуюся за учреждениями на 1 января 1975 года;

б) выполнение средств на капитальный ремонт зданий, подведомственным Мннистерству республиканских учреждений производить лишь после утверждения технической документации.

3. Вопрос о нарушениях финансово-бюджетной дисциплины по Глданской № 1 школе-интернату рассмотреть на на Коллегии после представления материалов контрольно-ревизионным отделом.

4. Проверку выполнения этого приказа возложить на Начальника контрольно-ревизионного отдела Макацария В. и главного бухгалтера тов. Карашвили Д.

Отчет за 1974 год по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

Основание: Постановление Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 3 апреля 1975 года.

Министр **Т. Лашкарашвили**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 23 აპრილის ბრძანება № 348

„ბელორუსიის პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებისა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1974 წ. 14 ოქტომბრის № 857 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ ქ. თბილისის ორჯონიკიძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების საღამოს საშუალო სკოლებში

გავეცანი რა ქ. თბილისის ორჯონიკიძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების საღამოს სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ამ რაიონების საღამოს საშუალო სკოლები გარკვეულ მუშაობას ატარებენ „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებისა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1974 წლის 14 ოქტომბრის № 857 ბრძანების შესასრულებლად.

შემოწმებული სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სათანადო მუშაობას ატარებენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ სახალხო განათლების დარგში დასახული ამოცანების განსახორციელებლად, სახალხო მეურნეობაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად, სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენების სალიკვიდაციოდ და სხვ. უნარიანი მუშაობით გამოირჩევა ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის № 28 საღამოს საშუალო სკოლის კოლექტივი (დირექტორი ე. ჩიჩუა): სკოლამ შეასრულა მოსწავლეთა სწავლებაში ჩაბმის გეგმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 312 მოსწავლისა, სწავლებაში ჩაბმულია 327 მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლე: განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მათ პედაგოგიურ-მეცნიერულ დახელოვნებას, მეთოდურ მუშაობას; წინა წლებთან შედარებით მოწესრიგდა მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრება, განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა. წესრიგშია მოყვანილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები; მოსწავლეთა კონტინგენტის მიზიდვისა და შენარჩუნების მიზნით კლასის ხელმძღვანელები სისტემატურ და მჭიდრო კავშირს ამყარებენ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებთან. ასე, მაგალითად, XI[1] და XI[2] კლასების მოსწავლეები, რომლებიც 1970—1971 სასწავლო წელს ჩაირიცხნენ —უცვლელი შემადგენლობით ამთავრებენ საშუალო სკოლას (კლასების ხელმძღვანელები ლ. გოჩიტაშვილი და მ. მატვეევა). ამავე სკოლის დირექცია დიდ მუშაობას ატარებს მოსწავლეთა კოლექტივის შეკავშირებისათვის. დიდი ყურადღება ექცევა სწავლების ხარისხის ამაღლებას—მოსწავლეთა ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია. ასევე კარგად მუშაობენ ქ. თბილისის № 5 (დირექტორი გ. რუსიშვილი), ყვარლის რაიონის ენისელის (დირექტორი დ. ჯაჯანიძე) საღამოს საშუალო სკოლები და სალხინოს საშუალო სკოლასთან არსებული საღამოს კლასები (დირექტორი ვ. ბასილაია).

შემოწმებულ სკოლებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი მონდომებითა და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება სწავლა-აღზრდის საქმეს, მაღალ იდეურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, დაუფლებულია საღამოს სკოლაში მუშაობის მეთოდებს, გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის. სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებასა და და ტექნიკურ საშუალებებს, რის შედეგადაც ბევრი მაგალითი აღწევს იმას, რომ მოსწავლეებს კლასშივე შეასწავლონ ახალი მასალა, ასეთებია: ქ. თბილისის № 4, № 28, ყვარლის, ახალსოფლის საღამოს სკოლებისა და გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონისა და ბალდის საშუალო სკოლებთან არსებული საღამოს კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: მ. თელია, ლ. გოჩიტაშვილი, ზ. ჭიბოშვილი, მ. ბეროძე, ლ. დიმიტრაშვილი, პ. გოროზია, ნ. სილაგაძე, თბილისის № 5, № 28, საღამოს სკოლების რუსული ენის მასწავლებლები: ე. ლაზარიდი, გ. მატვეევა, ე. კალაძე, ვ. მალაშხია, შ. გორგაძე, თბილისის № 5, № 28 საღამოს სკოლების ქიმია-ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები: ბ. მჭედლიძე, მ. ითრდანოვა, კ. ცხიტავა, ლ. კარანაძე, ნ. ონიანი, მ. ღვინა, ყვარლის საღამოს საშუალო სკოლის, გეგეჭკორისა და სალხინოს სკოლებთან არსებული საღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოს კლასების ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლები: ქ. ფარესიშვილი, გ. ცაავა და ა. ახალაია, ენისელისა და ახალსოფლის საღამოს საშუალო სკოლებისა და სალხინოს საშუალო სკოლასთან არსებული საღამოს კლასების ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლები ქ. ტაღიშვილი, თ. ჭელიძე, ნ. კიკალიშვილი და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთი საღამოს სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს: სკოლების, წლიური სამუშაო გეგმები ზოგადი ხასიათისაა, გეგმები არ დგება პედაგოგიური კოლექტივების შემოქმედებითი განსჯისა და ძიების გზით, აკლია კონკრეტულობა, არ ჩანს სკოლების მუშაობის ავ-კარგი, საღამოს სკოლების მუშაობის სპეციფიკა. ანალოგიური მდგომარეობაა კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებშიც, უმეტეს შემთხვევაში გეგმები მოუფიქრებლად დგება, არაა გათვალისწინებული სკოლისა და წარმოების ურთიერთობა, მოსწავლეთა მიმართ გასატარებელი ღონისძიებანი; ხშირად კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები ერთმანეთის ასლია (ყვარლის რაიონის გავაზის, საბუეს, ახალსოფლის, გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს საღამოს სკოლები, ბანძისა და ბალდის დღის სკოლებთან არსებული საღამო კლასები).

პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე ნაკლებად იხილება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, სკოლისა და წარმოებადაწესებულებების ურთიერთობის, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის, მოსწავლეთა წარმატების, ქცევისა და სხვა საკითხები: ყვარლის რაიონის საბუეს საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს კლასებში სასწავლო წლის პირველ ნახევარში პედაგოგიური საბჭოს სხდომა ჩატარებულია ორჯერ, ხოლო სასწავლო წლის მეორე ნახევრის პედსაბჭოს სამუშაო გეგმა დღემდე არაა შედგენილი.

სკოლების ერთ ნაწილში საკლასო ჟურნალებს დაუდევრად აწარმოებენ, ადგილი აქვს ნიშნების გადასწორებას შემთხვევებს, არასწორად ხდება გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვა, დამუშავებული მასალა ჟურნალში არ შეაქვთ და სხვ. მოსწავლეთა სემესტრული ნიშნები არ იწერება მიმდინარე ნიშნების საფუძველზე (გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს, ყვარლის რაიონის ახალსოფლის, შილდისა და გავაზის საღამოს საშუალო სკოლები, ბალდის, ტალერის, დიდიჭყონის, სალხინოსა და საბუეს დღის სკოლებთან არსებული საღამოს კლასები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარლის რაიონის სოფლის სკოლების უმრავლესობაში მოუწესრიგებელია მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, ზოგ მოსწავლეთა პირად საქმეებში არ ინახება განათლებისა და დაბადების მოწმობები, მუშაობის შესახებ ცნობები და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა გეგეჭკორის რაიონის დღის სკოლებთან არსებულ საღამოს კლასებშიც. ყვარლის რაიონის ახალსოფლის საღამოს საშუალო სკოლის 87 მოსწავლიდან მხოლოდ რვას აქვს სამუშაო ადგილიდან ცნობები.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში დარღვეულია მოსწავლეთა მიღების წესები, გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის, ბანძისა და ბალდის დღის სკოლებთან არსებულ საღამოს კლასებში ზოგიერთი მოსწავლე მსაღები გამოცდებით, განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშეა მიღებული, მარტო ყვარლის რაიონის შილდის საღამოს სკოლის VI კლასში 10 მოსწავლეა ჩარიცხული მისაღები გამოცდებით, გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს საღამოს სკოლასა და დიდიჭყონის, ტალერისა და ბანძის დღის სკოლებთან არსებულ კლასებში მოუწესრიგებელია მოწმობა-ატესტატების მიღება-გაცემის წიგნების წარმოება.

სკოლების ერთ ნაწილში არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრება, მაგალითად, შემოწმების დღეს შილდის საღამოს საშუალო სკოლაში 108 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა 45 მოსწავლე (42%), ჭიკაანის სკოლაში 83 მოსწავლიდან 40 მოსწავლე (49%), ახალშენის სკოლაში 89 მოსწავლიდან 49 (55%), ანალოგიური მდგომარეობაა ბევრ სხვა სკოლაშიც.

რიგ სკოლებში ნაკლები მუშაობა წარმოებს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან. მაგალითად, შილდის საღამოს სკოლაში 103-დან 31 მოსწავლე ვერ ასწრებს, 16 მეორეწლიანი მოსწავლიდან კი 6 კვლავ ჩამორჩება, საბუეს საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს კლასებში 58 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 11 მოსწავლე.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს საღამოს საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ლ. დანელია). მასწავლებელი სუსტად იცნობს პროგრამულ მასალას, უჭირს საღამოს სკოლაში მუშაობა. დაბალ დონეზე დგას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება აგრეთვე გეგეჭკორისა (ნ. ახალაია, შ. რუხაია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყვარლის რაიონის საბუეს (ა. აბრამიშვილი) საშუალო სკოლებთან არსებულ საღამოს კლასებში. მასწავლებელ ა. აბრამიშვილს საპროგრამო მასალის გავლაში 20 საათი ჩამორჩენა აქვს. ამ სკოლის მასწავლებლებს ა. აბრამიშვილს, ლ. აგულაშვილსა და თ. გოცირიძეს სასწავლო წლის მანძილზე არც ერთი საკონტროლო წერა არ ჩაუტარებიათ.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება რუსული ენის სწავლება ლეხაინდრაოს საღამოს სკოლაში. მასწავლებელი ვ. დანელია სუსტად ფლობს რუსულ ენას, სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, საუბრისას უშვებს ენობრივი ხასიათის შეცდომებს და დაბალ დონეზე ატარებს საკონტროლო წერებს. ანალოგიური მდგომარეობაა დიდიჭყონის საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს კლასებშიც (მასწავლებელი ტ. სალუქვაძე). უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებულ საქმეს გავაზის საღამოს სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ა. რევაზიშვილი, შილდის საღამოს სკოლის რუსული ენის მასწავლებელი თ. ბეგიჯანოვი და საბუის საშუალო სკოლის საღამოს კლასების მასწავლებელი ე. თურქაძე, ისინი არ ატარებენ საკონტროლო წერებს, არ წერენ მიმდინარე შეფასების ნიშნებს, რის შედეგად სემესტრული ნიშნები გამოჰყავთ არასწორად.

სუსტად მუშაობს გეგეჭკორის საშუალო სკოლასთან არსებული საღამოს კლასების მათემატიკის მასწავლებელი მ. ღურჭუმელია, მას, მუშაობის ხანგრძლივი შეწყვეტის გამო, უჭირს მუშაობა და საჭიროებს მეთოდურ დახმარებას. მუშაობაში შეცდომებს უშვებს აგრეთვე დიდიჭყონის საშუალო სკოლის საღამოს კლასების მათემატიკის მასწავლებელი ნ. ერქვანია. ანალოგიური მდგომარეობაა ყვარლის რაიონის საღამოს ზოგიერთ სკოლაში, რის შედეგადაც არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნის დონე.

დაბალ დონეზე ისწავლება ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობა გავაზის საღამოს სკოლაში (მასწ. გ. რევაზიშვილი), იგი სუსტად ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, ვერ ერკვევა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების არსში. მოსწავლეთა ცოდნის დონეც არადამაკმაყოფილებელია.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ბიოლოგიის სწავლება გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს საღამოს საშუალო სკოლაში (მასწ. ლ. სანაია). მოსწავლეებმა სუსტად იციან ძუძუმწოვართა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და აგებულების თავისებურებანი.

ზეპირსიტყვიერად ისწავლება ქიმია ბანძისა და ბალდის საშ. სკოლებთან არსებულ საღამოს კლასებში (მასწ. ვ. ქაჯაია და თ. დ[illegible]ნელია). სათანადო ყურადღება არ ექცევა საშინაო დავალების შემოწმებას, არ ხდება ახალი მასალის ძირითადად გაკვეთილებზე შესწავლა. მოსწავლეები აქტიურად არ არიან ჩაბმულნი გაკვეთილის მსვლელობაში.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 43 საღამოს საშუალო სკოლის მუშაობა: სკოლის წლიური სამუშაო გეგმა უსუსურადაა შედგენილი და ვერ ასახავს სკოლის მუშაობის ძირითად საკითხებს. პედაგოგიური საბჭოს ოქმები გაფორმებულია უწიგნურად, დაშვებულია მრავალი ორთოგრაფიული და სტილისტური ხასიათის შეცდომა, მიღებული დადგენილებები არაფრისმთქმელია. კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები არ პასუხობს დანიშნულებას, მათი უმრავლესობა არ ითვალისწინებს აღმზრდელობითი ხასიათის საკითხებს, არ არის ნაჩვენები კავშირი წარმოება-დაწესებულებებთან. არც ერთ კლასის ხელმძღვანელს არ აქვს ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა, ისინი სკოლის მოსწავლეებთან არავითარ აღმზრდელობით მუშაობას არ აწარმოებენ, რის გამო, ხშირია შემთხვევა მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებზე გამოუცხადებლობისა. ასე, მაგალითად, შემოწმების დღეს 142 მოსწავლის ნაცვლად გაკვეთილებს ესწრებოდა 42 მოსწავლე (30 %), 28 თებერვალს —32 (23%), ხოლო 5 მარტს—45 მოსწავლე (31%).

სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა. მაგალითად, 20 თებერვალს მასწავლებელთა გამოუცხადებლობის გამო პირველი გაკვეთილი არ ჩატარებულა 4 კლასში, მეორე გაკვეთილი კი—3 კლასში. ხშირია მასწავლებელთა დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევა. ასევე დაგვიანებით ცხადდება სკოლაში დირექტორი მაშინაც კი, როცა მას ცხრილით პირველი გაკვეთილი აქვს. რუსული ენის მასწავლებლის შ. გურაბანიძის თვითნებობა იქამდე მივიდა, რომ როცა მას შემმოწმებელმა გაკვეთილის გეგმა მოსთხოვა, გავიდა სამასწავლებლოდან, მიატოვა სკოლა და იმ დღეს არც ერთი გაკვეთილი არ ჩაუტარებია.

კლასის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება საკლასო ჟურნალების წარმოებას, ჟურნალებში ყოველთვის არ შეაქვს დამუშავებული მასალა. მასწავლებელთა დიდი ნაწილი მოუმზადებელი ცხადდება გაკვეთილებზე.

სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრებისა და ცოდნის მიმდინარე შეფასების აღრიცხვას. მაგალითად, IX² კლასში რუსულ ლიტერატურაში 6-დან 27 თებერვლამდე მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრება არ არის აღრიცხული და არც მიმდინარე შეფასების ნიშნებია დაწერილი. ხშირია შემთხვევები, როცა მიმდინარე ნიშნების გაუთვალისწინებლად არის დაწერილი სემესტრული შეფასებანი; ზოგჯერ ნიშნები ამოფხეკილი და გადასწორებულია.

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვისას სკოლის დირექტორის, ლ. თევზაძის მიერ დაშვებულია უხეში დარღვევები: VIII კლასში 7 მოსწავლე ჩარიცხულია განათლების ცნობის გარეშე.

მეთოდურად არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი— X კლასში, კვირეული 23 საათის ნაცვლად, ცხრილით 23,5 საათია გათვალისწინებული. სკოლაში დღემდე არ არის შედგენილი საკონტროლო წერების გრაფიკი, რის გამო საკონტროლო წერებს ჩატარებას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

საღამოს სკოლის დირექტორი ლ. თევზაძე და დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ე. ჩადუნელი სუსტად ხელმძღვანელობენ და სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებენ მასწავლებელთა მუშაობაზე, არ იჩენენ მომთხოვნელობას.

აღნიშნული ნაკლოვანებანი არსებითად იმით არის გამოწვეული, რომ რაიონების განათლების განყოფილებები და პედაგოგიური კაბინეტები სუსტად ხელმძღვანელობენ საღამოს სკოლების მუშაობას; სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა შერჩევის საქმეს, ივიწყებენ ზმას, რომ საღამოს სკოლების მუშაობის თავისებურებათა გამო, მათში სწავლების საქმე უნდა მიენდოთ სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე პედაგოგებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის ორჯონიკაძის სახელობის, ყვარლისა და გეგეჭკორის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (რ. სურგულაძე, დ. ლაფაჩიშვილი, შ. ცანავა):

ა) „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტ-

რალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საღამოს სკოლების მუშაკების, როგორც იდეოლოგიური კადრების, სწორად შერჩევასა და მათი მუშაობის გარდაქმნას, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას;

ბ) გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი საღამოს სკოლების მუშაობაზე, სისტემატურად შეისწავლონ მათი საქმიანობა, შედეგები განიხილონ განათლების საბჭოების სხდომებზე და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საღამოს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, შექმნან ისეთი პირობები, რომ საღამოს ყველა სკოლას ჰქონდეს სასწავლო კაბინეტებით სარგებლობის საშუალება, ამ მიზნით მკაცრად გააფრთხილონ დღის სკოლების დირექტორები, რომ ამ სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით შეუფერხებლად სარგებლობდნენ საღამოს სკოლები;

დ) მტკიცე კავშირი დაამყარონ საწარმოებსა და დაწესებულებებთან, საღამოს სკოლებთან ერთად გადაჭრით გაუმჯობესონ ახალგაზრდობაში საყოველთაო-საშუალო განათლების პროპაგანდა. იბრძოლონ მომუშავე ახალგაზრდების სწავლების გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სხვა დარგობრივი სამინისტროების ერთობლივი ბრძანებების შესასრულებლად და უზრუნველყონ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული 16—29 წლის იმ ახალგაზრდების მთლიანად ჩაბმა სწავლებაში, რომელთაც არ აქვთ 8 წლიანი და საშუალო განათლება;

ე) მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საღამოს სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა კადრების განმტკიცებას; საღამოს სკოლების მუშაობის თავისებურებათა გამო, იქ სწავლების საქმე მიანდონ სათანადო მომზადებისა და გამოცდილების მქონე პედაგოგებს;

ვ) საფუძვლიანად შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლების საქმიანობა და ისინი, ვინც ვერ უზრუნველყოფენ საგნის ნორმალურად სწავლებას, სათანადო წესის დაცვით, სასწავლო წლის ბოლოს გაათავისუფლონ სამუშაოდან.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, აამაღლონ მათ მიმართ მომთხოვნელობა და ყოველი მასწავლებლის პერსონალური პასუხისმგებლობა საგნის სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის; აღკვეთონ ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში;

ბ) აქტიურად იარძოლონ იდეურ-პოლიტიკური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფისათვის, სწავლების პროცესი მჭიდროდ დაუკავშირონ მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდას, ჩაუნერგონ მათ საჭოთა პატრიოტიზმისა და მაღალი მოქალაქეობრივობის ძეგნეა;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოებისა და მეთოდური გაერთიანებების მუშაობა. საბჭოების სხდომებზე სისტემატურად მიისმინონ ოფიციალურად გაანალიზებული ცალკეული სასწავლო დისციპლინის სწავლების მდგომარეობა და მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმების შედეგები. პრაქტიკაში შემოიღონ საღამოს სკოლების მასწავლებელთათვის სასკოლათაშორისო და რაიონული მეთოდგაერთიანების შექმნა, მუდამ იზრუნონ მასწავლებელთა ცოდნის დონის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის;

დ) სისტემატურად დაესწრონ გაკვეთილებს და დასწრების შედეგად მისცეს მასწავლებლებს საქმიანი მითითებები;

ე) ყოველდღიური ურთიერთობა იქონიონ წარმოება-დაწესებულებებთან და მიაღწიონ მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის ამაღლებას მომუშავე ახალგაზრდების სწავლებაში მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი. ქმედითი ღონისძიებები გაატარონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის სალიკვიდაციოდ;

ვ) მტკიცედ დაიცვან საღამოს სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესები და არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა გარიცხვის შემთხვევები პედაგოგიური საბჭოს დადგენილების გარეშე, რომელსაც, როგორც წესი, უნდა ესწრებოდეს იმ საწარმოს წარმომადგენელი, სადაც მოსწავლე მუშაობს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ი. ყველა საჭირო ღონისძიება გაატარონ სწავლების პროცესში თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოსაყენებლად. ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ დღის სკოლების კაბინეტ ლაბორატორიები. დაბრკოლების შემთხვევაში საკითხი დააყენონ განათლების განყოფილებათა წინაშე.

3. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და საგნის სწავლებაში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის გამოეცხადოთ საყვედური: ყვარლის რაიონის სოფ. საბუეს საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ა. აბრამიშვილს, სოფ. გავაზის საღამოს საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს ა. რევაზიშვილს და ისტორიის მასწავლებელს გ. რევაზიშვილს.

4. სკოლის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, მოსწავლეთა დაბალი მომზადების, სკოლიდან მოსწავლეთა განთესვისა და მიღების წესების დარღვევისათვის გამოეცხადოთ საყვედური ყვარლის რაიონის შილდის, გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს საღამოს სკოლების დირექტორებს ს. გიოშვილს, ა. ნაჭყებიასა და გეგეჭკორის რაიონის ბანძის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორსს. ესიავას.

5. საგნის სწავლებაში დაშავებული შეცდომებისათვის გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს საღამოს საშუალო სკოლისა და დიდიჭყონის საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს კლასების რუსული ენისა და მათემატიკის მასწავლებლებს ვ. დანელიას, ტ. სალუქვაძესა და ნ. ერქვანიას მიეთითოთ.

6. საღამოს სკოლების მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ გეგეჭკორის რაიონის ბალდისს ტალერისა და ყვარლის რაიონის ჭიკაანის საშუალო სკოლების დირექტორებს: ს. ციკოლიას, ს. ნანავას და ი. ასაბაშვილს.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ თბილისის № 43 საღამოს საშუალო სკოლის მუშაობის საკითხი განიხილა ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ და სკოლაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით გაატარა საჭირო ღონისძიება — სკოლის დირექტორი ლ. თევზაძე სუსტი მუშაობისათვის გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. ხოლო დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ე. ჩადუნელს გამ ეცხადა სასტიკი საყვედური.

8. საღამოს სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ა/წ 10 აპრილის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 4055

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 25 აპრილის ბრძანება № 356

1974 წლის IV და 1975 წლის I კვარტალში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის შესახებ

ადგილზე ჩატარებული შემოწმებითა და განათლების სამინისტროში შემოსული მასალებით ირკვევა, რომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ერთ ნაწილში საკმაო ყურადღება ექცევა სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების საქმეს. დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული კვების პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების საქმე ქ. თბილისის კ. ლესელიძის სახელობის სპეციალიზებულ, ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ, ქ. რუსთავის, კასპის, სოხუმის № 2, ბათუმის № 2, ჩაისუბნის საშუალო და თბილისის 8-წლიან სკოლა-ინტერნატებში, ჩოხატაურის, მახინჯაურის, ეწრის, რუსთავის საბავშვო სახლებსა და სამტრედიის სკოლა-ინტერნატში.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები, რაც განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით; ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში სავაჭრო ორგანიზაციები სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს ამარაგებენ ძვირადღირებული პროდუქტებით, რაც შეუძლებელს ხდის ნორმით დადგენილი ასორტიმენტის პროდუქტებით ამ დაწესებულებათა მომარაგების საქმეს, აძკირებს კვების ღირებულებას და, არც თუ იშვიათად, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო

სახლებს. მიმდინარე წლის მარტის თვეში შერჩევით შემოწმებულ იქნა კვების პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების უზრუნველყოფის საქმე სალხინოსა და წალენჯიხის სკოლა-სანატორიუმებში, რუსთავის საშუალო, საგურამოს, თბილისის, ლაჯანურის 8-წლიან, ქ. თბილისის უსინათლო, სმენადაქვეითებულ და მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში, თბილისის № 1 და რუსთავის საბავშვო სახლებში. შემოწმების შედეგად ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ინტერნატულ დაწესებულებათა დიდი ნაწილი კვლავინდებურად მარაგდება ძვირადღირებული კვების პროდუქტებით, მაგალითად, მიმდინარე წლის თებერვალში რუსთავის სკოლა-ინტერნატში (რუსთავის სასადილოების ტრესტი) შემოიტანეს 1 კგ—3 მან. და 40 კაპ. ღირებულების ყველი, 1 მან. და 50 კაპ. ღირებულების ორცხობილა, 13 კაპიკის ღირებულების კვერცხი, ნაცვლად 9 კაპიკისა; მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (მიმაგრებულია 26 კომისრის სახ. რაიკვებვაჭრობის № 43 მაღაზიაზე) სისტემატურად ღებულობენ 1 მან. და 80 კაპ. ღირებულების I კატეგორიის ხორცს, ნაცვლად II კატეგორიისა (1 კგ—1 მან. და 10 კაპ.), 13 კაპიკიან კვერცხს, უმაღლესი ხარისხის ვერმიშელს, მაკარონს, ჩაის, ნატურალური რძის ნაცვლად ძვირადღირებულ შედედებულ რძეს. ანალოგიური მდგომარეობაა სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (მიმაგრებულია ორჯონიკიძის სახ. რაიკვებვაჭრობის № 35 მაღაზიაზე).

აღსაზრდელთა კვებას სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში აუარესებს ის გარემოებაც, რომ სავაჭრო ორგანიზაციები სისტემატურად არ აწვდიან ასორტიმენტით გათვალისწინებულ პროდუქტებს. მაგალითად, 1974 წლის IV კვარტალში სავაჭრო ორგანიზაციებმა არ მიაწოდეს არც ერთი კგ ლობიო—ბათუმის № 1, ჩაისუბნის, ხულოს, ახალციხის № 1 და № 2, ბოგდანოვკის, ატენის, ზუგდიდის, ყვარლის, ლანჩხუთის, კიცხის, თეთრიწყაროს, მესტიის, ქობულეთის სკოლა-ინტერნატებს, რუსთავის, კოჯრის № 1, № 2, № 3, ეწრის, თელავის № 1 და სურამის საბავშვო სახლებს, თევზი—ხულოს, ცხინვალის, ლენინგორის. ახალდაბის, ბოგდანოვკის, სალხინოს, თეთრი წყაროს, ლაჯანურისა და გორდის სკოლა-ინტერნატებს, თბილისის № 2, კოჯრის № 1, № 2, № 3 და ეწრის საბავშვო სახლებს; ახალი რძე—ინგირის, თიანეთის, მესტიის სკოლა-ინტერნატებს; კვერცხი—ხულოს, ლენინგორის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და მეს-

ტიის სკოლა-ინტერნატებს. ზემოდასახელებულ დაწესებულებებში ანალოგიური მდგომარეობა იყო 1974 წლის I და II კვარტალშიც.

გეგმით გათვალისწინებულ ნორმებთან შედარებით, სავაჭრო ორგანიზაციებმა დიდი რაოდენობით დააკლეს საკვები პროდუქტები მთელ რიგ სკოლა-ინტერნატებს (იხილეთ დანართი).

როგორც დანართში მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ინტერნატული დაწესებულებების სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში განსაკუთრებით შეინიშნება ლობიოს, თევზეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ახალი ხილის, ახალი რძის, ყველისა და კვერცხის ნაკლებობა. სრულებით არ მარაგდებიან სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები ისეთი აუცილებელი სუპროდუქტებით, როგორიცაა ღვიძლი, თირკმელი, ცური და სხვა.

სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისათვის პროდუქტების დიდი დანაკლისით მიწოდება მკვეთრად აუარესებს კერძების ხარისხსა და აძნელებს მისი გამოანალფეროვნების შესაძლებლობას, რის გამოც აღსაზრდელები ხშირად უარს ამბობენ ერთფეროვანი კერძების მიღებაზე, ამიტომ ვერ ღებულობენ ნორმით გათვალისწინებულ კალორიებს, რაც საბოლოო ანგარიშით უარყოფითად მოქმედებს აღსაზრდელთა ზრდა-განვითარებაზე, მათ ჯანმრთელობაზე, სწავლების ხარისხზე. არც თუ იშვიათად კერძების დაბალი ხარისხი, მათი ერთფეროვნება სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მომუშავე მზარეულთა დაბალი კვალიფიკაციითაც არის გამოწვეული. მაგალითად, ლაჯანურის სკოლა-ინტერნატში 1-დან 10 მარტის ჩათვლით, თითქმის ყოველდღიურად, აღსაზრდელებს სადილად ეძლეოდათ სუპი და სოუსი, ერთფეროვანი იყო საუზმე და ვახშამიც. ეს მაშინ, როდესაც არსებული პროდუქტებით თავისუფლად შეიძლებოდა მრავალფეროვანი კერძების დამზადება. დაბალი კვალიფიკაციის მზარეულები მუშაობენ აგრეთვე საგურამოს 8-წლიან, თბილისის სმენადაქვეითებულ, თბილისის მხედველობადაქვეითებულ და სხვა სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში.

ინტერნატულ დაწესებულებათა მნიშვნელოვან ნაწილში დირექტორები, მათი მოადგილეები, ექიმები და მზარეულები ჯერ კიდევ მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მენიუს შედგენას, ყოველდღიურად არ გამოყავთ მზა კერძების გამოსავლიანობა, კალორიულობა, არ ანგარიშობენ თითოეული აღსაზრდელის ყოველდღიური ულუფის ღირებულებას. მაგალითად, თბილისის მხედველობადაქვეი-

თეულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში ცალ-ცალკე. ბრ იანგარიშება საუზმის, II საუზმის, სადილისა და ვახშმის კალორიულობა. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატშიც. თბილისისა და რუსთავის საბავშვო სახლებში (თბილისის პირველი მაისის განათლების განყოფილების ცენტრალიზე ული ბუღალტერია) ყოველდღიურად არ ანგარიშობენ თითოეული აღსაზრდელის კვების ღირებულებას. მხოლოდ თვეში ერთხელ ხდება იმის დაჯამება, თუ რა თანხა იხარჯება თითოეული აღსაზრდელის კვებისათვის, რაც ყოველად დაუშვებელია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს აღსაზრდელებზე გასაცემი პროდუქტების მითვისებას; მიმდინარე წლის 24 მარტს საგურამოს სკოლა-ინტერნატის კვების ბლოკის მოულოდნელი შემოწმების დროს შეფ-მზარეულს, ა. მოძღვრიშვილს მენიუგანაცხადში აღსაზრდელთა რაოდენობა—15 (რომელიც ფაქტიურ მდგომარეობას შეეფერებოდა) 25-ად გადაესწორებინა. მენიუზე არ აღმოჩნდა დირექტორის, ექიმის, მზარეულისა და საწყობის გამგის ხელმოწერა. სამზარეულოში ზედმეტი აღმოჩნდა შაქრის ფხვნილი—275 გ, კარაქი—200 გ, მაკარონი—1 კგ, ხორცი—3,5 კგ, კომპოტი—1 კგ, ორცხობილა—225 გ, პური—5 კგ. და სხვა. ამასთან, კვების ბლოკში უსუფთაობაც იყო. ყოველივე ეს ხდებოდა მორიგე აღმზრდელის, თ. კინწურაშვილის თვალწინ.

პროდუქტების საწყობში აღწერის შედეგად საწყობის გამგე გ. გარაშვილს საბუღალტრო ჩანაწერებთან შედარებით აღმოაჩნდა 2.555 გ. შაქრის ფხვნილის, 8, 7 კგ პურის ფქვილის, 8, 6 კგ მუხუდოს, 7,4 კგ. ბრინჯის, 2,7 კგ კისელის, 17 კგ პურის, 4,7 კამფეტის და სხვა პროდუქტების მეტობა (სულ 29 მანეთი და 55 კაპ.); 9,4 კგ ტომატის, 3,8 კგ ბურღულის 2 5 კგ ზეთის, 1,50 კგ. კომპოტის (17 მან. და 05 კაპ.) დანაკლისი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებს:

ა) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით გადამჭრელი ზომები მიიღონ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მომარაგების საქმეში არსებული შეფერხებების აღმოსაფხვრელად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა კვებისათვის გათვალისწინებული სახსრებისა და სასურსათო პროდუქტების ფონდების სრულად ათვისებას. სისტემატური კონტროლი დააწესონ სამზარეულოს მუშაობაზე, ზუსტად განსაზღვრონ თითოეული კერძის გამოსავლიანობა, კალორაჟი, მიაღწიონ იმას, რომ აღსაზრდელები ღებულობდნენ დღიური ნორმით გათვალისწინებულ ულუფას; ამასთან, პრაქტიკაში დანერგონ 10 დღიანი საორიენტაციო მენიუს შედგენა;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ კვების ბლოკებში სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის; უზრუნველყონ ისინი გამდინარე ცხელი წყლითა და საჭირო ტექნიკური მოწყობილობით, ინვენტარითა და ჭურჭლეულობით;

დ) აღსაზრდელთა კვების გამრავალფეროვნების, ახალი ხილითა და ბოსტნეულით უკეთ უზრუნველყოფის მიზნით რადიკალურად გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებთან არსებული დამხმარე მეურნეობების მუშაობა.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატების საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) გამოავლინონ და მკაცრად დასაჯონ ის პირები, რომელთა მიზეზით ხელი ეშლება სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა ნორმალურად კვების საქმეს.

3. დაევალოს ქ. თბილისის 1-ლი მაისისა და რუსთავის განათლების განყოფილებათა გამგეებს (ამხ. ამხ. ნ. ჯორბენაძე, ნ. გველესიანი) მიიღონ ზომები, რათა თბილისს № 1 და რუსთავის საბავშვო სახლებში ყოველდღიურად გამოყავდეთ თითოეულ აღსაზრდელზე დახარჯული თანხის ოდენობა.

4. საგურამოს სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ე. ბოლქვაძეს სასურსათო პროდუქტების მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების საქმეში არსებული უხეში დარღვევებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

5. დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილი, უპასუხისმგებელი და მკიდეულელისათვის, რის შედეგად სკოლა-ინტერნატის სამეურნეოში დაძველებულ იქნა ეზეში დარღვევები, მოიგე ალმზრდელს თ. კიკვურაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

6. მცხეთის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე თ. აბესაძე):

ა) გადამჭრელი ზომები მიიღოს საგურამოს სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა კვების და საყოფაცხოვრებო პირობების რადიკალურად გაუმჯობესებისათვის;

ბ) ძიძდინარე სასწავლო წლის ბოლომდე საგურამოს სკოლა-ინტერნატში შეისწავლოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ჩაატაროს დოკუმენტალური რევიზია და შედეგების შესახებ მოახსენოს განათლების სამინისტროს;

გ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე გადაახალისოს სამეურნეო მუშაკთა შემადგენლობა და სასაწყობო მეურნეობასა და საძოვრეულობში ძატეობიალურად პასუხისმგებელ თანამდებობებზე შეაოჩინოს და დახმარეს ყოველმხრივ მემეურნეული მუშაკები;

დ) აღსაზრდელთა კვების საქმეში სიყალბის ჩადენისათვის, სახელდობო, მენიუ-ძოთხოვნილების გადასწორებისათვის, რომაც გაიაპიოლა პოდუქტთა მეტობა და მისი ძოვნების შესაძლებლობა, ძეფ-მზარეული ა. მიძღვრიშვილი გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან სათანადო წესის დაცვით;

ე) პოდუქტების საწყობის გამგე გ. გარაშვილი საწყობში გამოვლენებული პოდუქტების მეტ-ხაკლებობისთვის სათანადო წესის დაცვით გათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა (ამხ. მ. მეგრელიშვილი) და ცეკავშირის გამგეობას (ამხ. კ. შავიშვილი) მიიღონ საჭირო ზომები, ოთა ადგილობრივმა სავაჭრო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის კვების პროდუქტებით შეუფერხებლად მომარაგება.

8. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაძეკილი):

ა) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის შესაბამის სამმართველოებთან ერთად სისტემატურად შეამოწმოს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-

ინტერნატების სასურსათო საქონლით მომარაგებისა და აღზრდელთა კვების მდგომარეობა;

ბ) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 3 აპრილის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ № 1

განთიადის სკოლა-ინტერნატს ბურღული—216 კგ., ახალი ხილი—3671 კგ, თევზი—453 კგ. ყველი—458 კგ, კვერცხი—4535 ც., ბათუმის № 1-ს—ლობიო—454 კგ, კარტოფილი—687 კგ, ბოსტნეული—1026 კგ; ახალი ხილი—2862 კგ, თევზი—778 კგ, კვერცხი—3031 ც., მახუნცეთის სკოლა-ინტერნატს—ლობიო—168 კგ, ბოსტნეული—2735 კგ, ყველი—327 კგ, თევზი—680 კგ, მცენარეული ზეთი—124 კგ, ხულოს—ბოსტნეული—1964 კგ, ყველი — 251 კგ, ცხინვალის სკოლა-ინტერნატს ლობიო—462 კგ, კარტოფილი—3859 კგ, ხორცი—1280 კგ, მცენარეული ზეთი—201 კგ, ჯავის—ლობიო—351 კგ, კამფეტი—283 კგ, თევზი—1067 კგ, ყველი—693 კგ, კვერცხი—91740ც., ლენინგორის სკოლა-ინტერნატს—ლობიო—265 კგ, კარტოფილი—3791 კგ, ბოსტნეული—1789 კგ, ახალი რძე—2120 კგ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურს—ახალი ხილი—1901 კგ. ყველი—180 კგ, თევზი—831 კგ, კვერცხი—3882 ც., ახალციხის № 1—თევზი—959 კგ. ყველი—554 კგ, კვერცხი—7.000 ც., მცენარეული ზეთი—200 კგ, ახალციხის № 2—ბოსტნეული—1800 კგ, თევზი—322 კგ. კვერცხი—5727 ც., ახალდაბის სანატორიუმს—ბოსტნეული—5400 კგ, თევზი—1000 კგ, კვერცხი—16000 ც., ბოგდასოვკის——ბოსტნეული—1700 კგ., ყველი—300 კგ. კვერცხი—5580 ც., სალხინოს სანატორიულ სკოლა-ინტერნატს კარტოფილი — 2000 კგ ბოსტნეული—1270 კგ, ახალი რძე—3200 კგ, თევზი—730 კგ, ატენის—კარტოფილი 3000 კგ, ბოსტნეული—3.000 კგ, ახალი ხილი—3186 კგ, თევზი—900 კგ, ყველი—320 კგ., კაჭრეთის—ბოსტნეული—1700 კგ, თევზი—760 კგ, მცენარეული ზეთი—115 კგ, ბარისახოს—ლობიო—410 კგ, ახალი ხილი—1500 კგ, ბოსტნეული—1883 კგ, თევზი—1030 კგ, ყველი—264 კგ, კვერცხი—10300 ც., ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის—კარტოფილი—1752 კგ, ბოსტნეული—1700 კგ, ახალი ხილი—2800 კგ, თევზი—736 კგ, ახალი რძე—3300 კგ, ყველი—43 კგ, ინგირის—ახალი ხილი 3000 კგ, ახალი რძე—4174 კგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვერცხი—7000 ც., ლაგოდეხის—ახალი რძე—713 კგ. ყველი—119 კგ. კვერცხი—3311 ც., ლობიო—150 კგ. ბოსტნეული—1682 კგ. კარტოფილი—1051 კგ. თევზი—365 კგ. ახალი ხილი—1000 კგ. მახარაძის—ლობიო—216 კგ. ახალი ხილი—1714 კგ. კამფეტი—190 კგ. თევზი—550 კგ. ყველი—329 კგ. კვერცხი—7290 ც., მესტიის—მაკარონი—ვერმიშელი—475 კგ. კარტოფილი—1700 კგ. ბოსტნეული—1900 კგ. ახალი ხილი—370 კგ. ხორცი—160 კგ. თევზი—532 კგ. ახალი რძე—2140 ლ., ყველი—320 კგ. რუსთავის—მაკარონი—ვერმიშელი—184 კგ. კარტოფალი—1172 კგ. ბოსტნეული—464 კგ. ახალი ხილი—1385 კგ. თევზი—375 კგ. ყველი—183 კგ. მცენარეული ზეთი—52 კგ. კვერცხი—2739 კგ. კოჯრის № 3—მაკარონი—ვერმიშელი—226 კგ. ბოსტნეული—455 კგ. ახალი ხილი—782 კგ. ნამცხვარი—100 კგ. კამფეტი—73 კგ. ყველი—188 კგ. კვერცხი—3713 ც., კარდენახის—ხორბლის ფქვილი—119 კგ. მაკარონი—ვერმიშელი—133 კგ. კარტოფილი—927 კგ. ახალი ხილი—705 კგ. ნამცხვარი—70 კგ. ხორცი 336 კგ. თევზი—201 კგ. ახალი რძე—930 კგ. ყველი—130 კგ. კვერცხი—1523 ც. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა კოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ 4 მაისის ბრძანება № 362

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტურობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო ინსტიტუტს (დირექტორი გ. საყვარელიძე) გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული საქართველოს კპ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 თებერვლის № 17 დადგენილების—„სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის ეფექტურობის გაზრდისა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა სახალხო მეურნეობაში გამოყენების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“ და, აგრეთვე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1974 წლის 26 ივლისის 7/7 დადგენილების—„საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობის ეფექტურობის შემოწმების შედეგების შესახებ“ შესასრულებლად.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, წარმართავს რა თავის მუშაობას სახალხო განათლების წინაშე მდგარი ახალი ამოცანების შესაბამისად, თავის სექტორებსა და ლაბორატორიებში ამუშავებს 100-ზე მეტ პრობლემას, მათ შორის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა სწავლების თეორია და მეთოდიკა, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა, 6-წლიან ბავშვთა სწავლების ორგანიზაცია და შინაარსი, პროფორიენტაციის საკითხები, მოზრდილთა განათლება, ასაკობრივი ფსიქოლოგია, ფიზიკური აღზრდა და სხვ.

ყველა სასწავლო პროგრამა სკოლებისათვის, გარდა უნიფიცირებულისა, ძირითადად მუშავდება ინსტიტუტის სექტორებსა და ლაბორატორიებში, დამზადებულია დიდაქტიკური მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა საყურადღებო მონოგრაფიები (ო. დოლაბერიძის, მ. თაბორიძის, ზ. შერეზადაშვილის, ა. ხინთიბიძის, შ. შათირიშვილის, ა. ფარჯანაძისა და სხვ.). ინსტიტუტი ყოველწლიურად უშვებს შრომების კრებულს 30 ფორმის მოცულობით.

ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია აწარმოებს მნიშვნელოვან ექსპერიმენტულ მუშაობას 6-წლიან ბავშვთა სწავლების შინაარსისა და მეთოდიკის საკითხებზე.

სკოლებთან კავშირისა და მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების მიზნით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ინსტიტუტში დანერგილია გამსვლელი სამეცნიერო კონფერენციებისა და სესიების ჩატარების პრაქტიკა, მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებს დასწრებული და დაუსწრებელი ასპირანტურის გზით სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში. ის წარმოადგენს რესპუბლიკური პედაგოგიკურ-სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის ცენტრს.

ამასთან ერთად, ინსტიტუტს მუშაობაში აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი:

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, წვრილთემიანობა და მრავალთემიანობა ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. არ არის პრაქტიკაში დანერგილი პრობლემების კომპლექსური დამუშავება ფსიქოლოგების, ფიზიოლოგების, სოციოლოგებისა და ანთროპოლოგების მონაწილეობით. სუსტია ინსტიტუტის სექტორებისა და ლაბორატორიების კავშირი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებსა და ლაბორატორიებთან და დახელოვნების ინსტიტუტის კათედრებთან და მეთოდკაბინეტებთან. ადგილი აქვს წარმოსადგენი სამეცნიერო-კვლევითი თემების დაგვიანებით გადავადების შემთხვევებს—1974 წელს გეგმიური 98 თემიდან 10 თემის წარმოდგენა გადავადებულ იქნა წლის ბოლოს, 30 დეკემბერს ჩატარებულ საბჭოს სხდომაზე. არადამაკმაყოფილებელია შესრულებული თემების რეცენზიების ხარისხი, მათი დიდი ნაწილი შესრულებულია ზედაპირულად, არსებითი შენიშვნებისა და პრინციპული დასკვნების გარეშე, არ არის დანერგილი სხვა სამეცნიერო-დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ შესრულებული თემების რეცენზირების პრაქტიკა. შესრულებული თემების აბსოლუტური უმრავლესობა არ იხილება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. დღემდე ვერ მოხერხდა ამ შრომების გადაცემა ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკისათვის,

ეროვნული

რის გამოც ისინი მიუწვდომელია რესპუბლიკის სახალხო განათ-
ლების მუშაკთათვის.

ნაკლები ყურადღება ექცევა ინსტიტუტში შესრულებული კვლევით მიღებული შედეგების პუბლიკაციას საკავშირო პედაგოგიურ პრესაში.

ადგილი აქვს ასპირანტების მიერ საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების ვადების დარღვევას. არ ხდება ასპირანტთა მომზადება ისეთ აქტუალურ სპეციალობებში, როგორიცაა: შრომითი, სამხედრო, პატრიოტული, სამართლებრივი, ათეისტური აღზრდა და სხვ.

ინსტიტუტში ადგილი აქვს მეცნიერი მუშაკების მიერ სამუშაო რეჟიმის დარღვევას: სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებას და სამუშაო დღეების გაცდენას.

ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლებად მუშაობენ დირექტორის ამხ. საყვარელიძის, მისი მოადგილის შ. ამონაშვილისა და ზოგიერთი სხვა მუშაკის ალბ ნ თესავები, რაც კანონით აკრძალულია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. გ. საყვარელიძე) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებანი ინსტიტუტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სახელდობრ:

—დანერგოს პრაქტიკაში საკვლევი პრობლემების კომპლექსური დამუშავება: ფსიქოლოგების, სოციოლოგების, ფიზიოლოგებისა და ანთროპოლოგების მონაწილეობით;

—გააძლიეროს კავშირი ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებთან და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან;

—გაზარდოს მეცნიერ მუშაკთა პასუხისმგებლობა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე;

—გააუმჯობესოს რეცენზირების ხარისხი, რისთვისაც ფართოდ გამოიყენოს შესრულებულ სამუშაოთა სარეცენზიოდ სხვა ინსტიტუტებსა და შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებზე გადაცემის პრაქტიკა;

—არ დაუშვას გეგმიური შრომების დაგვიანებით გადავადების შემთხვევები;

—განიხილოს ყველა შესრულებული შრომა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე და განყოფილებათა სხდომებზე;

არ დაუშვას ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის გარეშე მეცნიერ მუშაკის მიღების არც ერთი შემთხვევა; სისტემატურად, დებულების მტკიცე დაცვით მოაწყოს ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ატესტაცია-კონკურსი;

—დააწესოს მკაცრი კონტროლი მეცნიერ-მუშაკთა შრომები პუბლიკაციაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კვლევის შედეგების საკავშირო პედაგოგიურ პრესაში გამოქვეყნებას.

1976 წლის იანვარში წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილობითი ანგარიში აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე;

—წარუდგინოს ყოველწლიურად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას წინადადებანი და მოსაზრებანი სკოლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში წინა წელს დასრულებული სამეცნიერო გამოკვლევების ცხოვრებაში დანერგვის შესახებ;

—ინსტიტუტს დირექტორმა ამხ. გ. საყვარელიძემ გადასინჯოს ინსტიტუტის პირადი შემადგენლობა და, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ერთი თვის ვადაში გაათავისუფლოს სამუშაოდან ის მუშაკები, რომლებიც ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან და უშუალოდ ექვემდებარებიან ან კონტროლს უწევენ ერთიმეორეს;

—ყოველმხრივ განამტკიცოს ინსტიტუტში შრომის დისციპლინა, დაუყოვნებლივ აღკვეთოს მეცნიერ მუშაკთა და თანამშრომელთა მიერ არასაპატიო მიზეზით სამუშაო დღის გაცდენის შემთხვევები და სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება.

2. ი. გოგებაშვილის სახ. ბიბლიოთეკამ (დირექტორი ამხ. ვ. გოგოლაძე), ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად, ა/წლის 15 მაისამდე წარმოადგინოს წინადადება ინსტიტუტში შესრულებული ყველა შრომის ბიბლიოთეკისათვის გადაცემის საკითხის მოსაგვარებლად.

3. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. კ. მაჭარაშვილს.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 4 მაისის ბრძანება № 363

გეგეჭკორისა და სამტრედიის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, გაშვილებისა და მეურვეობა-მზრუნველობის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 24 აპრილის № 336 ბრძანების შესრულების შესახებ

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ გეგეჭკორისა და სამტრედიის რაიონების განათლების განყოფილებებმა (გამგეები შ. ცანავა, კ. ძნელაძე), 1974 წლის 24 აპრილის ბრძანების შესაბამისად, ძირითადად გარდაქმნეს მუშაობა, რის შედეგად აღნიშნულ რაიონებში გაძლიერდა განათლების ორგანოებისა და მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა ბედისადმი, მათი ქონების მოვლა-პატრონობისადმი. დასახელებულ პუნქტებსა და სასწავლო დაწესებულებებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამ ბავშვთა აღრიცხვის საქმეც. შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებებს შემოღებული აქვთ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის სპეციალური ჟურნალები. თითოეულ მათგანზე გახსნილია პირადი საქმე და, რაც მთავარია, რეგულარულად მოწმდება ამ ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობები და საჭიროების შემთხვევაში განათლების განყოფილებები ღებულობენ სათანადო ზომებს ბავშვების დასახმარებლად. მიზნობრივად არის გამოყენებული პატრონირებული ბავშვების დასახმარებლად ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები.

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, მეურვეობა-მზრუნველობისა და სწავლა-აღზრდის საქმეში აღსანიშნავი: სამტრედიის რაიონის ეწრის საბავშვო სახლისა და ამავე რაიონის სპეცსკოლის დირექტორების (ნ. შაველაძე და ს. გოგუაძე)

კარგი მუშაობა. კარგად მუშაობს სამტრედიის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ზ. ხუჭუა. იგი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. გაშვილების, პატრონირებისა და მეურვეობა-მზრუნველობის დაწესების დროს ხელმძღვანელობს არსებული კანონმდებლობითა და მოქმედი ინსტრუქციით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რაიონებისა და ქალაქების სასწავლო დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ადგილებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმეს და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გაშვილების, პატრონირებისა და მათზე მეურვეობა-მზრუნველობის დაწესებას;

ბ) სისტემატურად შეისწავლონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები, საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ქმედითი ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

გ) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გადამწყვეტი ზომები მიიღონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა ქონების აღრიცხვის, მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის; გაუმჯობესონ პატრონირებისა და სამეურვეო მუშაობა;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 24 აპრილის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 6 მაისის ბრძანება № 384

თბილისის სახალხო განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ

როგორც საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მიერ თბილისის განათლების განყოფილების მუშაობის შემოწმებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ქ. თბილისის სკოლების შესახებ არსებული მასალებიდან ირკვევა, ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება ახალგაზრდობის თეორიული ცოდნით შეიარაღებისა და იდეურ-ზნეობრივი აღზრდის, სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თბილისის განათლების განყოფილების მუშაობაში შეიმჩნევა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი, რამაც შეაფერხა ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის ისტორიული დადგენილების „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“ ცხოვრებაში განხორციელება. კერძოდ, თბილისის განათლების განყოფილება ვერ ახორციელებს ეფექტურ ხელმძღვანელობას სასწავლო დაწესებულებებისადმი; მოისუსტებს კონტროლი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი; ქმედითი ღონისძიებანი არ ტარდება ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესასრულებლად, მოუგვარებელია მოსწავლეთა აღრიცხვის საქმე; თვით განათლების განყოფილებას არ გააჩნია ზუსტი ცნობები, რის გამოც, მისი მონაცემებით, ქ. თბილისში 47 მოსწავლე ითვლებოდა განთესილად, ნამდვილად კი აღმოჩნდა 383. მათი გარკვეული ნაწილი აკადემიურად ჩამორჩენილი და მეორეწლიანი მოსწავლეებია (1973—1974 სასწავ-

ლო წელს თბილისის სკოლებიდან განითესა 92 მეორეწლიანი მოსწავლე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილებამ ვერ უზრუნველყო, რომ პირველ კლასში მიღებული ყველა მოსწავლე დროულად ამთავრებდეს რვა კლასს. ასე, მაგალითად: 1965 და 1966 წლებში I კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთაგან 8 კლასი ვერ დაამთავრა დროულად 1500-მა. მათი დიდი ნაწილი იგივე კლასში იქნა დატოვებული, ნაწილმა კი სწავლა მიატოვა.

ქ. თბილისის სკოლებში, განათლების განყოფილების უკონტროლობის შედეგად, ადგილი აქვს მოსწავლეთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის შემთხვევებს, რის შედეგადაც მიმდინარე სასწავლო წელს დამატებით გაიხსნა ფინანსური კლასები. გასული სასწავლო წლის I მეოთხედში მოსწავლეთა ფაქტიური რაოდენობა წარმოდგენილ მონაცემებზე 25000-ით ნაკლები იყო, რამაც დამატებითი გაუმართლებელი ხარჯები გამოიწვია.

დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა; თუ 1972—1973 სასწავლო წელს გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობამ 373443 გაკვეთილი შეადგინა, 1973—1974 სასწავლო წელს 375.223 საათამდე გაიზარდა,

ამ მხრივ უფრო უარესი მდგომარეობაა საღამოს (ცვლის) სკოლებში: მარტო ერთ დღეს—1974 წლის 4 მარტს გაკვეთილებს არ დაესწრო 1629 მოსწავლე, გაცდა 6.516 აკადემიური საათი, ხოლო, საერთოდ, 1973—1974 სასწავლო წლის განმავლობაში ქ. თბილისის საღამოს (ცვლიანი) სკოლების მოსწავლეებმა გააცდინეს 375198 აკადემიური საათი.

ცუდად არის დაყენებული საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობით დაკომპლექტების საქმე, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე სასწავლო წლისათვის ქ. თბილისის საღამოს სკოლებში გეგმით ჩაბმული უნდა ყოფილიყო 8557 მოსწავლე, ჩაბმულ იქნა 7829, გეგმა შესრულდა 94,4%-ით. მაშინ, როცა ქ. თბილისში აღრიცხულია 6766 16—29 წლის ასაკის მომუშავე ახალგაზრდა, რომელსაც არა აქვს რვაწლიანი განათლება და არც სწავლობს.

კვლავინდებურად დიდია საღამოს (ცვლიანი) სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა: 1973—1974 სასწავლო წელს სკოლებიდან განითესა 934 მოსწავლე, მათ შორის არასაპატიო მიზეზით —110, აკადემიური მოსწრება შეადგენს 91,5%-ს. უკანასკნელი 2

წლის განმავლობაში კი სწავლებას ჩამოშორდა 3000-ზე მეტი ახალგაზრდა (საერთო რაოდენობის 25%).

განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელთა უკონტროლობის პირდაპირი შედეგია არასრულწლოვანთა შორის ჯერ კიდევ არსებულ დანაშაულებათა შემთხვევები.

თბილისის საქალაქო და რაიონული განათლებიხ განყოფილებების მიერ მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადებისათვის არასაკმარისმა ზრუნვამ, ჰუმანიტარული საგნების როლის შეუფასებლობამ, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ზოგ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაქვეითებას.

ქალაქის ბევრ სკოლაში მოსწავლეთა შორის იდეურ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარეობს ზერელედ, ფორმალურად. რიგი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სუსტად იყენებენ ამ საქმეში პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს; მოსწავლეებში შრომისადმი, საზოგადოებრივი საქმიანობისადმი სიყვარულს.

აღმზრდელობითი მუშაობისადმი ასეთი მიდგომის შედეგია თბილისის 24-ე და 23-ე საშუალო სკოლებში მომხდარი ფაქტები.

ამჟამად გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი თარიღის შესახვედრად, როგორიცაა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავი. სკოლებში ეწყობა სპეციალური სტენდები, გამოფენები; იმართება შეხვედრები სამამულო ომის მონაწილეებთან და სხვ. მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, ამ ღონისძიებებს არ აქვს თანმიმდევრული ხასიათი. თბილისის სკოლების ერთ ნაწილს ამ მიმართებით არაფერი გაუკეთებია.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სასწავლო პროცესის წარმართვის საქმეში; არ წარმოებს ინდივიდუალური მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, არ იყენებენ სწავლების მრავალფეროვან ხერხებსა და მეთოდებს; ქმედითი ღონისძიებანი არ ტარდება სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასასვლელად. თბილისის ლენინისა და ორჯონიკიძის რაიონების შემოწმებული თერთმეტი რუსული სკოლიდან არც ერთში არ აღმოჩნდა რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები აშკარად გამოჩნდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგად. ქალაქის ბევრი სკოლა (მე-5, მე-10, მე-17, 22-ე, 24-ე, 29-ე, 56-ე, 57-ე, 62-ე, 63-ე, 64-ე, 124-ე, 129-ე, 134-ე) სამ-ოთხჯერ მოხვდა მინისტრის ბრძანებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

თბილისის სკოლების გარკვეულ ნაწილს ერთგვარი წარმატებები გააჩნია მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფორიენტაციის საქმეში, ჯერ კიდევ არაორგანიზებულად ტარდება შრომის გაკვეთილები, სუსტია აღმზრდელობითი ეფექტი, არ სრულდება შრომითი სწავლების პროგრამები და სხვ.

ნაკლოვანებებია ფაკულტატიური მეცადინეობის ორგანიზაციაში, ბევრგან იგი შემოღებულია არა მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებისა და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების, არამედ მასწავლებელთა დატვირთვის გაზრდის მიზნით. ამასთან, არ ითვალისწინებენ პედაგოგების თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, არსებულ სასწავლო-მატერიალურ ბაზას.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სკოლების სან-ჰიგიენური მდგომარეობისა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის მხრივ. არ არის მოწესრიგებული გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთა კვება. ცხელ საჭმელს მხოლოდ ისინი ღებულობენ, ვინც განთავისუფლებულია კვების გადასახადისაგან, დანარჩენნი კი თავიანთი სურვილის მიხედვით იკვებებიან. ასე მაგალითად, თბილისის 144-ე საშუალო სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფის 120 მოსწავლიდან ცხელ საჭმელს მხოლოდ 20 მოსწავლე ღებულობს; თბილისის 39-ე საშუალო სკოლის 40 მოსწავლიდან—10. გარდა ამისა, კერძები უხარისხო და უგემურია, ისინი ძალზე ერთფეროვანია.

ახალგაზრდობის სწავლებისა და იდეური ფორმირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა პედაგოგიური კადრების სწორად შერჩევა-განაწილება, მასწავლებელთა, აღმზრდელთა და განათლების ორგანოების მუშაკთა პროფესიული დონის ამაღლება. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რაიონის განათლების განყოფილებებსა და განსაკუთრებით სკოლებში. მაგალითად, თბილისის 1-ლი მაისის რაიონის განათლების განყოფილებაში ორი ფრანგული ენის

სპეციალისტია, რომელთაგან ერთ-ერთი სკოლამდელი აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობს. ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებაში გამგე ბიოლოგია, ინსპექტორები კი რუსული ენისა და ლიტერატურის, გეოგრაფიისა და დაწყებითი განათლების სპეციალისტებია. ბუსებრივია, განყოფილება ვერ განახორციელებს ქმედით კონტროლს მათემატიკური და სხვა ძირითადი დისციპლინების სწავლებისადმი.

უარესი მდგომარეობაა სკოლების ხელმძღვანელი კადრებით დაკომპლექტების საქმეში. მაგალითად, თბილისის 199 დღისა და საღამოს (ცვლიანი) სკოლიდან 114-ში სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები ერთიდაიგივე ან მონათესავე საგნების სპეციალისტები არიან, ხოლო 118-ში არ არის არც მათემატიკოსი, არც ფიზიკოსი. უფრო მეტი, ზოგი სკოლის დირექცია (მე-9, მე-20, 27-ე, 44-ე, 45-ე, 116-ე და სხვ.) ერთიდაიგივე საგნის სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. როგორც განათლების განყოფილებათა აპარატში, ისე სკოლების ხელმძღვანელთა შორის ვხვდებით არაპედაგოგიური დარგის სპეციალისტებს — ფილოსოფოსს, ფსიქოლოგს, იურისტსა და ინჟინერსაც კი. აღნიშნულის შედეგად ცხადი ხდება თბილისის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი კონტროლისა და ხელმძღვანელობის დაბალი დონისა და აქედან გამომდინარე შედეგების მიზეზები.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, თბილისის სკოლებში სასწავლო საათების განაწილების არსებული მდგომარეობაც:

მიუხედავად იმისა, რომ მცირე რაოდენობის საათებზე (10-ზე ნაკლები) პედაგოგის დანიშვნა ხდება გამონაკლის შემთხვევაში, ისიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, თბილისში 1300 მასწავლებელს აქვს 10 საათამდე დატვირთვა აღნიშნული შეთანხმების გარეშე და, ეს მაშინ, როცა მასწავლებელთა დიდ ნაწილს განაკვეთებზე, ხოლო 452 პედაგოგს 24 საათზე მეტი აქვს.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი მიგვითითებენ, რომ თბილისის საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს ჯერ კიდევ არა აქვთ შემუშავებული არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ერთიანი, თანმიმდევრული სისტემა,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისისა და მისი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შეიმუშაონ ღონისძიებათა კომპლექსი სკკპ 24-ე ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების განუხრელად შესასრულებლად;

ბ) იქონიონ ზუსტი ცნობები სწავლებას ჩამოშორებულ მოსწაკლეთა შესახებ და გაატარონ გადამჭრელი ღონისძიებანი მათ სწავლებაში ჩასაბმელად;

გ) მიიღონ ზომები 16—29 წლის ასაკის მომუშავე ახალგაზრდების საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ სკოლებში სწავლებაში ჩასაბმელად;

დ) უზრუნველყონ მოსწავლეთა რაოდენობისა და ფინანსური კლასების შესახებ წარმოსადგენი ცნობების სიზუსტე;

ე) ყველა ზომა მიიღონ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენისა და აკადემიური ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად;

ვ) იქონიონ მასწავლებელთა კადრების ზუსტი აღრიცხვა, არ დაუშვან დარღვევები მასწავლებელთა დანიშვნა-გადაყვანისა და დატვირთვის საქმეში;

ზ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი სკოლების ხელმძღვანელობის განსატკიცებლად; სკოლის დირექტორებად და მათ მოადგილეებად შეარჩიონ გამოცდილი და უნარიანი მუშაკები;

თ) ფართოდ დანერგონ მოწინავე გამოცდილების განზოგადება, უზრუნველყონ მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გეგმაზომიერი გადამზადება;

ი) ხელი შეუწყონ მასწავლებელთა ატესტაციის წარმატებით ჩატარებას;

კ) მიიღონ ზომები სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზების შემდგომ განსამტკიცებლად, სასკოლო ბიბლიოთეკების, ბუფეტების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თბილისის საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებათა გამგეებმა: ამხ. ამხ. თ. ეგაძემ, თ. ტატიშვილმა, ნ. ჯორბენაძემ, კ. სუჯაშვილმა, ე. ძველაძემ, რ. სურგულაძემ, დ. კალანდაძემ ანგარიში ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა შესახებ წარმოადგინონ მიმდინარე წლის ბოლოს.

3. 1975—1976 სასწავლო წლის მეორე მეოთხედში შემოწმდეს თბილისის საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებების მიერ სკკპ 24-ე ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარე ამოცანების შესრულებისათვის ჩატარებული მუშაობის მიმდინარეობა.

4. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს სკოლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკს) და კადრების განყოფილებას (ამხ. ი. კვაჭაძეს).

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 19 მაისის ბრძანება № 404

ჩოხატაურის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ჩოხატაურის რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ დასახელებული რაიონის ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სწორად წარმართვის მიმართულებით, ასევე მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და ეზო-გარემოს მოწესრიგების მხრივ.

ჩოხატაურის ბავა-ბაღსა და № 1 და ბუკისციხის საბავშვო ბაღებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. მათი გამგეები ე. ცინცაძე, ლ. შარაშიძე, რ. ჩანტლაძე სათანადო ინტერესს იჩენენ რომ ბავშვებს სწავლა-აღზრდისა და ცხოვრებისათვის შესაფერისი გარემო-პირობები შეექმნათ.

აღზრდელთა გარკვეული ნაწილი დაუფლებულია „აღზრდის პროგრამას“ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. მათ შორის გამოირჩევიან ლ. ჭყონია, თ. კალანდაძე, ე. ცინცაძე, ლ. რევიშვილი, კ. ჯაველიძე (№ 1 საბავშვო ბაღი, ბავა-ბაღი). ეს აღმზრდელები სისტემატურად ადგენენ სამუშაო გეგმებს, გულმოდგინელ ემზადებიან მეცადინეობისათვის და უნარიანად იყენებენ სათანადო მეთოდებსა და ხერხებს.

მაგრამ, რიგ საბავშვო ბაღებში, განსაკუთრებით სოფელში, ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. ზოგიერთი აღმზრდელი სათანადოდ არ ემზადება მეცადინეობისათვის, მუშაობის პროცესში არ იყენებს თვალსაჩინოებას (ხევის, შუაგანახლების საბავშვო ბაღები).

ნაკლოვანებები შეინიშნება აგრეთვე ბავშვთა სახვით საქმიანობაში (ხიდისთავის საბავშვო ბაღი, აღმზრდელი მ. კალანდაძე).

შუაგანახლების, ხევის, ხიდისთავის, № 2 ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღის აღმზრდელებს თვლა- ანგარიშში მეცადინეობისათვის არა აქვთ უვალსაჩინო მასალა.

აღმზრდელების ლ. მეგრელიშვილის, ქ. მინდაძის, ნ. სანიკიძის, კ. კავილაძის, თ. ჯიბლაძის, ც. სიხარულიძის მიერ წარმოებული მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვა მოკლებულია კონკრეტულობას, არ ექცევა ყურადღება ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს.

შემოწმებული რაიონის ზოგიერთ საბავშვო ბაღში სწორად არ წარმოებს ბავშვთა მუსიკალური აღზრდა.

საბავშვო ბაღების უმრავლესობაში ყურადღება არ ექცევა ჰამის კულტურას: არ აქვთ ხელსაწმენდები, არ იციან მადლობის გადახდა ჰამის შემდეგ (ხიდისთავის საბავშვო ბაღი), პირსახოცებზე, ტანსაცმლის კარადებზე არ არის ნიშნები, იანეულის საბავშვო ბაღში არ ექცევა ყურადღება ბავშვთა პირად ჰიგიენას.

საბავშვო ბაღები არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ავეჯით. რაც აქვთ, ისიც მოძველებულია და თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. სოფელ ადგილებში მდებარე სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებიც ერთი ან ორჯგუფიანია და ბავშვთა ასაკი შერეულია, ერთი და იგივე სიმაღლის სკამები და მაგიდები აქვთ ხმარებაში. შუაგანახლების საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს არა აქვთ კარადები და ტანსაცმელს აივანზე, ლურსმანზე ჰკიდებენ. ზოგიერთ საბავშვო ბაღში, ფართობის სიმცირის ან არასაკმაო გათბობის გამო, ბავშვთა დღის ძილი არასისტემატურად ეწყობა.

არ ექცევა ყურადღება ბუნების კუთხეების მოწყობა-გაფორმებას, მათი ცოცხალი ობიექტებით (თევზი, თუთიყუში, კურდღელი) შევსებას, ყვავილები თუნუქის ყუთებში აქვთ მოთავსებული.

ოთახების გაფორმება არ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს, ჯგუფებში არა აქვთ დროის შესაბამისი სურათები.

ბავშვებში არაა გამომუშავებული სათამაშოების მოვლისა და წიგნის სიყვარულის ჩვევა. მათთვის არ არის გამოყოფილი მუდმივი ადგილი. წიგნების ნაწილი ყდაშემოცლილი და დახეულია (შუაგანახლების საბავშვო ბაღი).

ბავშვო ბაღების უმეტესობა შეგუებულ შენობაშია მოთავსებული—ხევის საბავშვო ბაღი (რადგან საკუთარი შენობა არ გააჩნია) მასწავლებელთა სახლშია შეკედლებული. შენობის სიძველისა და სიავიწროვის გამო ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში ბევრი რამ ვერ ხორციელდება. შენობებს დროულად არ უტარდებათ მიმდინარე და კაპიტალური რემონტი; ჯგუფების ოთახები არ იღებება სხვადასხვა ფერით (იანეულის, შუაგანახლების, ხევის საბავშვო ბაღები).

შეგუებულ შენობებში არსებულ საბავშვო ბაღებს საპირფარეშოები შენობიდან მოშორებით აქვთ; მათში სანიტ ჰიგიენური პირობების დაცვას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

მიუხედავად იმისა, რომ ტარდება რესპუბლიკური დათვალიერება „სკოლამდელ დაწესებულებათა მიწის ნაკვეთის სწორი დაგეგმვის, კეთილმოწყობისა და მისი მიზნობრივად გამოყენებისათვის“, ზოგიერთ საბავშვო ბაღში ამ მიმართულებით საჭირო მუშაობა არ ტარდება, არ ხდება ეზოების დამუშავება გამწვანება, მათი უზრუნველყოფა სათამაშოებითა და სასპორტო იარაღებით.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვებისა და პროდუქტებით მომარაგების საქმე-ისინი რეგულარულად არ მარაგდებიან ხორცით, ბოსტნეულით (კარტოფილი, ხახვი, კომპოსტო, მწვანილი), რძითა და რძის ნაწარმით (არაყანი, ხაჭო). ამის გამო მენიუ, ხშირად, ერთფეროვანია. ამას უტრანსპორტობის გამო პროდუქტების მიზიდვის საქმეში არსებული სიძნელეებიც ემატება.

საბავშვო ბაღებში სამედიცინო მომსახურება არადამაკმაყოფილებელია, თუმცა პოლიკლინიკიდან მათზე ექიმი ან ექთანია მიმაგრებული, მაკრამ ამ უკანასკნელთა საქმიანობა მხოლოდ პროფილაქტიკური აცრებით ამოიწურება. სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე დაწესებული არ არის კონტროლი, სისტემატურად არ წარმოებს თერმომეტრიზაცია, სათანადო მუშაობა არ ტარდება ფიზიკურად სუსტ ბავშვებთან.

რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების 28 მუშაკიდან 7 საშუალო ზოგადი და საშუალო სპეციალური არაპედაგოგიური განათლებითაა. ამჟამადაც აქვს ადგილი არასპეციალისტების დანიშვნას-ხევის საბავშვო ბაღის მუსიკის ხელმძღვანელი, რომელიც ერთი წელია, რაც დაინიშნა, საშუალო ზოგადი განათლებითაა, ხოლო შუაგანახლების საბავშვო ბაღის აღმზრდელი ბიოლოგია.

აღმზრდელები იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მაგრამ მათი რიცხვი მეტად მცირეა.

სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა შერჩევა- დანიშვნა ვაკანტურ ადგილებზე არ ხდება დროულად. განათლების განყოფილებაში სკოლამდელი აღ-
ზრდის მეთოდისტის ადგილი რამდენიმე თვეა თავისუფალია.

ჩოხატაურის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ჩოხატაურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. მ. კეკელიძე):

ა) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე განიხილოს და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ბ) იმ აღმზრდელებისა და მუსიკის ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ზერელედ მუშაობენ და საჭირო პასუხისმგებლობას ვერ იჩენენ დავალებული საქმისადმი, განახორციელოს სათანადო ზომები;

გ) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, საბავშვო ბაღების სათამაშოებით, სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფისათვის, შენობების რემონტების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის; კადრების დროულად და სწორად შერჩევისათვის, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გატარებისათვის;

დ) უმოკლეს დროში რადიკალურად გააუმჯობესოს ბავშვთა კვების ხარისხი, უზრუნველყოს მათი ნორმირებული პროდუქტებით მომარაგება;

ვ) გატარებული ზომების შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს მ/წლის ოქტომბრის ბოლომდე.

2. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 15 მაისის სხდომის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე **უ. პ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 21 მაისის ბრძანება № 406

სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ვანის რაიონში

განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის შემოწმების მასალებით ირკვევა, რომ ვანის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს გარკვეული მუშაობა ჩაუტარებიათ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესასრულებლად. კერძოდ, აშენდა და კეთილმოეწყო ბზვანის, ვანის ტაბიძის სახელობის, ზეინდრის 8-წლიანი, ტობანიერის, ვანის კიროვს სახელობის, ამაღლებისა და სხვ. სასკოლო შენობები, თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით შეიარაღა რაიონის მრავალი სკოლა; ერთგვარად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაიონის განათლების განყოფილებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აღნიშნული დადგენილებითა და ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხთა შესრულების საქმეში გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვანის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ა. კორძაძე);

ა) სისტემატურად იზრუნოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება-გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყოს სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობა, რაიონის სკოლების რაც შეიძლება მალე გადასვლა სწავლების კაბინეტურ სისტემაზე;

ბ) ყველა ზომა მიიღოს მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესასრულებლად;

ზ) მიიღოს ქმედითი ზომები რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გასატარებლად. მუშაობაში იხელმძღვანელოს ზემდგომი ორგანოების სადირექტივო მითითებებით;

ე) გადახედოს სკოლებს ხელმძღვანელი კადრების განაწილების საქმეს, მიიღოს ზომები, რომ დირექტორი და მისი მოადგილე იყვნენ სხვადასხვა ციკლის საგნების სპეციალისტები, რათა შესაძლებელი იყოს ეფექტური კონტროლი და ხელმძღვანელობა როგორც ჰუმანიტარული, ისე მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისადმი;

ვ) მიიღოს ზომები რაიონის სკოლების უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე პედაგოგიური კადრებით დასაკომპლექტებლად.

2. ვანის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების პედაგოგიურმა კაბინეტმა (ამხ. ს. შ. ადეიშვილი):

ა) გააძლიეროს მუშაობა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიკურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ასამაღლებლად;

ბ) გულმოდგინედ იმუშაოს ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებული ზოგი პრობლემის გადასაჭრელად. სწავლებაში ტექნიკური საშუალებების, თვალსაჩინოების გამოყენების დასანერგად, სწავლების თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების დასაუფლებლად;

გ) მიიღოს გადამჭრელი ზომები ფილომატეკისა და ბიბლიოთეკის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

3. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) აამაღლონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ბ) მთელი მუშაობა წარმართონ სკოლის წლიური სამუშაო და პედაგოგიური საბჭოების გეგმების საფუძველზე; მათში გაითვალისწინონ ყველა ის საკითხი, რომელიც წარმოადგენს სკოლის ყოველდღიური მუშაობის შინაარსს;

გ) მიიღონ ყველა ზომა საყოველთაო-სავალდებულო 8 წლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განსახორციელებლად. იბრძოლონ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენისა და აკადემიური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ;

დ) სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები და მისი პედაგოგიურ-მეთოდურად გამართული ანალიზით ქმედითი დახმარება გაუწიონ საგნის მასწავლებლებს;

ე) საგნის მასწავლებელთათვის დახმარების მიზნით სისტემატური და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეთოდური კომისიების მუშაობაში;

ვ) სრულ წესრიგში იქონიონ სასკოლო დოკუმენტაცია, მასწავლებლებს განუმარტონ მისი წარმოების წესები;

ზ) სასწავლო პროცესი წარმართონ პედაგოგიურ-მეთოდური პრინციპების გათვალისწინებით აგებული გაკვეთილების ცხრილის საფუძველზე;

4. სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის მოვლისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და მასწავლებელთა მუშაობისადმი სუსტი კონტროლსა და ხელმძღვანელობის გამო ზეინდრის 8 წლიანი სკოლის დირექტორს ა. შარაშენიძეს გამოეცხადოს საყვედური;

5. საგნის სუსტი სწავლებისა და პედაგოგიური კოლექტივის მუშაობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის უგულებელყოფისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური მიქელეფონის რვაწლიანი სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ა. სანიკიძეს.

6. დაევალოს ვანის რაიონის განათლების განყოფილებას (ამხ. პ. კორძაძე) სათანადო სასჯელი დაადოს მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებსა და სკოლების ხელმძღვანელებს.

7. ეს ბრძანება და მოხსენებითი ბარათი გაეგზავნოს ვანის რაიონის განათლების განყოფილებას.

8. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს განათ-
ლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკს).

საფუძველი: განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 15 მაისის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ვანის რაიონში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ (ხელმძღვანელი სკოლების სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი, წევრები: განათლების სამინისტროს ინსპექტორები: თ. მელქაძე, ე. ქურციკიძე, ნ. გიორგობიანი, ჰ. თუთბერიძე, ს. აფხაიძე; პოლიტექნიკური სწავლებისა დ ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტები: დ. გოგსაძე, ჯ. თოფურია, ნ. ბენდიაშვილი, ლ. ჯანიაშვილი, ნ. თორაძე) მიმდინარე წლის 10-დან 16 მარტამდე ვანის რაიონში შეისწავლა სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

შემოწმებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კპ ვანის რაიკომის მდივანი ამხ. შ. გიორგაძე, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. მ. თეალაბეიშვილი, განათლების განყოფილების გამგე ამხ. პ. კორძაძე, ყველა ინსპექტორ-მეთოდისტი.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს კპ ვანის რაიკომი (პირველი მდივანი ამხ. გ. კვანტალიანი) და რაისაბჭოს აღმასკომი

(თავმჯდომარე ამხ. ი. დვალიშვილი) მზრუნველობით ეკიდებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და გაუმჯობესების საქმეს.

კერძოდ, აშენდა და კეთილმოეწყო ბზვანის, ტაბიძის, ზეინდრის, ტობანიერის, კიროვის, ამაღლებისა და სხვ. სასკოლო შენობები, თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით შეივსო მრავალი სკოლა.

რაიონის ხელმძღვანელები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ განათლების სამინისტრო მათ სისტემატურ დახმარებას უწევს ამ საქმეში, რომ უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე 20-მდე სკოლას აუშენდა ახალი შენობა ან მოხდა მიშენება და სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ვანის რაიონში სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზების განმტკიცებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის საქმეში არსებობს რიგი ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე მიღებულ დიდმნიშვნელოვან დადგენილებათა წარმატებით განხორციელებას.

რაიონის არც ერთი სკოლა დღეისათვის არ არის გადასული სწავლების კაბინეტურ სისტემაზე, თუმცა სალხინოსა და ქვედა გორის საშუალო სკოლებში ამისათვის უკვე არსებობს პირობები. ბევრი სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა კი სწავლების დღევანდელ მოთხოვნათა მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. ასე მაგალითად, უვარგის ან შეგუებულ შენობებშია მოთავსებული დუცხუნის, მაისორის, ონჯოხეთის, ინაშაურის, გადიდის, რომანეთის, შუამთის, სულორის საშუალო, მიქელეფონის რვაწლიანი და სხვა სკოლები. მიქელეფონის რვაწლიანი სკოლა მოთავსებულია ქვისა და ხის ორ შენობაში. ხის შენობაში სასკოლო ოთახები ფანერის ხახელი ტიხარებითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. ისე რომ, ერთი საკლასო ოთახიდან ერთდროულად შეიძლება მოისმინოთ რამდენიმე გაკვეთილი. სკოლას არც ერთი ნორმალური სასწავლო კაბინეტი არ გააჩნია. ტობანიერის საშუალო სკოლა, მართალია, შედარებით კარგ შენობაშია მოთავსებული, მაგრამ ბევრად უკეთესი პირობები ექნებოდა, რომ ხელი მოეკიდათ უშუალოდ მის გვერდით მდებარე ძველი შენობის შეკეთებისათვის, რომლის მკვიდრო კედლები უპატრონობის გამო თანდათან იშლება.

ახალ შენობაშია მოთავსებული ზეინდრის რვაწლიანი სკოლა, მაგრამ უკვე ემჩნევა სკოლის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის უყურადღებობის კვალი. თითქმის ყველა საკლასო ოთახის კარი მორყეული ან დაზიანებულია. კედლები სკოლის დერეფანში დასვრილია. სკოლას დიდი ეზო გააჩნია, სადაც შეიძლება მოეწყოს საუკეთესო სპორტული მთედანი სარბენი ბილიკებითა და სახტომი სექტორებით, მოედნები ფრენბურთისა და კალათბურთისათვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შემოწმებულ და ნახულ თითქმის ყველა სკოლას შედარებით კეთილმოწყობილი ეზო, სპორტული მოედნები გააჩნია, რაც მისალმებისა და აღნიშვნის ღირსია.

ვანის რაიონის სკოლების უმეტესობას ან სრულებით არ გააჩნია, ან გააჩნია მხოლოდ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სასწავლო კაბინეტები, მაგრამ ისინი სრულყოფილად არ არის მოწყობილი და ვერ პასუხობენ თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

იგივე ითქმის სასწავლო სახელოსნოებზეც, რომელთა დიდი ნაწილი მოუწყობელი და სასწავლო დანიშნულებით გამოუყენებელია.

უკანასკნელად ვანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობა კომპლექსურად შემოწმებულ იქნა 1969 წელს.

ჩვენ მიერ რაიონის 46 სკოლიდან შემოწმდა 7 საშუალო, 2 რვაწლიანი და 2 დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლის მუშაობა, დათვალიერებულ იქნა 31 სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა.

გარდა აღნიშნულისა, 13 სკოლაში ჩატარდა საკონტროლო წერები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და ფიზიკაში, რაშიც 800-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

რაიონის განათლების განყოფილება და სკოლები სათანადო მუშაობას ეწევიან საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში, რის შედეგად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება 1973-1974 სასწავლო წლისათვის ასე გამოიყურებოდა:

კლასი	გეგმა	შესრულება	პროცენტი
0-VIII	7015	6866	97.8
IX-X	1367	1365	100
0-X	8382	8231	97.2

რაიონის სკოლებში გასულ სასწავლო წელს მეორეწლიანი იყო 98 მოსწავლე. აქედან:
0-III კლასებში-36 (!)
IV-VIII კლასებში-49
IX-X კლასებში-13.

ბრიგადის მიერ შესწავლილ იქნა 1974 წელს სკოლადამთავრებულთა და დამამთავრებელ კლასში მყოფ მოსწავლეთა მოძრაობა პირველ კლასში ჩარიცხვიდან სკოლის დამთავრებამდე. ამ მხრივ რაიონის სკოლებში ძირითადად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა: რვაწლიანი და საშუალო სკოლების აღნიშნულმა მოსწავლეებმა დაამთავრეს სკოლა ან სწავლობენ დამამთავრებელ კლასებში. სკოლის დირექტორებს, ძირითადად, გააჩნიათ სკოლიდან გასულ მოსწავლეთა საქმიანობის დამადასტურებელი საბუთები. მაგრამ, იყო ერთეული შემთხვევები, როცა სკოლამ ვერ შეძლო წარმოედგინა სკოლიდან გასულ მოსწავლეთა შემდგომი საქმიანობის დამადასტურებელი საბუთები. მაგალითად: ზეინდრის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ა. შარაშენიძე) არ აღმოჩნდა 1966 წელს პირველ კლასში ჩარიცხული მირიან მამასახლისის გარდაცვალების ცნობა.

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატება უშუალოდ არის დამოკიდებული პედაგოგთა კეთილსინდისიერ მუშაობაზე. მათ კი უნარიანად უნდა ხელმძღვანელობდნენ სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. სკოლის დირექციის კონტროლისა და ხელმძღვანელობის ეფექტურობას უშუალოდ განსაზღვრავს მათი შერჩევა სპეციალობათა მიხედვით. ამ მხრივ კი რაიონში არცთუ სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს.

რაიონის 32 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან 9 სკოლის

დირექტორები და მათი მოადგილეები ერთიდაიმავე ან მონათესავე საგნების სპეციალისტები არიან, რაც გამორიცხავს ყველა სასწავლო-საგნის სწავლებისადმი ეფექტურ კუნტროლსა და ხელმძღვანელობას.

გაოცებას იწვევს ვანის რაიონში პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. რაიონში მუშაობს 863 მასწავლებელი, რომელთაგან უმაღლესი სპეციალური განათლება გააჩნია მხოლოდ ნახევარს-428. ამავე დროს, სკოლებში მუშაობს დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით-172, საშუალო სპეციალური განათლებით-188, უმაღლესი არასპეციალური განათლებით—15, ზოგადი საშუალო განათლებით-42.

სკოლებს, 1 მარტის მდგომარეობით, აკლდა 13 მასწავლებელი—ძირითადად რუსული და უცხოური ენებისა.

რაიონის სკოლებში მუშაობს 104 პენსიონერი მასწავლებელი, რომელთა საგრძნობი ნაწილი ვერ ბმართლებს დაკისრებულ მოვალეობას. ამავე დროს, როგორც დადებითი მოვლენა, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა შორის 266 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, ხოლო 121 ალკკ წევრია, ეს დიდი ძალაა, რომლის მონდომებულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული ვანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატება.

სასკოლო მუშაობის წარმატებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასკოლო დოკუმენტაციის სწორად წარმოებას.

ვანის რაიონის შემოწმებულ სკოლებში არც ერთი საკლასო ჟურნალი არ არის წარმოებული სწორად. სასწავლო მასალა შეტანილია არასწორად, ზოგჯერ გაუგებრად. არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა ფერის მელნით ავსებენ ჟურნალს ერთი გაკვეთილის მანძილზე; გვხვდება ნიშნის გადასწორების შემთხვევებიც; როგორც წესი, საშინაო დავალება იწერება ინსტრუქციის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად-არ არის მითითებული დავალების ხასიათი, საკმაოდ ხშირად კი სულ არ არის შეტანილი; გრაფა-"მასწავლებლის შენიშვნა" არსად არ ივსება.

ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა მთავარი მიზეზია ის, რომ დირექცია არ ამოწმებს მასწავლებელთა მიერ ჟურნალის წარმოების საქმეს და არ აძლევს მათ სათანადო შენიშვნებს.

ვანის რაიონის სკოლებში დოკუმენტაცია ძირითადად დამაკმა-

ყოფილებლად იწარმოება, მაგრამ არის ნაკლოვანებები. კერძოდ:

შუამთის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. შენგელია) მოსწავლეთა მოძრაობისა და ბრძანების წიგნები არ ემთხვევა ერთმანეთს. სამი მოსწავლე, რომლებიც სხვა სკოლაში გადავიდნენ, გატარებულია მოძრაობის წიგნში, ბრძანების წიგნში კი არა. მოსამზადებელ კლასში 35 ბავშვი ჩარიცხულია ბრძანების გარეშე. რაც შეეხება ალფაბეტურ წიგნს, იგი სკოლაში საერთოდ არ არსებობს.

ვანის I-ელ საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ხარძეიშვილი) 1973-74 და 1974-75 სასწავლო წლებში სკოლიდან გასულ მოსწავლეებზე ბრძანება არ არის გაფორმებული. ალფაბეტური წიგნი არც ამ სკოლაში იწარმოება.

აღსანიშნავია, რომ ვანის რაიონის სკოლების დიდ ნაწილში მოსწავლეთა მოძრაობის, ბრძანებათა და ალფაბეტური წიგნები არ არის დალუქული. რიგ შემთხვევებში მოსწავლეთა მოძრაობისა და ბრძანებების წიგნები არ ემთხვევა ერთმანეთს; ალფაბეტური წიგნები არ იწარმოება ან იწარმოება ა. წ. იანვრიდან; ცნობები, სკოლიდან გასულ მოსწავლეთა შესახებ, ხშირად არ არის დამოწმებული ბეჭდით.

მოსამზადებელ და პირველ კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმე ვანის რაიონის სკოლებში ძირითადად მოწესრიგებულია, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ნაკლოვანებებს:

მიქელეფონის 8 წლიანი სკოლის (დირექტორი ო. შარაშენიძე) პირველ კლასში ორი მოსწავლე ჩარიცხულია ზემდგომი ორგანოების ნებართვის გარეშე, თუმცა ისინი 1967 წლის დეკემბერში არიან დაბადებულნი. ამავე სკოლის მეოთხე კლასში ჩარიცხული 10 მოსწავლიდან ხუთს პირად საქმეში შეფასების ნიშნები არ აქვს ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული.

ყუმურის საშუალო სკოლის (დირექტორის ვლ. ნადირაძე) მოსამზადებელ კლასში რვა მოსწავლეს აკლია დაბადების მოწმობა, ხოლო ერთი, 1969 წლის თებერვალში დაბადებული მოსწავლე, ჩარიცხულია ყოველგვარი ნებართვის გარეშე.

ზეინდრის რვაწლიანი სკოლის (დირექტორი ა. შარაშენიძე) მოსამზადებელ კლასში არ აღმოჩნდა ორი მოსწავლის დაბადების მოწმობა, ხოლო ოთხი მოსწავლე, დაბადებული 1968 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ჩაურიცხავთ სათანადო ნებართვის გარეშე.

შუაგორის საშუალო სკოლის (დირექტორი ავთ. ენუქიძე) მოსამზადებელ კლასში არ აღმოჩნდა სამი მოსწავლის დაბადების მოწმობა, 3 კი, დაბადებული 1968 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ჩარიცხულია ნებართვის გარეშე.

ვანის I-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ხარძეიშვილი) I-ა და I-ბ კლასებში არ ჰქონდათ 10 მოსწავლის დაბადების მოწმობა. 3 მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე არ იყო სკოლის დირექტორის რეზოლუცია, ხოლო სამი მოსწავლე, დაბადებული 1968 წლის იანვარში, თებერვალსა და ივლისში, ჩარიცხულია შესაბამისი ბრძანების გარეშე. რვაწლიანი განათლების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების მიღების, აღრიცხვისა და გაცემის საქმეში ნაკლოვანებები გააჩნიათ ყუმურის, ზეინდრის, შუამთის, ვანის I-ელ სკოლებს. მოწმობებისა და ატესტატების მიღების, აღრიცხვისა და გატარების საქმე ფორმალურ ხასიათს ატარებს.

კერძოდ:

ყუმურის საშუალო სკოლაში არ იწარმოება მოწმობებისა და ატესტატების მიღება-აღრიცხვის წიგნი, მოწმობების გაცემის წიგნი ნაწარმოებია 1973 წლამდე.

ზეინდრის 8 წლიან სკოლაში ნომრების მიხედვით არ ჩრის ნაჩვენები, ვის მიეცა მოწმობა.

შუამთის საშუალო სკოლაში, მოწმობა-ატესტატების გაცემის წიგნში, გარდა 1974 წლისა, არ არის შეტანილი მოსწავლეთა დემოგრაფიული ცნობები.

შუაგორის საშუალო სკოლაში რვაწლიანი განათლების მოწმობების აღრიცხვა არ წარმოებს.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და მისი ხელმძღვანელობის ორგანიზებულობას უზრუნველყოფს სკოლის წლიური სამუშაო გეგმა, პედაგოგიური საბჭოს, მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებისა და კლასის ხელმძღვანელთა გეგმები.

ვანის რაიონის სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და ორგანიზაციას, სკოლის წლიურ და პედაგოგიური საბჭოს გეგმებში ძირითადად გათვალისწინებულია ყოველდღიური პრაქტიკიდან გამომდინარე საკითხები, რომელნიც არსებითად განსაზღვრავენ სკოლის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. მაგალითად, სკოლის წლიურ სამუშაო გეგმებსა და პედაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიური საბჭოს გეგმებში ასახვა ჰპოვა ისეთმა მნიშვნელოვანმა საკითხებმა, როგორიცაა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში თბილისის 24-ე საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციისა და პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“ და სხვ. მიუხედავად ამისა, შეინიშნება ნაკლოვანებანი, რაც შემდეგში მდგომარეობს:

სკოლის წლიური სამუშაო გეგმები ისეა შედგენილი, რომ მათში არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი უმიშვნელოვანესი საკითხები. მაგალითად:

ყუმურის საშუალო სკოლის წლიური სამუშაო გეგმა არ არის გაშლილი „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 2, ივლისის დადგენილების შუქზე, არაფერია ნათქვამი სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განტკიცების შესახებ, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩასატარებელი მუშაობის, თვალსაჩინოებისა და სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ. გეგმაში გაკვრით არის ნახსენები ცალკეულ საგნებში ახალ პროგრამებზე გადასვლა, მაგრამ არ არის გათვალისწინებული თუნდაც რომელიმე საგნის სწავლების მდგომარეობის შემოწმება.

სოფ. კიროვის საშუალო სკოლის წლიური სამუშაო გეგმა ერთფეროვანია. მასში არ არის გაშუქებული სკოლის სადღეისო ამოცანები. გეგმის მიხედვით არ ჩანს, რის გაკეთებას აპირებენ სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასასვლელად. არაფერია თქმული იმ სიძნელეთა დაძლევის გზებზე, რომლებიც ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან არის დაკავშირებული.

სოფ. ამაღლების საშუალო სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში არ არის ასახული სკოლის ცხოვრებაში მომხდარი სიახლეები. გეგმით მხოლოდ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შემოწმებაა გათვალისწინებული.

მგავსი ნაკლოვანებანი გააჩნია თათქმის ყველა შემოწმებულ სკოლის წლიურ სამუშაო გეგმებს.

დამაკმაყოფილებლად არის შედგენილი პედაგოგიური საბჭოს გეგმები, მათში გათვალისწინებული საკითხები ძირითადად ასახავენ სკოლის საზრუნავს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგიური საბჭოს ოქმებში ზოგჯერ არ ჩანს სრულყოფილად სკოლის ყოველდღიური ცხოვრება; არ არის დაცული საყოველთაოდ მიღებული აუცილებელი ფორმალობა. კურძოდ: ყუმურის საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე განუხილავთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების", „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა" შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლაში საზოგადოებრივი მორალის ნორმების უხეში დარღვევის შესახებ, მაგრამ აქვე, I და II მეოთხედების შედეგების განიხილვისას, ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა ლიბერალურად არის განხილული. დაუმსახურებლად არიან ნაქები სუსტად მომუშავე მასწავლებლები საულ და პაშა ქარჩხაძეები.

მიქელეფონის რვაწლიანი სკოლის პედსაბჭოს გეგმაში გათვალისწინებული საკითხები არ ემთხვევა პედსაბჭოს სხდომებზე ფაქტიურად განხილულ საკითხებს. სხდომებზე, ძირითადად, მეოთხედის შედეგები და მომავალი ამოცანებია განხილული. ოქმებში დაშვებულია ენობრივი შეცდომები.

ნაკლოვანებები გააჩნია შუამთის საშუალო სკოლის პედსაბჭოს გეგმას. მასში არ არის გათვალისწინებული და არც სხდომებზეა განხილული სადირექტივო და სახელმძღვანელო დადგენილებები. ცუდად არის გაფორმებული პედსაბჭოს ოქმები-მათში ბევრია ენობრივი და აზრობრივი შეცდომა. I და II მეოთხედების შედეგები ფორმალურად, ზერელედ არის განხილული, რადგან არ არის გამოკვეთილი ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა.

მსგავსი ნაკლოვანებანია თითმის ყველა შემოწმებული სკოლის პედაგოგიური საბჭოების მუშაობაში.

ვანის რაიონის თითქმის ყველა სკოლას ცალკე აქვს შემუშავებული ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებს 30 წლისთვისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი. თუ არ ჩავთვლით დაბა ვანის კიროვის სახელობისა და კიდევ რამდენიმე სკოლას, რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება ამ მიმართებით ჯერ-ჯერობით არ ჩატარებულა.

სკოლაში სასწავლო მუშაობისადმი კონტროლსა და ხელმძღვანელობას ახორციელებენ სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

შემოწმებული სკოლების ხელმძღვანელთა გარკვეულ ნაწილს არ ესმის გაკვეთილის მოსმენისა და მისი ღრმა პედაგოგიური ანალიზის მნიშვნელობა. ხშირად გაკვეთილს ისმენენ ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით, რის გამოც მათ მიერ გაკეთებული ანალიზები ზედაპირული, არ აფრისმთქმელი და უსარგებლოა მასწავლებელთათვის.

ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მიქელეფონის 8 წლიანი სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ა. სანიკიძე, რომელსაც შემოწმების დღისათვის (10/III) მხოლოდ 15 გაკვეთილი ჰქონდა მოსმენილი, ამასთან, ანალიზები მხოლოდ გაკვეთილის მსვლელობის აღწერას წარმოადგენდა და არავითარ მეთოდურ მითითებას არ შეიცავდა.

ზერელე და არაფრისმთქმელია ტობანიერის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის ს. ნაფეტვარიძის, ზეინდრის წლიანი 8 სკოლის დირექტორის ა. შარაშენიძის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები.

ყუმურის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნადირაძე და ვანის I-ლი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე ი. კორძაძე საკონტროლო წერის გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ იმით კმაყოფილდებიან, რომ გადაიწერენ ყველა ამოცანასა და მაგალითს, რაც კლასისათვის იყო მიცემული და ბოლოს კი ამ წერის შედეგებს დაურთავენ. მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილები არ შეიცავს არავითარ მეცნიერულ ანალიზს. ზოგიერთ სკოლის ხელმძღვანელს კი სრულებით არ აქვს მოსმენილი ისეთი წამყვანი საგნების გაკვეთილები,

როგორიცაა მშობლიური ენა და ლიტერატურა ან მათემატიკა და ა. შ.

* * *

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო პროცესის ძირითადი მაკორექტირებელი საშუალებაა გაკვეთილების ცხრილი. კარგად, პედაგოგიურ-მეთოდურ პრინციპებზე აგებული გაკვეთილების ცხრილი სასწავლო მუშაობის წარმატების ერთ-ერთი საწინდარია. რა მდგომარეობაა, ამ მხრივ, ვანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში?

მეთოდურად არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი სოფელ კიროვის საშუალო სკოლაში. მაგალითად, მე-10 კლასში კვირაში სამჯერ მიჯრითაა ძნელად ასათვისებელი საგნები-ფიზიკა, ქიმია, გეომეტრია და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა მე-8 და მე-9 კლასებში.

ცუდად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი ტობანიერის საშუალო სკოლაში. მასში ერთმანეთის მიყოლებით არის ჩასმული ალგებრა, ფიზიკა, ისტორია, ქართული ენა, ინგლისური ენა. ორშაბათს არის გათვალისწინებული ორსაათიანი დისციპლინა, რაც დაუშვებელია. ბოლო მე-5-6 გაკვეთილებად არის მოცემული ქართული ლიტერატურა, ინგლისური, რუსული ენები, რაც პედაგოგიურ პრინციპებს არ შეესაბამება.

გაკვეთილების ცხრილში გარკვეული ადგილი უკავია ფაკულტატიურ მეცადინეობას, მაგრამ იგი იმდენად უთაურად არის შედგენილი, რომ ვერ გაარკვევთ, როდის და რომელ საგანშია გათვალისწინებული მეცადინეობა.

* * *

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად ფორმად იყო და კვლავაც რჩება გაკვეთილი. სწორედ აქ ხდება მნიშვნელოვანწილად ახალგაზრდობის თეორიული ცოდნით შეიარაღება და მისი ზნეობრივი სახის ჩამოყალიბება. იმაზე, თუ როგორ წარიმართება ბავშვის სწავლა-აღზრდა დაწყებით კლასებში, ბევრადაა დამოკიდებული მისი შემდგომი წარმატების ბედი.

დაწყებით კლასებში დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენას მასწავლებლები ლ. ჯულაყიძე (ყუმურის საშ. სკოლა), გ. მეფარი-

შვილი (ტობანიერის საშუალო სკოლა), თ. გუგუციძე (ვანის კირკვის სახ. სკოლა). აღნიშნული მასწავლებლები დამაკმაყოფილებლად ფლობენ დაწყებით კლასებში მშობლიური ენის სწავლების ხერხებს, მეცადინეობას წარმართავენ ცოცხლად და აქტიურად, რითაც სასურველ შედეგს აღწევენ.

ცუდად ასწავლის აღნიშნულ საგანს მ. ლომიძე (ქვედაციხესულორის დაწყებითი სკოლა). იგი ვერ ფლობს დაწყებით კლასებში მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს. დაბალია მოსწავლეთა მეტყველების კულტურა, არავითარი ყურადღება არ ექცევა გასამეორებელ მასალას. მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს გრამატიკულ მასალას, არ ეწევა სალექსიკონო მუშაობას და სხვ. თვით მასწავლებელიც უშვებს შეცდომებს მეტყველებაში: „ვინ შემოეპარა, ვინ დაეცა ჩვენს ქვეყანას? ვინ შეისწავლეთ ახალგაზრდა კომკავშირელი გოგო“ და ა. შ.

გარდა ამისა, მასწავლებელი არ იყენებს თვალსაჩინოებას, საგაკვეთილო მასალას ვერ იყენებს აღმზრდელობითი მიზნით და სხვ.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მათემატიკას დაწყებით კლასებში ნ. თვალაბეიშვილი (ყუმურის საშ. სკოლა), ბ. გოგორიშვილი (ვანის კირკვის სახელობის საშ. სკოლა). ისინი საფუძვლიანად ერკვევიან მათემატიკის ახალი პროგრამისა და სახელმძღვანელოების შინაარსში. მოსწავლეები კარგად ფლობენ საკმაოდ რთული მაგალითების შეკრება-გამოკლებას, გამრავლება-გაყოფას. მასწ. ბ. გოგორიშვილმა აქტიურად წარმართა გაკვეთილი III კლასში. საკლასო სამუშაოს თემა იყო ამოცანა, მაგალითები უცნობის გამოანგარიშებაზე, ნაშთიან გაყოფაზე. მუშაობაში ჩაბმულ იქნა თითქმის მთელი კლასი. მოსწავლეებმა ამომწურავი პასუხები გასცეს მასწავლებლის შეკითხვებზე. კლასმა საგნის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნა ასევე წარმატებით ასწავლის საგანს მასწ. ნ. თვალაბეიშვილი.

სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის მ. ბელთაძეზე (ქვედაციხესულორის დაწყებითი სკოლა), ნ. კოპალეიშვილზე (ჭყვიშის დაწყებითი სკოლა), ო. ბუბუტეიშვილზე (ტობანიერის საშ. სკოლა), ლ. ხელიძესა და ი. კორძაძეზე (ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლა).

მასწავლებელმა მ. ბელთაძემ სუსტად ჩაატარა გაკვეთილი I კლასში. მან უგულებელყო ზეპირი ვარჯიში ამოცანაზე და დიდაქ-

ტიკური თამაში. იგი მეთოდურად უმართებულოდ ასწორებს წერილ-ნამუშევრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელმა ნ. კოპალეიშვილმა გაკვეთილი I-III კლასებში ყოველგვარი მომზადების გარეშე ჩაატარა. არასწორად იქნა გამოყენილი ამოცანა, ვერ შეამჩნია მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა; ზარის დარეკვის შემდეგ განაგრძო მუშაობა ორივე კლასთან, რასაც მთელი 10 წუთიანი დასვენება მოანდომა. მასწავლებელი ხშირად ხმარობს კუთხურ გამოთქმებს:-„იქინე თუთხმეტი, გაქვენ"... და სხვ. მას ბევრი მუშაობა დასჭირდება საკუთარი თეორიული ცოდნის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის.

ასევე ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა ო. ბუბუტეიშვილის გაკვეთილი I კლასში: მან დიდი დრო დაკარგა საკლასო მუშაობის დროს. კერძოდ, ჯერ აწერინებდა მაგალითებს დაფაზე, შემდეგ ავალებდა რვეულებში ჩაწერას. არავითარი შეკითხვა არ მიუცია მოსწავლეებისათვის, არ ჩაუტარებია ზეპირი ანგარიში. მასწავლებელი ო. ბუბუტეიშვილი ყურადღებას არ აქცევს გამეორებას, ამოცანებზე ვარჯიშს, ცუდად ატარებს დამოუკიდებელ სამუშაოს. ასევე მეთოდურად გაუმართავი გაკვეთილები ჩაატარეს ლ. ხელიძემ I და ● . კორძაძემ III კლასში.

ვანის რაიონის სკოლების დაწყებით კლასებში ძირითადად დამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა. მასწავლებლებები, სისტემატურად მუშაობენ რა საკუთარ თავზე, დაუღალავი შრომით წარმატებას აღწევენ საგნის სწავლების საქმეში.

კარგად ფლობს რუსულ ენასა და მისი სწავლების ხერხებსა და მეთოდებს ქვედაციხესულორის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ი. კოპალაძე. იგი გაკვეთილზე მოხერხებულად იყენებს ინდივიდუალური და ჯგუფური კითხვის მეთოდს. მასწავლებელმა, ახალი მასალის შემოწმების მიზნით, ჩაატარა ფრონტალური გამოკითხვა. მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს.

მასწავლებელმა ვ. წიქვაძემ (ჭყვიშის დაწყ. სკოლა) II კლასში დამაკმაყოფილებლად ჩაატარა გამოკითხვა. მოსწავლეები დამაჯერებლად პასუხობდნენ, განმარტავდნენ სიტყვასა და წინადადებების მნიშვნელობას. ახალი მასალა-„Хороший брат" ჯერ მასწავლებელმა წაიკითხა და თარგმნა, შემდეგ ჯგუფურად წააკითხა ბავშვებს, ტექსტის ინდივიდუალურ. კითხვას კი დაუკავშირა სალექსიკონო მუშაობა. აკვეთილის დასკვნით ნაწილში ვ. წიქვაძემ ფრონტალური კიხვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

განამტკიცა ახალი მასალა. ჩაატარა გრამატიკულ მასალაზე ვარჯიში მოსწავლეებმა საგნის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს.

სუსტად ასწავლის რუსულ ენას III კლასში ა. გიორგაძე (ტობანიერის საშუალო სკოლა). იგი ვერ ფლობს რუსულ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს. შედეგად დაბალია მოსწავლეთა გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკა, წერა-კითხვის ჰიგიენა და სხვ. ადგილი აქვს წერით ნამუშევრებში შეცდომების გაპარვის შემთხვევებს.

დაბალ დონეზე ისწავლება ბუნებისმცოდნეობა ქვედაციხესულორის დაწყებითი სკოლის III კლასში (მასწ. მიხ. კორძაძე). მასწავლებელი სუსტად ფლობს საგანს. ამის შედეგია მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე. მთელი გაკვეთილი ისე ჩატარდა, რომ მოსწავლეებს არც კი უცდიათ, ოდნავი აქტიურობა გამოეჩინათ. მათ ვერ გაიგეს ახალი მასალა. ბავშვებმა ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ რუკაზე სსრ კავშირი ეჩვენებინათ. გაკვეთილის დაბალ დონეს ისიც განაპირობებს, რომ მასწავლებელი მიჯაჭვულია სახელმძღვანელოზე და მისგან დამოუკიდებლად სიტყვის წარმოთქმაც კი უჭირს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ვანის რაიონის დაწყებითი კლასების მასწავლებლები სისტემატურად არ ზრუნავენ საკუთარი ცოდნის ამაღლებასა და მეთოდურ დახელოვნებაზე, რის გამოც მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილები ვერ პასუხობს თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნილებებს. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გაკვეთილის იდეურ მხარეს, მის ზნეობრივ-აღმზრდელობით მნიშვნელობას. ხშირ შემთხვევაში არ წარმოებს სალექსიკონო მუშაობა, განვლილი მასალის გამეორება; დაბალ დონეზე დგას გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკა. მათემატიკის გაკვეთილებზე არ ტარდება ზეპირ ამოცანებზე და გეომეტრიულ მასალაზე ვარჯიში და სხვ. დუნედ წარმართავენ მუშაობას მეთოდგაერთიანებები-ხშირად არ ტარდება სხდომები, თემები სიტყვა-სიტყვით გადაწერილია ჟურნალ-გაზეთებიდან; არ იწერება ოქმები.

სკოლის ხელმძღვანელები სისტემატურად არ ისმენენ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გაკვეთილებს, ხოლო მოსმენილის შესახებ ვერ იძლევიან საქმიან მითითებებს.

* * *

ვანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული ყურადღება ექცევა **მშობლიური ენისა და ლიტერატურის** სწავლებ.ს

მასწავლებელთა ერთი ნაწილი დამაკმაყოფილებლად ფლობს საგანს, მისი სწავლების ხერხებსა და მეთოდებს, რის შედეგადაც გარკვეულ წარმატებებს აღწევს. მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთმა მასწავლებელმა ვერ გამოამჟღავნა ოდნავი სურვილიც კი, გასცდენოდა სახელმძღვანელოს და რაიმე ახალი ეთქვა მოსწავლეებისათვის, მათ მუშაობაში შეიმჩნევა ერთგვარი მოდუნება, უინტერესობა, თითქოს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით შედიან გაკვეთილებზე.

შედარებით უკეთესი გაკვეთილი ჩაატარა მშობლიურ ლიტერატურაში დ. აბრამიძემ (ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლა). მისი გაკვეთილები IX და X კლასებში არ იყო დაზღვეული შეცდომებისაგან, მაგრამ ჩანდა, რომ მასწავლებელი მომზადებულა გაკვეთილისათვის, არ შეზღუდულა მხოლოდ პროგრამითა და სახელმძღვანელოთი.

დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგნის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს ი. უღრეულიძე (ტობანიერის საშ. სკოლის დირექტორი), ვლ. სოსელია (ზეინდრის 8 წლიანი სკოლა), ლ. გურგენიძე (შუაგორის საშ. სკოლა). მათი მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად იცნობენ ლიტერატურულ და გრამატიკულ მასალას, ექვთ წერითი და ზეპირი მსჯელობის უნარ-ჩვევები. მაგრამ, ამავე მასწავლებლების მიმართ უნდა აღინიშნოს, რომ გაკვეთილებზე იფარგლებიან მხოლოდ პროგრამული მასალით, სწავლების პროცესში ნაკლებად ან სრულიად არ იყენებენ თვალსაჩინოებასა და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს.

სუსტად ასწავლიან საგანს: თ. მილოროვა (ტობანიერის საშ. სკოლა), ჟ. ლომიძე (შუაგორის საშ. სკოლა), რ. ოჩხიკიძე (მიქელეფონის 8 წლ. სკოლა), თ. კორძაძე (ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლა).

თ. მილორავამ დაბალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე ჩაატარა ლიტერატურის გაკვეთილი V კლასში. ინდივიდუალური გამოკითხვის დროს დაკმაყოფილდა მოსწავლის მიერ გაკვეთილის თხრობით, არც ერთი დამატებითი კითხვა მათთვის არ მიუცია.

ახალი მასალის გადაცემის დროს, იმის გამო, რომ მასწავლებელი იყენებს ძველისძველ, აწ უკვე ხმარებიდან ამოღებულ სახელმძღვანელოს, დაუშვა ფაქტობრივი შეცდომა: „ე. ნინოშვილი დაიბა-

და სოფ. ჩირგეთში...“ გარდა ამისა, მასწავლებელი მეტყველებს ძალზე ცუდად, ტექსტს კითხულობს მონოტონურად, ყოველგვარი განმარტების გარეშე. ჩანს, მას წარმოდგენაც კი არ აქვს ტექსტზე მუშაობის ხერხებსა და მეთოდებზე.

საშინაო დავალების რვეულების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მასწავლებელი არ ამოწმებს და ასწორებს მათ. რვეულები ბინძური და მოუვლელია, ნაწერებში დაშვებულია უამრავი შეცდომა.

ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ჟ. ლომიძის გაკვეთილმა VI ბ კლასში (შუაგორის საშ. სკოლა). გაკვეთილის თემა იყო „ჭიდაობა“ მიხ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელიდან“. კლასმა განვლილი მასალის დაბალი ცოდნა გამოამჟღავნა. არც მასწავლებელი გამოირჩეოდა ცოდნითა და მასალის გადაცემის უნარით. იგი ვერ ამჩნევდა მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს, ვერ შეძლო „ჭიდაობის“ პერსონაჟთა დახასიათება. მან კუჭატნელის ვერაგობა და მზაკვრობა განმარტა მისი უკადრისობით.

გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელმა დასვა უაზრო კითხვები (მაგალითად: „წინათ რა მიზნით იყენებდნენ ჭიდაობას?“ და სხვ.).

მოსწავლეებთან გასაუბრებამ მათი სრული უცოდინარობა გამოაგლინა. კლასში არც ერთ მოსწავლეს არ აღმოაჩნდა საშინაო დავალების რვეული.

ძალზე ცუდი შედეგები მოგვცა რაიონის სკოლებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა. მიუხედავად იმისა, რომ საწერად თემები თვითონ მასწავლებელთა მიერ იყო შერჩეული, ხოლო ზოგან ჩვენი მისვლა გრაფიკით გათვალისწინებულ წერით მუშაობას დაემთხვა, შედეგები მაინც ძალზე ცუდი მიგიღეთ.

მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა წერითი მეტყველებისა და აზროვნების სრული უუნარობა, ლიტერატურული მასალისა და მართლწერის წესების უცოდინარობა გამოამჟღავნა. ზოგი მოსწავლე ისეთ აბდაუბდას წერს, რომ მისი აზრის გაგება ყოველად შეუძლებელი ხდება. ამგვარი, ყოვლად უაზრო „მსჯელობის“ ნიმუშად მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ: ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლის VIII-ბ კლასის მოსწავლე ლ. შ-ძე წერს: „ამგვარად ტარიელი დიდი ფიზიკური სიძლიერის მქონე, კაცთმოყვარული და ძალიან მადალი მორალი გრძნობისა და მატერიალური ჰუმანისტი“.

საკონტროლი წერები ჩავატარეთ ვანის რაიონის ექვს სკოლაში, თემები ყველგან მაწავლებლების მიერ იქნა შერჩეული. მოსწავლეთა წერითი მეტყველების საერთო დონეზე წაროდგენას იძლევა შემდეგი ცხრილი:

სკოლა, მასწავლებელი	მოსწავლეთა რაოდენ.	„5“	„4“	„3“	„2“	„1“
ვანის კიროვის სა. საშ. სკ. მასწ. თ. კორძაძე VIII-ბ კლ.	21	—	1	—	19	I
ზეინდრის 8 წ. სკოლა, შემცველი მასწ. ლ. ნიკოლეიშვილი VII კლ.	26	—	1	11	14	—
მიქელეფონის 8 წ. სკოლა, მასწ. რ. ოჩხიკიძე VI კლ.	15	—	2	2	11	—
ყუმურის საშ. სკოლა, VIII კლ. მასწ. ვ. ადეიშვილი	27	—	6	11	10	—
ამაღლების საშ. სკოლა, X-ა კლ. მასწ. ლ. ხურციძე	19	—	—	12	7	—
შუამთის საშ. სკ. IX-ბ კლ. მასწ. შ. გოგაძე	22	—	3	14	5	—

ვანის რაიონის სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა ლამაზად წერის უნარ-ჩვევათა დანერგვას.

საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასწავლებელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ან სრულებით არ ამოწმებს საშინაო დავალებათა რვეულებს, ან, თუ ამოწმებს, ძალზე ზერელედ. არავითარი ყურადღება არ ექცევა გაკვლილი მასალის გამეორებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალია მომთხოვნელობა როგორც მოსწავლეთა, ისე საკუთარი თავისადმი.

* * *

რაიონის სკოლების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება **რუსული ენის** სწავლების საქმეს. ასეთ მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნიან ლეონიდ გიორგაძე, სულიკო კორძაძე, გულნარა ჩხიროძე, ნატო ნამიჩეიშვილი (ვანის კიროვის სახ. საშ. სკოლა); მაყვალა ბებნაძე, ციალა გოგიძე, ლამარა ყუბანეიშვილი (შუამიის საშ. სკოლა); ზოია ბაბიკინა, სვეტლანა კარლოვა (ყუმურის საშ. სკოლა).

აღნიშნული მასწავლებლები მთელი მონდომებით ასწავლიან მოზარდ თაობას რუსულ ენას, იყენებენ გაკვეთილებზე თვალსაჩინო მასალას (შეძლებისდაგვარად), გრამატიკულ ტაბულებს, სურათებს მეტყველების განვითარების მიზნით; დაბა ვანის კიროვის საშუალო სკოლაში მოწყობილია რუსული ენის კლას-კაბინეტი, სადაც აქვთ ეპიდიასკოპი და ფილმოსკოპი. მოსწავლეებს უჩვენებენ სასწავლო დიაფილმებს (აქვთ 30-მდე დასახელების დიაფილმი), ატარებენ კინოგაკვეთილებს, მაგ. ჩატარებულია კინოგაკვეთილი თემებზე: „ლევ ტოლსტოი იასნაია პოლიანაში“, „მ. ი. ლერმონტოვი“, „პოეტის სიჭაბუკე“ (ა. ს. პუშკინი), „კაპიტნის ქალიშვილი“.

ზემოთ ჩამოთვლილი მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ ლექსიკურ მუშაობას, ყოველ გაკვეთილზე ამდიდრებენ მოსწავლეთა სიტყვიერ მარაგს, ისინი ხელმძღვანელობენ სკოლებში წრეობრივ და მეთოდურ მუშაობას, მათ მიერ გამოშვებულია რამდენიმე კედლის გაზეთი რუსულ ენაზე, ასე მაგალითად, კიროვის სახელობის სკოლაში გამოდის კედლის გაზეთი „დრუჟბა“ („მეგობრობა“) მისი ერთ-ერთი ნომერი მ. ლერმონტოვის დაბადებიდან 160 წლისთავს და ნ. ოსტროვსკის დაბადებიდან 70 წლისთავს მიეძღვნა, ყუმურის საშუალო სკოლის წრის წევრებმა (ხელ-ლი ზ. ბაბიკინა) გააფორმეს ა. პუშკინსადმი მიძღვნილი ფოტო-სტენდი და ჩაატარეს მხატვრული დილა, მიძღვნილი ა. პუშკინის დაბადებიდან 175 წლისთავისადმი (მასალები ინახება სკოლაში), ხოლო 11 მეოთხედის დასასრულს ყუმურის საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები იყვნენ ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში, ბაღდათში და იქ ჩაატარეს

გაკვეთილი, სადაც ისაუბრეს ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ზეპირი მეტყველების განვითარების მიზნით ეს მასწავლებლები ატარებენ საუბრებს საყოფაცხოვრებო თემებზე, ამის შედეგია, რომ მოსწავლეებს შესწევთ უნარი, აღწერონ წელიწადის დრონი, კერძოდ, გაზაფხულის სურათი, მოგვითხრონ თავიანთ ოჯახზე, სკოლაზე, სოფელზე, აღწერონ თავიანთი საკლასო ოთახი, სკოლის ეზო და სხვა. მართალია, მოსწავლეების მეტყველებაში ხშირია შეცდომები, არასწორი მახვილების შემთხვევები, მაგრამ მასწავლებლებლები უსწორებენ შეცდომებს, მახვილებს, მოითხოვენ გამართულ პასუხებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მასწავლებლების საქმიანობა დადებითად შეფასდა, მათ მუშაობაში მაინც არის ნაკლი. კერძოდ: სისტემატურად არ სწორდება მათ მიერ საკლასო-საშინაო რვეულები, არასწორად ატარებენ შეცომების გასწორებას საკონტროლო წერის რვეულებში, დაბალია მოსწავლეთა კითხვის ტექნიკა და წერის კულტურა.

მიუხედავად მრავალი შემოწმებისა და მითითებისა, ვანის რაიონის ყუმურის, ფერეთის, შუამთის, ამაღლების, დაბა ვანის საშუალო სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მუშაობაში კვლავ აქვს ადგილი ნაკლოვანებებს:

არ არის მოწყობილი რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები და კლას-კაბინეტები. მასწავლებლებმა თვითონ უნდა იზრუნონ მათი მოწყობისათვის;

ნაკლებად იყენებენ სწავლების ტექნიკურ საშუალებებს და თვალსაჩინო მასალას;

-საკლასო-საშინაო წერის რვეულები სწორდება არასისტემატურად და ამიტომ დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა;

-გაკვეთილის პროცესში მუშაობაში არ არის ჩაბმული მთელი კლასი, მასწავლებლები მუშაობენ ერთ და იმავე მოსწავლეებთან, აქტიურობს 2-3 მოსწავლე, დანარჩენები უმოქმედოდ სხედან, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების კულტურა;

-დაღვევებს აქვს ადგილი საკონტროლო წერის სახეებში. ასე მაგალითად, თითქმის ყველა შემოწმებულ მასწავლებელს საკონტროლო წერის სახედ მიცემულ აქვს ესა თუ ის სავარჯიშო, მოსწავლე-

ებს ევალებათ, შეცვალონ ზმნის დრო ან მიაწერონ ზმნებს გამოტოვებული პირის ნიშნები და სხვ., რაც ყოვლად დაუშვებელია.

-არასწორად ტარდება შეცდომებზე მუშაობა, შეცდომები უნდა სწორდებოდეს გარკვეული წესის გამოყენებით და დასაბუთებით;

-მასწავლებელთა გაკვეთილების გეგმები ძალზე მოკლეა და არ ასახავს გაკვეთილის მთელ პროცესს;

საშინაო დავალება მოსწავლეებს ეძლევათ ზარის დარეკვამდე;

-სწავლება მჭიდროდ არ უკავშირდება აღზრდას, გაკვეთილის გეგმებში არ არის გამოკვეთილი აღმზრდელობითი ხასიათის მიზანი;

-ნაკლებად იყენებენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას რუსული ენის უკეთ შესწავლის მიზნით. ცოტას მუშაობენ საკუთარ თავზე მასწავლებლები ნორა ჩხაიძე (სოფ. კიროვის საშ. სკოლა), ვილჰელმ სულაბერიძე, შოთა მამფორია (შუამთის საშუალო სკოლა), ვახტანგ გოგაბერიშვილი (შუაგორის საშ. სკოლა), აკაკი ხელაძე (ამაღლების საშუალო სკოლა), ვაჟა ჯულაყიძე (ყუმურის საშუალო სკოლა). მათ მეტყველებაში ხშირია არასწორი გამოთქმები, შეცდომები მახვილებში, წინადადებებში და სხვ. მაგალითად: **В каком деревне учился Илюша Обломов, 14-летний мальчик", „пожаловаться"** (მასწ. ვ. ჯულაყიძე) **„Сколько времени имеет глаголов" „Карандаш мой а платья чья" „Ласточки", Светит солнце, тает снег. Весной длиннее, а ночь Какой, Ночь короткий** (მასწ. ნ. ჩხაიძე). მასწავლებლებს აკ. ხელაძეს, მ. მამფორიას, მარიამ შიბაევას ესაჭიროებათ მეთოდური დახელოვნება. მასწავლებელ აკაკი ხელაძეს გაკვეთლის თემად ჰქონდა ზმნის უღლება (ამაღლების საშ. სკოლა, 12 III, IX კლ.). ჯერ ერთი, კალენდარული განრიგით ეს IV მეოთხედის მასალაა, მეორეც ის, რომ მთელი გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი წერდა დაფაზე I და II უღლების ზმნებს, რომლებსაც არ ჰქონდა მიწერილი პირის ნაცვალსახელები, რაც შეეხება მოსწავლეებს, მათ არ ჩაუწერიათ არც ერთი სიტყვა, არც კი ამოუღიათ რვეულები, გარდა რამდენიმე მოსწავლისა, რომლებსაც წინ ედოთ რვეულები. გამოვართვი რვეული ერთ მოსწავლეს, რვეულზე არ არის წარწერა. მასწავლებელს არ ჩაუხედავს რვეულებში, სადაც მოსწავლე აწარმოებს ჩანაწერებს ენაშიც და ლიტერატურაშიც, ისინი უსუფთაოა, გაცვეთილი, სათანადო წარწერის გარეშე. ზარის დარეკვასთან

ერთად მასწავლებელმა მისცა ასეთი დავალება: აუღლონ 2 ზმნა და ისწავლონ წესი 93-ე გვერდზე. კლასი იყო ძალიან პასიური, მხოლოდ 2 მოსწავლემ აუღლა 2 ზმნა დაფაზე.

რაც შეეხება მასწავლებელ ალექსანდრე ძაგნიძეს (შუამთის საშუალო სკოლა), რომელიც ასწავლის III კლასებს, ვერ ფლობს ვერც რუსულ ენას და ვერც ამ საგნის სწავლების მეთოდიკას (დამთავრებული აქვს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი). მასწავლებელი უშვებს უამრავ შეცდომას, ხოლო მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს ვერ ასწორებს იმიტომ, რომ ვერ ამჩნევს მათ. გარდა ამისა, სიტყვებს გამოთქვამს დამახინჯებით. ყოველივე ამის დამადასტურებელია შემდეგი მაგალითები: გაკვეთილის თემა—„გაზაფხული", (Тепло́, тает снега", „чистият тротвари", Пливает лодочки" (вм. плавают). „На деревьях есть снега?" Что пустили мальчики по воду? „Как лодочки пливают?"

ხელთ გვაქვს მოსწავლე მაია ფ-ძის რვეული რუსულ ენაში, სადაც მასწავლებლის მიერ, ჩვენ ფიქრობთ, წაუკითხავადაა დაწერილი ნიშნები, ვინაიდან მოსწავლეს უწერია ნიშანი „4" ისეთ ნაწერში, სადაც გაუსწორებელია 12, 16 შეცდომა, ნიშანი „5" უწერია მოსწავლეს, სადაც მხოლოდ ერთ პატარა წინადადებაში გაუსწორებელია 5 შეცდომა. ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება საქმისათვის, თუ **ალექსანდრე ძაგნიძე** მონახავს თავის სპეციალობის შესაფერ საქმეს.

* * *

ვანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში **უცხოური ენებიდან** ძირითადად ინგლისური და გერმანული ისწავლება. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლებში ამ საგნის სწავლებისათვის ნორმალური პირობებია შექმნილი-კლასები იყოფა ჯგუფებად და თითოეულ მასწავლებელს 12-14 მოსწავლესთან უხდება მუშაობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა დიდი ნაწილის დაბალი კვალიფიკაციისა და მინდობილი საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო, უცხოური ენების სწავლება ვანის რაიონის ზოგიერთ სკოლაში დაბალ დონეზეა დაყენებული.

შემოწმებული მასწავლებლების დიდი ჯგუფიდან მხოლოდ რამდენიმე შეიძლება გამოვყოთ (ც. მაღლაკელიძე-ამაღლების საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი, იზ. ძაგნიძე-ვანის

კიროვის სახ. საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი, ვ. ვაშალომიძე, ლ. ტყეშელაშვილი, ამავე სკოლის გერმანული ენის მასწავლებლები), რომელნიც დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს და კეთილსინდისიერი მუშაობით შესაბამის შედეგს აღწევენ.

ცუდად ასწავლიან გერმანულ ენას ლ. ადეიშვილი (ყუმურის საშ. სკოლა), ვ. იაშვილი (ქვედა გორას საშ. სკოლა), მ. დვალიშვილი (ამაღლების საშ. სკოლა), ინგლისურ ენას-ლ. ნაფეტვარიძე, ი. ქათამაძე, (შუამთის საშ. სკოლა), თ. დვალიშვილი (დაბა ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლა).

ლ. ადეიშვილს (ყუმურის საშ. სკოლა) 1957 წელს დაუმთავრებია ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ინგლისური ენის სპეციალობით, რატომღაც გერმანული ენის სწავლებისათვის მოუკიდია ხელი. გერმანულ ენას იგი დამაკმაყოფილებლად ვერ ფლობს, საუბრისას უშვებს უხეშ შეცდომებს, ყურადღებას არ აქცევს ე. წ. „უმლაუთებს" და გაკვეთილს ძირითადად მშობლიურ ენაზე ატარებს. მეცადინეობისას იყენებს თვალსაჩინოებას, მაგრამ შედეგს ვერ აღწევს, ვინაიდან ისევ მშობლიურ ენაზე მეტყველებს. იგი არასწორ განმარტებას იძლევა განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენების შესახებ. გამოკითხვის შემდეგ არ აფასებს მოსწავლეებს და სხვ. მოსწავლეებიც ისევე არასწორად მეტყველებენ, როგორც მასწავლებელი. კლასში მხოლოდ რამოდენიმე მოსწავლეს თუ აქვს მინიმალური ცოდნა. 12 მოსწავლემ ტექსტის წაკითხვაც ვერ შეძლო. საგნის მასწავლებელი არ ასწორებს საშინაო დავალების რვეულებს. საკონტროლო წერის ნორმები შესრულებულია, მაგრამ არ არის დაცული საკონტროლო წერის სახეები, ისინი ფორმალურად ტარდება.

მასწავლებელმა **ვ. იაშვილმა** (ქვედაგორის საშ. სკოლა) მეტად დაბალ დონეზე ჩაატარა გერმანული ენის გაკვეთილი მე-10 კლასში. იგი ენას არადამაკმაყოფილებლად ფლობს, მეტყველებისას უშვებს უხეშ შეცდომებს. მასწავლებელმა მიმართა „დაჯექიც" კი ვერ უთხრა მოსწავლეს სწორად, უფრო მეტი, მასწავლებელმა კითხვის წესებიც კი არ იცის. იგი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ მუშაობს საკუთარი თეორიული ცოდნის დონის ასამაღლებლად. მას 1973 წ. გაუელია მასწავლებელთა დახელოვნების კურსები, მაგრამ ეს მას მუშაობაში ვერ დახმარებია. მასწავლებელი არ ასწორებს საშინაო დავალების რვეულებს. ასეთი მუშაობის შედეგად მე-10, დამამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრებელ კლასში არც ერთმა მოსწავლემ კითხვა არ იცის. მეოთხედში კი ამ კლასს გერმანულში 100%-იანი მოსწრება აქვს.

მასწავლებელი მ. დვალიშვილი (ამაღლების საშ. სკოლა) გერმანულ ენას ცუდად ფლობს, არ მუშაობს თავისი თეორიული ცოდნის გასამდიდრებლად, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ იყენებს თვალსაჩინოებას. მას V კლასში მოუხერხებია, მოსწავლეთათვის ესწავლებინა გრამატიკული ელემენტები, მაგრამ მისი მოსწავლეები მე-10 კლასში როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური მასალის სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ. თვით მასწავლებელმა ახალი მასალა უხეში შეცდომებითა და მცდარი მახვილებით წაიკითხა. გაკვეთილის თემა მასწავლებელს შესანიშნავ მასალას აძლევდა მოსწავლეთა იდეური აღზრდისათვის, მაგრამ არ გამოუყენებია ამ მიმართებით. ასეთი მუშაობის შედეგად მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია, დაბალია მათი წერისა და მეტყველების კულტურაც. მასწავლებელს კი თითქმის ყველა კლასში 100%-იანი მოსწრება აქვს.

მასწ. ტ. თვალაბეიშვილმა დამაკმაყოფილებლად იცის ინგლისური ენა, მაგრამ არ უვარგა გამოთქმა. გაკვეთილზე იგი კითხვისა და თარგმანის მეთოდით იფარგლება, არ მუშაობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად; არ უსწორებს მოსწავლეებს ფონეტიკაში დაშვებულ შეცდომებს, რის შედეგადაც მეტად დაბალია მოსწავლეთა კითხვისა და მეტყველების კულტურა. მოსწავლეებმა კითხვის წესებიც კი არ იციან მე-7 კლასში. მასწავლებელი არ ასწორებს საშინაო დავალებისა და კითხვარების რვეულებს. მეოთხედური ნიშნების მიხედვით კლასში მხოლოდ ორი არადამაკმაყოფილებელი შეფასების ნიშანია დაწერილი მაშინ, როდესაც კლასში 2-3 მოსწავლის მეტმა კითხვაც კი არ იცის.

დამაკმაყოფილებლად ფლობს ინგლისურ ენას ლ. ნაფეტვარიძეც, მაგრამ, იმის გამო, რომ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ იცნობს სწავლების თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას, გრამატიკულ ცხრილებსა და ტაბულებს, იგი გაკვეთილს დაბალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე ატარებს: კითხვების დასმისას უშვებს შეცდომებს. მას გაკვეთილის თემად ქრისტეფორე კოლუმბის მოგზაურობა ჰქონდა და ასახსნელად გეოგრაფიული რუკაც კი არ გამოიყენა კლასში, რაც მას მეტად გაუადვილებდა გაკვეთილის ახსნას და არ დასჭირდებოდა ასე აქტიურად

მშობლიური ენის გამოყენება. გრამატიკას მასწავლებელი მხოლოდ თეორიულად ასწავლის და მოსწავლეებმა მისი გამოყენება არ იციან. „მოყევი გრამატიკა"-მიმართავს მასწავლებელი და მოსწავლეც „ყვება გრამატიკას". მისი 14 მოსწავლიდან ნახევარმა იცოდა რაღაც, დანარჩენი შვიდი კი კითხვასაც ვერ ახერხებდა. მასწავლებელი არ ასწორებს საშინაო დავალებისა და სალექსიკონო რვეულებს.

იზო ქათამაძე დამწყები მასწავლებელია, ინგლისურ ენას დამაკმაყოფილებლად ფლობს, ცდილობს გაკვეთილი ზეპირი მეტყველების მეთოდით ააგოს, ახალ გაკვეთილს თხრობით ხსნის ზეპირად, სიტყვებს დაფაზე წერს, მაგრამ შემდეგ ახალი მასალა მოსწავლეებამდე არ დაყავს, არ აკითხებს და, განმტკიცების გარეშე, პირდაპირ გრამატიკული მასალის ახსნაზე გადადის. გრამატიკული მასალის ახსნისას მან ვერ მოიფიქრა გაემეორებინა კლასთან დროთა თანმიმდევრობის ორი წესი და შემდეგ მიეცა პირდაპირი და ირიბი თემა, რის გამოც მან მიზანს ვერ მიაღწია. მასწავლებელი არ ასწორებს საშინაო დავალებისა და სალექსიკონო რვეულებს. კლასში სალექსიკონო რვეული მხოლოდ ერთ მოსწავლეს აღმოაჩნდა. ანალოგიური მეთოდიკური შეცდომებით ჩაატარა მასწავლებელმა გაკვეთილი VI კლასშიც. გაკვეთილზე სურათის აღწერაც იყო, ახალი ტექსტის ახსნაც, სიტყვებზე მუშაობაც, გრამატიკული მასალის ახსნაც და არც ერთი მათგანი არ იყო ბოლომდე ახსნილი და განმტკიცებული. ამის შედეგია, რომ მოსწავლეთა მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია.

საკონტროლო წერის ნორმები მასწავლებლებს შესრულებული აქვთ, მაგრამ წერის სახეები არ არის დაცული. საკონტროლო წერის თემებად, ძირითადად, სავარჯიშოებია გამოყენებული. შეცდომების გასწორებისას ზოგიერთი შეცდომა ყურადღების გარეშეა დარჩენილი.

მასწავლებელი თ. დვალიშვილი (ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლა) ინგლისურ ენას არადამაკმაყოფილებლად ფლობს, მეტყველებისას უშვებს უხეშ შეცდომებს; მე-6 კლასში მოსწავლეებს არ ესმით მასწავლებლის საუბარი უცხოურ ენაზე, ვინაიდან იგი გაკვეთილებს, საერთოდ, მშობლიურ ენაზე ატარებს. მიელ კლასში მხოლოდ 3-მა მოსწავლემ იცის მიახლოებით კითხვა. მასწავლებელი ვერ მუშაობს მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების გაუმჯობესებაზე, კითხვის წესების

შესწავლასა და სწორ გამოთქმაზე. იგი პერიოდულად ასწორებს სამინაო დავალების რვეულებს. ასეთი მუშაობის შედეგია მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე.

რაიონის სკოლებში უცხოური ენების მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებები ძირითადად დამაკმაყოფილებლად მუშაობენ, თუმცა გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებიც.

ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლის მეთოდგაერთიანებაზე დაუმუშავებით აქტუალური საკითხები-„მოდელების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში", „დიალოგური მეტყველების კითხვა-პასუხობრივი ფორმები და მათი სწავლება სკოლაში", „როგორ ვიყენებ მაგნიტოფონს ინგლისური ენის გაკვეთილებზე" და სხვ., მაგრამ ამ საკითხებს პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან გაკვეთილებზე არ იყენებენ. უცხოური ენის მასწავლებლები სწავლებაში არც ტექნიკურ საშუალებებს იყენებენ.

შუამთის საშუალო სკოლაში სამი ინგლისური ენის მასწავლებელია, მაგრამ არ არის მეთოდგაერთიანება. ამიტომაა, რომ მასწავლებლები ვერ ერკვევიან სწავლების თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებში. უფრო მეტი, აღნიშნული სკოლის სამასწავლებლოს კარადაში აღმოჩნდა ორი ხვეული თვალსაჩინოება ინგლასურ ენაში. მისი გამოყენება მასწავლებლებს აზრადაც არ მოსვლიათ.

ვანის რაიონის სკოლებში უცხოური ენების სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია, რაიონის განათლების განყოფილებამ შექმნას ამ საგნის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება, ხოლო ე. წ. საზოგადოებრივმა ინსპექტორმა (ამ საგნის სპეციალისტი განათლების განყოფილებას არ ჰყავს) სისტემატურად შეამოწმოს სკოლებში უცხოური ენების სწავლების მდგომარეობა; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მასწავლებელთა თეორიული ცოდნის დონის ამაღლებასა და პრაქტიკულ დაოსტატებას და სხვ.

* * *

ვანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში **ისტორია და საზოგადოებათცოდნეობა** ძირითადად დამაკმაყოფილებლად ისწავლება. კარგად ატარებენ გაკვეთლებს ა. ენუქიძე (შუაგორის საშ. სკოლა), მ. გიორგაძე (შუამთის საშ. სკოლა) და ნ. თურაზაშვილი (ვანის კიროვის სახ. საშ. სკოლა); კეთილსინდისიერად ემზადებიან და დამაკმაყოფილებლად ატარებენ გაკვეთილებს ა. ძაგნიძე (სოფ.

კიროვის საშ. სკოლა), ა. ქავთარაძე (შუაგორის საშ. სკოლა), ს. მესხი (ზეინდრის 8-წლიანი სკოლა).

სუსტად ჩაატარა გაკვეთილი მიქელეფონის 8, წლიანი სკოლის მასწავლებელმა გ. ბურკაძემ მე-6 კლასში. გაკვეთილის თემა იყო: „კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისი ინგლისში XVI საუკუნეში". გაკვეთილი დაიწყო ფრონტალური კითხვებით. პარაგრაფის მასალა დეტალურად იქნა დაუშავებული, რის შემდეგ მასწავლებელი გადავიდა ინდივიდუალურ გამოკითხვაზე. დამატებითი კითხვა მასწავლებელს მოსწავლეებისათვის არ მიუცია. მოსწავლეები ვერ ერკვევიან მოვლენათა არსში. არ არის რუკა. დაირღვა თანაფარდობა გაკვეთილის მონაკვეთებს შორის. ასე, მაგალითად: ფრონტალურ შემოწმებას დაეთმო 20 წთ., ინდივიდუალურს-5. ახალი მასალა-„შემოღობვა ინგლისში" არ იქნა სრულყოფილად ახსნილი. მოსწავლეთათვის გაურკვეველი დარჩა, რატომ ხდებოდა გლეხების მუშებად გადაქცევა, როგორ აწესრიგებდა მთავრობა მათს გადასახლებას ქალაქად (კანონი მაწანწალობაზე), რატომ ამბობდნენ ფეოდალები უარს ყმაგლეხობაზე, „ახალი არისტოკრატიის" წარმოშობა და სხვ.

ანალოგიური შეცდომებით წარიმართა **გ. ბურკაძის** გაკვეთილი მე-8 კლასშიც.

ყუმუოის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა **ვ. ლ. კორძაძემ** დაბალ დონეზე ჩაატარა გაკვეთილი სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში მე-7 კლასში. მასწავლებელს, პენსიაზე ყოფნის გამო, მცირე დატვირთვა აქვს, მაგრამ, ჩანს, ამასაც ვერ ართმევს თავს. ის საგანს ასწავლის მოძველებული ხერხებით და მეთოდებით. გამოსაკითხი მასალა „რუსეთი შვიდწლიან ომში", რომელიც მეტად საინტერესო ფაქტებსა და მოვლენებს შეიცავს, უფერულად ჩაატარა, რუკა სრულებით არ შეესაბამებოდა მოცემულ პერიოდს. სახელები მოტანილი იყო დამახინჯებით. მთელ გაკვეთილზე ერთხელაც არ იყო ნახსენები ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, როგორიცაა რუსეთის ჯარის მიერ ბერლინის აღება, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ვითარებაზე მთელ ევროპაში. მან ვერ მოასწრო ახალი გაკვეთილის ახსნა, ზედმეტია ლაპარაკი მის განმტკიცებაზე და სხვ.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება სოფ. კიროვის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის ს. ო. ქარჩხაძის მუშაობა. მე-9 და მე-5 კლასებში მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები მეტყველებენ, რომ ის არ ემზადება გაკვეთილებისათვის. სწავლებისათვის

სრულებით არ იყენებს თვალსაჩინოებას. მე-5 კლასში გაკვეთილი ძველ მსოფლიო ისტორიაში ჩატარდა. მოსწავლეებმა, ალბათ, იცოდნენ, რა მისი მომზადების დონე, ხშირად ერევიან მასწავლებლის თხრობაში, **თუ მკვეთრად არ გარდაქმნა მუშაობა, მასწავლებელ ს. ქარჩხაძეს უნდა აეკრძალოს სკოლაში მუშაობა**

სკოლის დირექცია ნაკლებ კონტროლსა და დახმარებას ახორციელებს მასწავლებელ ს. ქარჩხაძის მუშაობაზე, წლის მანძილზე მას მხოლოდ ორჯერ დაესწრენ. ამასთან, ანალიზები ზოგადი და არაფრისმთქმელია.

შემოწმებული სკოლებიდან მხოლოდ შუაგორის საშუალო სკოლაში არის შემოღებული ფაკულტატივი სამართალმცოდნეობაში, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ლილუაშვილი. ყველა კლასში შექმნილია „მილიციის ნორჩ თანაშემწეთა“ რაზმები. მათ მუშაობას ხელმძღვანელობს მილიციის ბავშვთა ოთახი. მილიციის მუშაკები სკოლის ხშირი სტუმრები არიან. ისინი ბავშვებთან ატარებენ ლექციებსაუბრებს. ფაკულტატივის მოსწავლეები დაესწრნენ გამსვლელი სასამართლოს სხდომას, რომელიც იხილავდა საქმეს ხულიგნობაზე, მოსწავლეებმა მოაწყეს კონან დოილის მოთხრობა „ბასკერვილების ძაღლის“ პერსონაჟთა გასამართლება და სხვ.

ვანის რაიონი ცნობილია უძველესი არქეოლოგიური გათხრებით, ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი სრულად არ არის ასახული რაიონის სკოლების ცხოვრებაში. კარგად მოწყობილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმები და ლენინის ოთახი გააჩნია მხოლოდ სალხინოსა (დირექტორი ნ. ლორთქიფანიძე) და ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლებს (დირექტორი მ. ხარძეიშვილი). უნდა ქებით აღინიშნოს ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებლის, ა. ვ. ძაგნიძის მუშაობა. იგი უნარიანად და მონდომებით უძღვება ისტორიის წრეში გაერთიანებულ მოსწავლეთა საქმიანობას. გაუმჯობესებას მოითხოვს ისტორიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებების მუშაობა. მათი გეგმები ძირითადად მხოლოდ მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარებას მოიცავს. არსად არ არის გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის დამუშავება, როგორიცაა ისტორიის სწავლება მე-4 კლასში. შემოწმებიდან ირკვევა, რომ ბევრი სკოლის ხელმძღვანელმა, საერთოდ, შეანელა კონტროლი ამ

საგნის სწავლებისადმი (ეს ჩანს მოსმენილი გაკვეთილების ანალიზიდან), ასე მაგალითად: შუამთის საშუალო სკოლის დირექციას მხოლოდ 6 გაკვეთილი მოუსმენია ისტორიაში. ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენ მიერ შემოწმებულ სხვა სკოლებშიც.

* * *

ვანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული ყურადღება ექცევა მათემატიკის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს. ამ საგნის მასწავლებელთა უმრავლესობა უმაღლესი განათლებითაა და მხოლოდ ერთეულები არიან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით. ახალი პროგრამების შემოღებასთან დაკავშირებით მასწავლებელთა დიდი ნაწილი უკვე გადამზადებულია. რეგულარულად მიმდინარეობს დანარჩენების გადამზადებაც. ამავე დროს, რაიონის მეთოდკაბინეტი ნაყოფიერ ღონისძიებებს ატარებს მე-7 კლასების მათემატიკის მასწავლებლებთან, რომლებიც წელს პირველად მუშაობენ ახალი პროგრამით.

უნდა აღნიშნოს, რომ ცალკეულ სკოლებს (შუაგორის, ტობანიერის, ვანის კიროვის სახ. და სხვ.) შეძენილი აქვთ სწავლების ტექნიკური საშუალებანი: კინოპროექტორი, დიაპროექტორი, ეპიდიასკოპი, მაგნიტოფონი, ტელევიზორი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათემატიკის სწავლებას რაიონის სკოლებში სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს: ყველა სკოლის ნებისმიერი კლასის მოსწავლეები მათემატიკის ელემენტარული საკითხების სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ამ რაიონის არც ერთ მოსწავლეს არ მიუღია მონაწილეობა მათემატიკის რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, ხოლო უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ჩარიცხულთა რაოდენობა ძალზე მცირეა.

შემოწმებული სკოლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ რაიონი მოუმზადებელი შეხვდა მათემატიკის ახალ პროგრამებზე გადასვლას და წლების განმავლობაში, რაც ეს პროგრამები ხმარებაშია, არ გადადგმულა რაიმე სერიოზული ნაბიჯი საგნის სწავლების ახლებურად გარდაქმნისათვის. არც ერთ შემოწმებულ სკოლაში არ აღმოჩნდა მათემატიკის კაბინეტი (არც კლას-კაბინეტი) და

არც ერთ მოსმენილ გაკვეთილზე არ ყოფილა გამოყენებული არამცთუ ტექნიკური საშუალება, რაიმე უბრალო თვალსაჩინოებაც კი. ამრიგად, მასწავლებელთა უმრავლესობა მათემატიკას მარტო ცარცისა და დაფის გამოყენებით ასწავლის. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებს, ადვილად წარმოვიდგენთ მოსწავლეთა უცოდინარობის მიზეზს.

ტობანიერის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. თევზაძემ V კლასში ახალ მასალად ასხნა შერეული რიცხვების გამოკლების ის შემთხვევა, როცა საკლების წილადი ნაწილი ნაკლებია მაკლების წილად ნაწილზე. ამ მიზნით მან კლასის წინაშე დააყენა პრობლემა: „როგორ შევასრულოთ მოქმედება $2\frac{1}{5} - 1\frac{2}{5}$? შეიძლება საკითხის ასე დაყენება სწორი იყო, მაგრამ შემდეგ გამოძახებულ ბავშვებს სულ სხვა მაგალითები მისცა და მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ადრეც უნდა სცოდნოდა კლასს $\left(1 - \frac{1}{3};\ 5 - \frac{3}{8}\right.$ და სხვა.$\left.\right)$ და ამ საქმიანობამ იმდენად გაიტაცა, რომ ადრე დაწერილი მაგალითი სულ დაავიწყდა და შემდეგ კი ერთ-ერთ ბავშვს სხვა ნაწერებთან ერთად ისიც წააშლევინა. თუ მასწავლებელი რაიმე პრობლემის დაყენებას ცდიდობს კლასის წინაშე, შემდეგ ამ პრობლემის გადაწყვეტაც უნდა აჩვენოს. კლასმა არ იცის გამრავლების გადანაცვლებადობის კანონი, ამიტომ ნამრავლს $5^2 \cdot 3^2 - 2^2$ პირდაპირ თანამიმდევრობით ანგარიშობენ. კლასში მოიკოჭლებს დისციპლინაც-წინა მერხებზე მსხდომი ბავშვები გაძახებულ მოსწავლეებს ყარნახობდნენ.

ამავე სკოლის მასწავლებელი ინეზა ბელთაძე დამწყებია-მას ესაჭიროება სისტემატური მუშაობა თეორიული ცოდნის გასაღრმავებლად.

შუაგორის საშ. სკოლის მასწავლებელი მერი გიორგაძე მეტისმეტად ერევა მოსწავლეთა პასუხებში და თითქმის არ აძლევს მათ დასმულ საკითხზე მოფიქრების საშუალებას. ამავე სკოლის მასწავლებელმა შოთა გიორგაძემ X კლასში წაიკითხა ლექცია (ამ სიტყვის სრული გაგებით) ფუნქციის მონოტონურად ზრდადობისა და კლებადობის შესახებ. გაკვეთილის პროცესში არც ერთ მოსწავლეს არ

მოუღია ხმა, არც ერთ მათგანს არ გაუკეთებია რაიმე ჩანაწერი რვეულში, სამაგიეროდ, გაკვეთილის ბოლოს დაფაზე უხვად აღმოჩნდა ფორმულები, ნახაზები და გრაფიკები, როგორც წაკითხული ლექციის ნაკვალევი.

თიქმის ასეთივე გზით ჩაატარა გეომეტრიის გაკვეთილი მე-6 კლასში დაბა ვანის კიროვის სახ. საშ. სკოლის მასწავლებელმა შოთა კორძაძემ. მან თეორემა სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამზე თავის შედეგებით თვითონ დაამტკიცა მოსწავლეების ჩარევის გარეშე; ხოლო ამ მასალის განმტკიცებისა და საშინაო დავალების გამოსაკითხად მოსწავლეთა ერთ ჯგუფს იძახებდა, კლასის დიდი ნაწილი კი გაკვეთილის პროცესში უსაქმოდ იყო.

გაკვეთილზე მოსწავლეთა ერთ ვიწრო ჯგუფთან მუშაობს აგრეთე სოფ. კიროვის საშ. სკოლის მასწავლებელი ნიკოლოზ სანიკიძე (სკოლის დირექტორი). ამ სკოლის მასწავლებელი ეთერ ლორთქიფანიძე კი ძალზე აქტიურობს გაკვეთილზე (მოსწავლეთა პასიურობის ხარჯზე) და ზოგჯერ არასწორ გზასაც მიმართავს მაგალითების ამოსახსნელად. მაგალითი: $6\frac{3}{4}+1\frac{5}{4}-2\frac{3}{8}$ მან ორი მოქმედებით გააკეთებინა მოსწავლეს (მე-5 კლასში). აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი გაკვეთილზე წამღერებით საუბრობს: „დაჯექი", „რას უდრის, ასმაათი?" და სხვ. ბავშვებიც ამ ტონზე მეტყველებენ.

ანალოგიური შეუსაბამობანი აქვთ მუშაობაში შემოწმებულ სკოლებში მომუშავე მათემატიკის სხვა მასწავლებლებიც.

აღმაშფოთებელია ჩვენ მიერ ჩატარებული საკონტროლო წერების შედეგები. ამ ფაქტმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რამდენად ფეხმოკიდებულია ზოგიერთ სკოლაში ლიბერალიზმი და თვალის ახვევა, როგორ ცდილობს მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი დადებით ნიშნებზე ამოფარებით მიჩქმალოს თავისი უხეირო მუშაობა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღნიშნოს, რომ ყველა ჩატარებულ საკონტროლო წერაში თვით მასწავლებლის მიერ დასმული ნიშნები არსებითად განსხვავდება ამავე მასწავლებლის მიერ წინა ნამუშევრებში დაწერილი ნიშნებისაგან.

ყუმურის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მასწავლებელმა ოლია ჯულაყიძემ თვითონ შეადგინა საწერი თემა. იმ თემის ანალოგიური, რაც წინა წერაზე ჰქონდა მიცემული კლასს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელმა ამ საკითხზე დაწვრილებით მისცა ახსნა-განმარტება

მოსწავლეებს, შედეგი მაინც ასეთია: დაიწერა ერთი "4", 10-„3", 8-„2", მეორე მეოთხედის ბოლოს ამ საგანში „2" უწერია მხოლოდ ორ ბავშვს და „"- 4-ს.

სოფ. კიროვის საშ. სკოლის VI კლასში (მასწავლებელი ლევან კაპანაძე) სრულიად მარტივი საკითხები იყო მიცემული საკონტროლო წერისათვის (მაგ. ასეთი: რამდენი მონაკვეთი განისაზღვრება სამი წერტილით?) კლასს მასწავლებელმა მითითებაც კი მისცა, მაგრამ შედეგი მაინც ცუდია. შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილად არც ერთ მოსწავლეს არ შეუსრულებია ეს სამუშაო. ყურადღებას იპყობს ის ფაქტი, რომ ნაწერების უმრავლესობაში უცხო ხელით ჩამატებულია რაღაც უაზრობანი, რომელთაც მასწავლებელი არასოდეს არ აღნიშნავს, როგორც შეცდომას.

ტობანიერის საშ. სკოლის მე-10 კლასში (მასწ. ამბროსი გორგოძე) საწერ თემად კლასს მიეცა ზუსტად იგივე მაგალითები, რაც 5,II-ს საკონტროლო წერისათვის ჰქონდა მიცემული. უნდა ითქვას, რომ მაგალითები ძალზე მარტივია და ამ კლასში მათი მიცემა უხერხულიცაა. მაგ: $\left(\frac{3}{4}\right)^x = \left(\frac{4}{3}\right)^5$, მაგრამ მოსწავლეებმა მაინც ვერ დაძლიეს ეს მასალა. დაიწერა:

1- „4"
4- „3"
8- „2"
4- „1"

შუაგორის საშუალო სკოლის მე-8 კლასისათვის გეომეტრიაში საკონტროლო წერის თემები თვით მასწავლებელმა, საშა ლილუაშვილმა შეადგინა. მაგალითები რთული არ იყო, მაგრამ შედეგი მაინც ასეთია:

4- „5"
3- „4"
7- „3"
5- „2"

დაბა ვანის კიროვის სახ. საშ. სკოლის მე-9 კლასისათვისაც საკონტროლო წერის თემები გეომეტრიაში თვით მასწავლებელმა, მარგარიტა გიორგაძემ შეადგინა. მასწავლებელს ნება დაერთო, მითითებაც მიეცა კლასისათვის. შედეგი კი ასეთია:

3- „5“
4- „4“
11- „3“
10- „2“
1- „1“

სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ისმენენ მათემატიკის გაკვეთილებს, მაგრამ მათი მითითებანი მეთოდურად გაუმართავია. უმრავლეს შემთხვევაში ისინი ფორმალური ხასიათისაა და ანალიზი გაკვეთილის სქემატურ აღწერას წარმოადგენს. ყუმურის საშ. **სკოლის დირექტორი ვ. ნადირაძე** და დაბა ვანის კიროვის სახ. საშუალო **სკოლის დირექტორის მოადგილე ი. კორძაძე** საკონტროლო წერის გაკვეთილებზე დასწრების შედეგად მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ გადაიწერენ ყველა ამოცანასა და მაგალითს, რაც კლასისათვის იყო მიცემული და ბოლოს კი ამ წერის შედეგებს დაურთავენ; არავითარ მეცნიერულ ანალიზს არ შეიცავს მათ მიერ მოსმენილი სხვა გაკვეთილებიც.

სოფ. კიროვის საშ. სკოლის დირექტორი ნ. სანიკიძე ამ საგნის სპეციალისტია და, ალბათ, ამიტომაა, რომ მიმდინარე წელს მათემატიკის 20 გაკვეთილი აქვს მოსმენილი. ანალიზები კი უფრო მათემატიკის ცალკეულ დებულებათა ჩამოყალიბებას შეიცავენ, ვიდრე მეთოდურ მითითებებს. მაგალითად, 28 IX-ს მასწ. კაპანაძის მიერ ჩატარებული გაკვეთილის ანალიზში ჩამოყალიბებულია თალესის თეორემა, ხოლო 9|X-ს მოსმენილი გაკვეთილის ანალიზში განხილულია x-ის დასაშვები მნიშვნელობანი x-ა გამოსახულებისათვის.

ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის **დირექტორს მ. ხარძეიშვილსა** და ზოგიერთ სხვა სკოლის ხელმძღვანელს წელს სულ არ მოუსმენია მათემატიკის გაკვეთილები. შესწავლილი სკოლებიდან მხოლოდ ვანის კიროვის სახ. საშ. სკოლაშია პედსაბჭოს სხდომაზე განხილული საკითხი მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ. გაფორმების მხრივ აქაც მთელი რიგი ზედმეტობა და უზუსტობანია დაშვებული. ოქმების წიგნის 3 გვერდი ზოგად მსჯელობას აქვს დათმობილი, შემდეგ მოდის კლასების მიხედვით იმ ცალკეულ მოსწავლეთა დასახელება, რომლებიც ძლევენ საპროგრამო მასალას. გატარებული ღონისძიებანი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ერთ მუხლში

ასე წერია: „დაევალოს დირექციას, შეისწავლოს VIII კლასის აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზი და სისტემატურად გაკვეთილებზე დასწრებით შეისწავლოს ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და დასახოს პრაქტიკული ღონისძიება ნაკლოვანებების გამოსასწორებლად“ (სტილი დაცულია).

ყველა სკოლაში შემოწმდა საკონტროლო და საკლასო-საშინაო წერის რვეულები მათემატიკაში. საკონტროლო წერის რვეულები ყოველთვის სწორდება, საკლასო-საშინაო რვეულების გასინჯვისა და გასწორების შემთხვევა კი არც ერთ სკოლაში არ გვხვდება.

საკონტროლო სამუშაოები ალგებრასა და გეომეტრიაში, საერთოდ ერთ რვეულში თავსდება. თევზაძეს, ბელაძეს (ტობანიერის საშ. სკოლა), კაპანაძეს (სოფელ კიროვის საშუალო სკოლა) ცალ-ცალკე რვეულები აქვთ ამ საგნებში.

ვ. გიორგაძის (შუაგორის საშ. სკოლა), ლ. კაპანიძის (კიროვის საშ. სკოლა), ა. გიორგაძის (ყუმურის საშ. სკოლა) მიერ გასწორებულ საკონტროლო წერით ნამუშევრებში ხშირად შეინიშნება მოსწავლეებისაგან ერთმანეთის ნაშრომის გადაწერა, მაგრამ მასწავლებლები ამას ყურადღებას არ აქცევენ. მასწავლებელი ვ. ლორთქიფანიძე (კიროვის საშ. სკოლა) ხელოვნებით უწერს მოსწავლეებს „სამებს“, მაგრამ დაშვებულ შეცდომებს არ აღნიშნავს სათანადო ხაზებით. მის მიერ გასწორებული ნაშრომებში გვხვდება აგრეთვე მოქმედებათა შეუსაბამოდ გამოყენების ხშირი შემთხვევები, რასაც მასწავლებელი სრულებით არ აქცევს ყურადღებას.

საკონტროლო წერის შედეგები მასწავლებლებს გადააქვთ საკლასო ჟურნალში (შუაგორის საშ. სკოლა). გვხვდება ნიშნების გადასწორების შემთხვევები, ხოლო ვანის საშუალო სკოლაში მასწავლებლის მიერ გამოყვანილი ნიშნები შეცდომითაა გადატანილი ჟურნალის ბოლოში. სკოლებში შექმნილია მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანება (ტობანიერის საშ. სკოლაში იგი შეერთებულია რაიონის მეთოდგართიანებასთან). გაერთიანებანი მუშაობენ გეგმის მიხედვით, რომელიც საშუალოდ თვეში ერთი მეცადინეობის ჩატარებას ითვალისწინებს. ზოგიერთ მეთოდგაერთიანებას ცალკეული საკითხი კარგად აქვს დამუშავებული, მაგალითად: შუაგორის საშუალო სკოლაში („როგორ ვხსნი მათემატიკის ამოცანებს IV კლასში“)

ან ყუმურის სკოლაში („ფუნქციის გრაფიკის შესწავლა V კლასში“, „მათემატიკის სწავლება V კლასში ახალი პროგრამით“) და სხვ.

* * *

ფიზიკის სწავლებას ვანის რაიონის სკოლებში გარკვეული ყურადღება ექცევა, თუმცა ჯერ კიდევ არ დგას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ბევრ სკოლაში ფორმალურად არსებობს ფიზიკის კაბინეტები, რადგან სათანადო მოვლისა და თვალსაჩინოებისა თუ ტექნიკური საშუალებების გარეშე მოკლებულნი არიან უნარს, შეასრულონ თავისი დანიშნულება. სოფელ კიროვის საშუალო სკოლაში ფიზიკის კაბინეტი შედგება ორი ოთახისაგან. კაბინეტში არ არის დაბნელება. ხელსწყო-იარაღები საკმარისზე ნაკლებია, არ გააჩნიათ პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოებისათვის აუცილებელი ხელსაწყო-იარაღების კომპლექტები, ამიტომაც არ ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები.

ტექნიკური საშუალებებიდან სკოლის კაბინეტში არის მხოლოდ ფილმოსკოპი. ამ სასწავლო წლის დასაწყისში რაიონის ფილმოტეკიდან სკოლისათვის გადაუცია კინოაპარატი „უკრაინა“, რომელიც, არაარსებითი მიზეზების გამო (აკლია შემაერთებელი გამტარები), დღემდე უმოქმედოდ დგას. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, თუ როგორ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს და როგორ დგას ამ საგნის სწავლების საქმე სოფელ კიროვის საშუალო სკოლაში.

სოფ. მიქელეფონის რვაწლიან სკოლაში კაბინეტი არ არის უზრუნველყოფილი დგამ-ავეჯით და მისი გარეგნული ფორმა არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ხელსაწყო-იარაღები კაბინეტში საკმარისი რაოდენობითაა, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ მისი გამოყენება ნაკლებად ხდება. არ არის ჩატარებული პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები. ტექნიკური საშუალებებიდან კაბინეტში არის ეპიდიასკოპი და ფილმოსკოპი, მაგრამ მათი გამოყენება იშვიათად ხდება, რადგანაც სკოლას არ გააჩნია საკმარისი რაოდენობით დიაპოზიტივები და დიაფილმები.

სოფელ შუაგორის საშუალო სკოლაში ფიზიკა-ქიმიის კაბინეტი კომბინირებულია ისე რომ, თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი საპრეპარატო. კაბინეტი დგამ-ავეჯით არ არის უზრუნველყოფილი, ხელსაწყო-იარაღები საკმარისზე მცირეა, რაც არ იძლევა საშუალებას,

ჩატარდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა ლაბორატორიული სამუშაო.

ტექნიკური საშუალებები კაბინეტს საკმაო რაოდენობით გააჩნია, არის კინოაპარატი, ეპიდიასკოპი, დიაპროექტორი „ლეტი". ფილმოსკოპი, მაგრამ სწავლების პროცესში მათი გამოყენების შესახებ ჩვენ არავითარი წარმოდგენა არ შეგვქმნია, რადგან ლაბორანტს არ აღმოაჩნდა დღიური, რომელშიც უნდა იყოს აღრიცხული დემონსტრაციები. ცდები და ჩატარებული ლაბორატორიული სამუშაოები.

ფიზიკის კაბინეტებს და ვანის გ. ტაბიძისა და ს. კიროვის საშ. საშუალო სკოლებში საკმაო ფართობი აქვს დათმობილი, მაგრამ, ზოგიერთი არსებითი ხასიათის ნაკლოვანების გამო, მათი წარმატებით გამოყენება ვერ ხერხდება.

ვანის გ. ტაბიძის სახ. საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტში ხელსაწყო-იარაღები არ არის იმ რაოდენობით, რომ ჩატარდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა ლაბორატორიული სამუშაო. არ გააჩნიათ ხელსაწყოთა კომპლექტი-განკუთვნილი ამა თუ იმ ლაბორატორიული სამუშაოსათვის.

ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტში დგამ-ავეჯი მოძველებულია და შეცვლას საჭიროებს. ლაბორატორიული მაგიდები არ არის ელექტროფიცირებული, დაბნელება პრიმიტიულია. ცუდია კაბინეტის განათება, არ არის ხელსაწყოთა კომპლექტები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული ყველა ლაბორატორიული სამუშაო ჩატარებულია.

რაიონის სკოლებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობის შესწავლისის გამოირკვა ერთი უცნაური შეუსაბამობა; მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი დამაკმაყოფილებლად ფლობს საგანსა და მისი სწავლების ხერხებსა და მეთოდებს, სწავლების პროცესში უნარიანად იყენებს თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს; მოსწავლეებიც დამაკმაყოფილებელ ცოდნას აცლენენ, მაგრამ იგივე კლასებში ჩატარებული წერითი მუშაობის შედეგები კი სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვიჩვენებს. მაგალითად:

შუაგორის საშუალო სკოლის მასწავლებელმა დ. მ. ხურციძემ მე-10 კლასში დამაკმაყოფილებელი გაკვეთილი ჩაატარა. როგორც მასწავლებელმა, ისე მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს. სრულიად საწინააღმდეგო სურათი მოგვცა პარალელურ

მე-10-ბ კლასში ჩატარებულმა საკონტროლო წერამ: 24 მოსწავლიდან „2“ დაიმსახურა 18 მოსწავლემ, დანარჩენმა-„3“.

ანალოგიური შედეგი მივიღეთ ვანის გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის მასწ. ჟ. ვ. გიორგაძის, ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლის მასწ. ს. მაღლაკელიძის მუშაობის შემოწმების შემდეგ. მათ გაკვეთილები დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს, საკონტროლო წერებმა კი სავალალო სურათი გვიჩვენა:

X-ა კლასის (მასწ. ჟ. გიორგაძე) 19 მოსწავლიდან „2“ მიიღო 14 მოსწავლემ, ხოლო იმავე კლასის 20 მოსწავლიდან, სადაც ს. მაღლაკელიძე ასწავლის-17 მოსწავლემ. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში საწერად მარტივი ამოცანები იქნა შერჩეული დემკოვიჩის ცნობილი ამოცანათა კრებულიდან.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ფიზიკას ლ. გ. ხურციძე (შუაგორის საშუალო სკოლა), თ. ლასხიშვილი (ვანის გ. ტაბიძის სახ. 8-წლიანი სკოლა), ვ. მამაგეიშვილი (ვანის კიროვის სახ. საშ. სკოლა), ვ. რუხაძე (ყუმურის საშ. სკოლა). ისინი სისტემატურად, პასუხისმგებლობით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, სწავლებაში იყენებენ მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს, რის შედეგად მათი მოსწავლეები ამყარებენ ფიზიკის პროგრამული მასალის დამაკმაყოფილებელ ცოდნას.

ცუდად ასწავლიან ფიზიკას ე. ლორთქიფანიძე (სოფ. კიროვის *საშუალო სკოლა), ა. სანიკიძე (მიქელეფონის 8-წლიანი სკოლა.)*

ეთერ ლორთქიფანიძემ IX კლასში გაკვეთილი დაიწყო საშინაო დავალების შემოწმებით. დაფასთან გამოიძახა მოსწავლე, რომელიც მოგვითხრობდა გაზებში განმუხტვის სხვადასხვა ტიპებზე. საკითხის გადმოცემის პროცესში მოსწავლე უშვებდა მრავალი მეცნიერული ხასიათის შეცდომას, მაგრამ მოსწავლემ ისე დაამთავრა თხრობა, რომ მასწავლებელი ერთხელაც არ ცდილა გაესწორებინა ეს შეცდომები და მიეყვანა კლასი მოვლენის სწორ ახსნამდე. გამოკითხვის დროს ნათელი გახდა, რომ მოსწავლეებმა არ იციან, რატომ არის დამუხტული ღრუბლები და რა ნაწილაკებია ელექტრული მუხტის მატარებელი. მოსწავლეებმა არ იციან განმუხტვის დროს წარმოშობილი ხმაურის მიზეზი და მას ხსნიან ღრუბლების დაჯახებით. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის მიერ დასმული ფრონტალური კითხვები არ არის გამართული და მეცნიერულად სწორი. ასე მაგალითად, მასწავლებელი მიმართავს კლასს: აბა, ბავშვებო, დენი რაში ტარდება

კიდევ? ვინ დაამტკიცა კულონის კანონი? პლაზმა რა შემთხვევაში მიიღება, ბავშვებო? ტემპერატურა რა უნდა ვქნათ მაშინ? შეკითხვაზე-დედამიწა როგორი მუხტის მატარებელია, მოსწავლეები პასუხობენ: დედამიწა არის მუხტის კარგი მატარებელი.

მასწავლებელი კლასისადმი მიცემულ ზოგიერთ ახსნა-განმარტებაში უშვებს ყოვლად დაუშვებელ მეცნიერული ხასიათის შეცდომებს. ასე, მაგალითად: მასწავლებელს მიაჩნია, რომ ქუჩაში არსებული განათების ბოძები ერთმანეთთან მიმდევრობით არის ჩართული.

კლასის გამოკითხვამ დაგვარწმუნა, რომ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ცუდად ერკვევა პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა საკონტროლო წერა X კლასში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კლასი 100%-იანი მოსწრებისაა. სამუშაოდ მიცემულ იქნა მარტივი ამოცანები (დემკოვიჩის ამოცანათა კრებული № 1472 და № 1472). მიუხედავად ამისა, შედეგები მეტად სავალალოა: 20 მოსწავლიდან ნიშანი „2“ მიიღო 17 მოსწავლემ და მხოლოდ სამმა მათგანმა დაიმსახურა ნიშანი „3“.

მასწავლებელმა **აკაკი სანიკიძემ** მე-8 კლასში გაკვეთილი დაიწყო თეორიული მასალის გამოკითხვით (საყრდენი ფართის მქონე სხეულთა წონასწორობა). დაფასთან გამოძახებული მოსწავლე გაკვეთილის მოყოლის დროს უშვებს მთელ რიგ შეცდომებს, იგრძნობა საკითხის ზერელე ცოდნა. აშკარაა, რომ მოსწავლეებს არ ესმით გადმოსაცემი მასალის ღრმა ფიზიკური არსი.

მოსწავლეები ვერ აყალიბებენ ბრუნვის ღერძის მქონე სხეულების წანასწორობის პირობებს. ვერ წარმოუდგენიათ, რას ნიშნავს ძალების გეომეტრიული ჯამის ნულთან ტოლობა, მთელ კლასში არ აღმოჩნდა მოსწავლე, რომელიც განმარტავდეს, რა შემთხვევაში არის საყრდენი წერტილს მქონე სხეული არამდგრად წონასწორობაში. ვერავინ მოახდინა წონასწორობის დროს სიმძიმის ძალის დაშლა შემადგენელ ძალებად, აშკარად იგრძნობა, რომ მოსწავლეებს სხეულთა წონასწორობის საკითხები ზეპირად აქვთ შესწავლილი და შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების არავითარი ჩვევა არ გააჩნიათ.

ახალი მასალა — „ძალა და იმპულსი“ მასწავლებელმა ახსნა ყოველგვარი ცდისა და დემონსტრაციის გარეშე, და გაუგებრად, ერთი სიტყვაც არ უთქვამს მასწავლებელს ძალის იმპულსისა

და სხეული იმპულსის ვექტორულობის შესახებ. მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ ახსნილი მასალა ვერ გაიგო, ყოველივე ამაში დავიბნეთ. მუნდით, როდესაც კლასი შემოწმდა ფრონტალური კითხვებით ახლად ახსნილი მასალიდან.

*

* *

ვანის რაიონის სკოლებში **ბიოლოგიის** სწავლების მდგომარეობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ბიოლოგიის მასწავლებელთა უმრავლესობა დამაკმაყოფილებლად ფლობს საგანს, მისი სწავლების ხერხებსა და მეთოდებს.

კარგად ასწავლის ბიოლოგიას გ. ღენძელაძე (ტობანიერის საშ. სკოლა). მან მეთორდურად სწორად წარმართა ზოოლოგიის გაკვეთილი VI კლასში. უნარიანად გამოიყენა სწავლების პროცესში თვალსაჩინოება. მისმა მოსწავლეებმა მასალის ღრმა ცოდნა გამოამჟღავნეს როგორც ინდივიდუალური შემოწმებისას, ისე ახალი მასალის განმტკიცების დროს. ანალოგიური წარმატებით ჩაიარა მისმა გაკვეთილმა VIII კლასშიც, სადაც მოსწავლეებმა საშინაო დავალების -„თავის ტვინის ღეროვანი ნაწილი და ნათხემი"-კარგი ცოდნა გამოაჟღავნეს.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ბიოლოგიას ყველა შემოწმებულ სკოლაში. ამ საგნის მასწავლებელთა მუშაობის საერთო ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ:

ნაკლებად იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს, სისტემატურად არ ატარებენ საკონტროლო წერებს, ხოლო თუ ატარებენ ნიშნები აღარ გადააქვთ საკლასო ჟურნალებში და სხვ.

ბიოლოგიის სწავლების საქმე უშუალოდ უკავშირდება სასწავლო-საცდელ მიწის ნაკვეთებზე მუშაობას. მდგომარეობა ამ მხრივაც დამაკმაყოფილებელია.

კარგად მოწყობილი სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი აქვს ვანის კიროვის სახელობის საშ. სკოლას (დირექტორი მ. ხარძეიშვილი). აქ მოსწავლეებს კარგად დაუმუშავებიათ ნიადაგი, მოუწყვიათ კვალსათბური, გაუშენებიათ თუთის სანერგე. მომავალში განზრახული აქვთ თევზსაშენის მოწყობა. პატარა კვალსათბური აქვს ტობანიერის საშუალო სკოლასაც (დირექტორი ი. უღრელიძე). აქ დამუშავებულია ნიადაგი, სადაც დაგეგმილი აქვთ ვაზის გაშენება. მცირე რაოდენობათაა ჩატარებული მყნობა. შეიძლებოდა მყნობა ჩაეტარებინათ არა

ერთსა და ორ ძირზე, არამედ უფრო მეტი რაოდენობით. საშემოდგომო კულტურების თესვა არაა ჩატარებული, ნაკლებად იგრძნობა საცდელი მუშაობა. ამაღლების საშ. სკოლას (დირექტორი რ. ძიგრაშვილი) სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე ჩაუტარებია საშემოდგომო სამუშაოები. დათესილი აქვთ ბოლოკი, პრასი, წიწმატი, ღხრახუში, დარგული აქვთ ხახვი, დაყენებული აქვთ ცდები სასუქების გავლენაზე, მოსავლიანობაზე (ნაკვეთის გამგე არის აგრონომი).

სოფ. კიროვის საშ. სკოლას აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, რომელზეც ნაწილობრივ აქვთ ჩატარებული საშემოდგომო სამუშაოები, დამუშავებულია ნიადაგი, მაგრამ სასწავლო-საცდელი მუშაობა, დღეისათვის არ არის ჩატარებული. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც.

სკოლებში იშვიათად გვხვდება მოწყობილი ბუნების ცოცხალი კუთხეები. შემოწმებულთაგან მხოლოდ ტობანიერისა და ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლებშია ცოცხალი კუთხეები და იქაც მცირე რაოდენობით.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის **შრომით აღზრდასა და მის პროფესიულ ორიენტაციას.** დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდება იმ მიმართებით, რომ ახალგაზრდობამ სწორად აირჩიოს თავისი მომავალი საქმიანობა, რათა მეტი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებასა და საკუთარ თავს.

ამ მხრივ ვანის რაიონის განათლების განყოფილებასა და სკოლებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული: შემოწმებული სკოლების წლიურ სამუშაო გეგმაში შეტანილია მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ამსახველი ღონისძიებები-საწარმოო ექსკურსიების ჩატარება, მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობა, მოსწავლეთა მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის მოსამზადებლად ტექნიკური და სპეციალური დისციპლინების სწავლების მდგომარეობის შემოწმება და პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა, მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და მშობლებთან ინდივიდუალური საუბრების ჩატარება, სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და ხელსაწყოების წესრიგში მოყვანა. შრომის მოწინავე ადამიანებთან შეხვედრების მოწყობა, საგნობრივი მეთოდური კომისიებისა და აკადემიური წრეების ჩამოყალიბება და სხვა.

პედაგოგიური საბჭოს წლიურ სამუშაო გეგმებშიც არის მოცემული ეს საკითხები. ყუმურის, სოფ. კიროვისა და ტობანიერის სკოლებს 1974 წლის დეკემბერის თვეში პედსაბჭოზე ცალკე საკითხად აქვთ განხილული მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მდგომარეობა და პროფესიული ორიენტაცია. ყუმურისა და კიროვის სკოლებში ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდნენ სკოლის დირექტორები ამხ. ამხ. ვ. ნადირაძე და ნ. სანიკიძე, ხოლო ტობანიერის საშ. სკოლაში-ორგანიზატორი ა. გიორგაძე.

დანარჩენ სამ სკოლას (დაბა ვანის, შუაგორის, მიქელეფონის) ეს საკითხები განხილული აქვს განვლილი მეოთხედის შედეგებსა და მომავალი მეოთხედის ამოცანებში.

ყველა შემთხვევაში მომხსენებლები დადებითთან ერთად აღნიშნავენ ამ მიმართებით პედკოლექტივის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსაც. ასე მაგალითად: ზოგიერთ კლასის ხელმძღვანელს თავის სამუშაო გეგმაში არ აქვს გათვალისწინებული ექსკურსიებას მოწყობა, სუსტად მუშაობს მშობლებთან, რის შედეგადაც მათ გაკვეულ ნაწილს არასწორი, ზერელე წარმოდგენა აქვს შვილის მიერ პროფესიის არჩევის საკითხზე და შვილების პროფტექნიკურ სასწავლებლებში წასვლას მიიჩნევენ, როგორც ადმინისტრაციული ზემოქმედების შედეგს. ამ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ ისახება კონკრეტული ღონისძიებები, როგორიცაა მჭიდრო კავშირის დამყარება კოლმეურნეობებთან, სასწავლო საგნების მჭიდრო შეხამება თანამედროვე წარმოების საფუძველთან, მოსწავლე ახალგაზრდობაში სააგიტაციო მუშაობის გაძლიერება პროფორიენტაციის საკითხებზე.

მოსაწონია, რომ სკოლის ადმინისტრაცია თავის მორიგ პედსაბჭოს სხდომაზე ისმენს ინფორმაციას მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

კლასის ხელმძღვანელთა უმრავლესობას გეგმებში გათვალისწინებული აქვს პროფორიენტაციის საკითხები, როგორიცაა: საუბრის ჩატარება, ექსკურსიების მოწყობა, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრა, მშობლებთან ინდივიდუალური საუბრების ჩატარება და სხვა.

ვანის რაიონის საშუალო და 8 წლიანი სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობას გარკვეული წლილი შეაქვს კოლმეურნეობათა ეკონომიკაში, ამის დამადასტურებელია ზაფხულის არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში.

მაგალითისათვის მარტო შუაგორისა და კიროვის საშუალო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შრომის შედეგები კმარა:

შუაგორის საშ. სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადამ (აერთიანებდა 120 მოსწავლეს, დაყოფილი იყო 10 ჯგუფად) საკუთარი ძალებით დაამზადა 70 ტ. სასილოსე მასალა, 5 ტ. სიმინდი, ჩალა და სოია.

კიროვის საშუალო სკოლის საწარმოო ბრიგადამ, რომელიც აერთიანებდა 60 მოსწავლეს, დაამზადა 30 ტონა სასილოსე მასალა, 2 ტონა სიმინდი, 5 ტონა ოვა, 500 იზაბელას რქა და სხვ.

შუაგორის, ყუძურისა და ტობანიერის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა გასული წლის სხვადასხვადროს (სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერი) მოუწყეს შეხვედრა სოფლის მოწინავე კოლმეურნეებს: ორგზის ლენინის ორდენოსან გრ. მაღლაკელიძეს, შრომის წითელი დროშის ორდენოსან მ. ადეიშვილს, გ. კაკაძეს, ა. ჩახუნაშვილსა და ნ. ოჩხიკიძეს. ძოაწყეს სასწავლო და საწარმოო ხასიათის ექსკურსიები, იყვნენ ქუთაისის ავტოქარხანაში, სათაფლიაზე, გელათში, ვანის № 68 პროფტექნიკურ სასწავლებელში, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში, ბათუმის მხატვრობის მცოდნეობის მუზეუმში.

1974-1975 სასწავლო წლისათვის შემოწმებულ სკოლებს პროფტექნიკურ სასწავლებელში გეგმით უნდა გაეგზავნათ 54 მოსწავლე, ფაქტიურად გაგზავნილია 64, ისინი აგრძელებენ სწავლას პროფტექნიკურ სასწავლებლებში (დადასტურებულია სასწავლებლებიდან გამოგზავნილი ცნობებით).

შემოწმებული სკოლების წლიურ სამუშაო გეგმაში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხები გამოკვეთილად არ არის მოცემული, ძირითადად ეს საკითხები ჩართული აქვთ და იხილავენ მაშინ, როდესაც სკოლას დღის წესრიგში აქვს ახალი სასწავლო წლისა და ზამთრისათვის მზადების საკითხები.

არც ერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის დარგში. გაფორმებებული არ არის შეთანხმებები სკოლის დირექტორებსა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებს შორის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებზე. ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის არ არის გაფორმებული აქტები კაბინეტ-

ლაბორატორიების, სახელოსნოებისა და საქვაბე . მეურნეობების მზადყოფნაზე, არ ტარდება ინსტრუქტაჟი მოსწავლეთა შორის შრომის უსაფრთხოების ტექნიკის წესების დასაუფლებლად. იგრძნობა თვალსაჩინო მასალების, პლაკატებისა და ინსტრუქციების ნაკლებობა.

შემოწმებულ სკოლებში სასწავლო საგნობრივი კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის განკუთვნილი სათავსოები ფართობითა და აღჭურვილობით ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელია, ამას ვერ ვიტყვით სახელოსნოებზე: 6 სკოლიდან მხოლოდ ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლას გააჩნია შესაფერისი სათავსო. დანარჩენი ხუთი სკოლიდან მიქელეფონის 8 წლიან და ტობანიერის საშუალო სკოლების სახელოსნოების სათავსოებს, თუ ჩაუტარდებათ კაპიტალური რემონტი, დროებით შეიძლება მათი გამოყენება, რაც შეეხება კიროვისა და შუაგორის საშუალო სკოლებს, აქ სახელოსნოების სათავსოები მიდგმულია უშუალოდ საქვაბის უკანა კედელზე და უფრო დროებით შეფიცრულ სადგომს წააგავს, ვიდრე სკოლისათვის განკუთვნილ ოთახს. აქ რაიმე ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიების გატარებაზე, სახელოსნოს უკეთ მოწყობასა და აღჭურვაზე ლაპარაკი ზედმეტია. პირველ რიგში უნდა გადაწყდეს შესაფერისი სათავსოს გამოყოფის საკითხი.

ყუმურის საშუალო სკოლას გააჩნია სახელოსნოსათვის განკუთვნილი ორი ოთახი (უფროსი მასწავლებელი შ. გიორგაძე). ერთ ოთახში, რომელიც ფართობია 12 კვ. მ., შეტანილია 2 სახარატო ხის დამმუშავებელი ჩარხი და ერთი ორმხრივ სალესი ჩარხი. ამ ჩარხების კორპუსები არაა დამიწებული, იატაკი მიწისაა, უსწორმასწორო. მეორე ოთახი ფართობით 48-50 კვ. მეტრია, იატაკი აქაც მიწისაა, ბუნებრივ განათებას მოკლებულია. აქ შეტანილი 7 სადურგლო სამუშაო დაზგიდან სამი უვარგისია ხმარებისათვის, არ არის არავითარი თვალსაჩინოება, პლაკატი, ინსტრუქცია და სხვ., საერთოდ, ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ შრომითი სწავლების გაკვეთილები ტარდება და თუ მაინც ტარდება, ვერ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნათა მინიმუმს, რაც დღეისათვის არის დასმული შრომითი სწავლების წინაშე.

მიქელეფონის 8-წლიანი სკოლის სახელოსნოში (უფროსი მასწავლებელი ა. ბვდენაშვილი, განათლებით-უმაღლესდაუმთავრებელი, ბიოლოგი (არსებულ კომბინირებულ მრგვალ ხერხებზე არ იყო დაყენებული ხერხის დამცველი გარსაცმი, წყობიდან იყო გამოსული ღილაკისებრი

ჩამრთველი, ორმხრივ სალესი ჩარხი მოკლებული იყო ერთ-ერთ ხელსაყრდენს.

ტობანიერის საშუალო სკოლის სახელოსნოში (უფ. მასწ. ა. ძოძუაშვილი) საბურღი ჩარხი საჭიროებს. გარსაცმის დაყენებას ღვედური გადაცემის დახურვისათვის, მოკლებულია დასამუშავებელი დეტალის დამჭერს. ორმხრივ სალესს არ გააჩნია დამცველი ეკრანი და ხელსაყრდენი.

ვანის საშ. სკოლის სახელოსნოში (უფ. მასწ. რ. ორმოცაძე) კომბინირებული მრგვალწერხა მოკლებული იყო ხერხის, სარანდი დანებისა და ღვედური გადაცემის დამცავ გარსაცმებს. ჩარხები არაა დამონტაჟებული სტაციონარულ ყრუდ დამაგრებულ სადგარებზე.

ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესად გამოსწორებისათვის დირექციას ადგილზე მიეთითა და დაევალა, დააწესოს მკაცრი კონტროლი სახელოსნოში არსებული ჩარხების გამართულობაზე.

*

* *

ვანის რაიონის ყველა სკოლაში ცალკეულ საგნებში შემოღებულია **ფაკულტატიური** სწავლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრგან მისი შინაარსი და დანიშნულება სწორად არ არის გაგებული. მაგალითად: სოფელ კიროვის საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. სანიკიძე) ფაკულტატიური მეცადინეობის საათები VII კლასში ეთმობა ქიმიას, რაც არასწორია. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ამაღლების საშუალო სკოლაში (დირექტორი რ. ძიგრაშვილი). ბევრგან ფაკულტატიური მეცადინეობის საათები მასწავლებელთა განაკვეთის შესავსებად არის გამოყენებული. ჯგუფებში სუსტი მომზადების მოსწავლეებია გაერთიანებული (შუამთის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. შენგელია).

*

* *

ახალგაზრდობის სწავლებისა და იდეურ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში გარკვეულ როლს ასრულებს **სასკოლო ბიბლიოთეკა.** კარგად მოწყობილი და გამართულად მომუშავე ბიბლიოთეკა კლასგარეშე მასობრივი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა.

ვანის რაიონის სკოლებში ბიბლიოთეკები აღმზრდელობითი მუშაობის არიერგარდში დგანან. მათი მოკრძალებული, ღარიბი ბიბლიოთეკო ფონდი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ახალგაზრდების ცოდნისადმი წყურვილსა და მისწრაფებას. ამის ისიც ემატება, რომ ზოგიერთ ბიბლიოთეკარს ფორმალურად უკავია ვაკანტური ადგილი

სოფ. კიროვის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 1080 ცალს შეადგენს. ბიბლიოთეკარი გ. ქარჩხაძე არავითარ მუშაობას არ ეწევა. მას არა აქვს სარეკომენდაციო საკითხავი წიგნების სია, არც კედლის გაზეთს უშვებს და არც მკითხველთა კონფერენციას ატარებს. მის სამუშაო გეგმაში ისეთი საკითხებია შეტანილი, რომელთა შესრულებაც არ ევალება (დიდ სამამულო ომში დაღუპულთა სიის დადგენა).

კარგად მუშაობს სოფ. ამაღლების საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა. მას საკმაოდ მდიდარი ფონდი (5600 წიგნი) და კეთილმოწყობილი სამკითველო დარბაზი აქვს. ბიბლიოთეკარ ც. საკანდელიძეს კარგად დაუმუშავებია ლიტერატურა და თაროებზე დარგებისა და თემატიკის მიხედვით განულაგებია. ბიბლიოთეკაში რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთები, ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, გამოფენები და სხვ. ბიბლიოთეკაში არის ვ. ი. ლენინის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც ექსპონატები პერიოდულად იცვლება. ბიბლიოთეკა აწყობს ლიტერატურულ გასამართლებას და სხვა.

როგორც ც. საკანდელიძემ განაცხადა, რაიონს 2 წელია არ დაუდია ხელშეკრულება ბიბკოლექტორთან, რის გამოც სკოლებს ამ ხნის განმავლობაში არავითარი დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა არ მიუღიათ.

ვანის რაიონის სკოლებში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა სხვადასხვა სახის საგნობრივი წრეები. მათ მუშაობას საფუძვლად უდევს ბავშვთა ნაირგვარი ინტერესები და მისწრაფებები.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ძირითადად მხატვრული და გამომეტყველებითი კითხვის წრეები აქვთ ჩამოყალიბებული. არის ქართული ლიტერატურის ისტორიის შემსწავლელი წრეც. მათი მუშაობის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ერთგვარ ფორმალურ, ზერელე ხასიათს ატარებს. არ ჩანს მონდომება და შემოქმედებითი მუშაობის სურვილი. წრეების მუშაობა ძირითადად ოქმებისა და დღიურების წერით შემოიფარგლება. მხოლოდ რამოდენიმე

სკოლაში შევხვდით კედლის გაზეთს, არსად არ ამზადებენ ხელმაწერ[illegible] ჟურნალებსა და ალმანახებს, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა გამოავლენდა ᲐᲮᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ნიჭსა და უნარს.

ვანის რაიონი დიდი პოეტების-გალაკტიონისა და ტიციანის სამშობლოა. სამწუხაროდ, ვერც ერთ შემოწმებულ სკოლაში ვერ ვნახეთ არათუ კაბინეტი, არამედ ამ დიდი პოეტებისადმი მიძღვანილი სტენდი თუ გამოფენა.

ფორმალურ ხასიათს ატარებს წრეობრივი მუშაობა უცხოურ ენებში. შუამთის საშუალო სკოლაში შექმნილია ზეპირმეტყველებისა და თარგმანის წრე, რომელიც ფაქტიურად არაფერს აკეთებს.

ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლაში უცხოური ენების წრეში VI-X კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებულნი. თავისთავად ეს ფაქტი გამორიცხავს წრის სერიოზულ, ნაყოფიერ მუშაობას.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის წრეების მუშაობა ვანის კიროვის სახელობისა და შუაგორის საშ. სკოლებში.

შედარებით უკეთესად მუშაობს ფიზიკის წრე ყუმურის საშუალო სკოლაში (ხელმძღვანელი ვ. ბ. რუხაძე).

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ნორჩ ნატურალისტთა წრეები სოფ. კიროვის, ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლებში.

*

* *

ვანის რაიონის სკოლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობას დამაკმაყოფილებლად ახორციელებს განათლების განყოფილება (ამხ. პ. კორძაძე). მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინსპექტორთა და მეთოდისტთა კადრების შერჩევისას საგანთა სხვადასხვაობა არ არის გათვალისწინებული:

1. კორძაძე პ. ა.—განათლების განყოფილების გამგე, გეოგრაფი, პედაგოგიური მუშაობის სტაჟი-23 წ.

2. ლორთქიფანიძე დ. ა.—ინსპექტორი, ფიზიკოსი, სტაჟი-30 წ.

3. ლომთათიძე შ. ლ.—ინსპექტორი, ისტორიკოსი, სტაჟი-23 წ.

4. ადეიშვილი ს. შ.—მეთოდკაბინეტის გამგე, გეოგრაფი სტაჟი—23 წ.

5. ნინოშვილი ნ. ი.—მეთოდისტი, ქართული ენა და ლიტ. სტაჟი-26 წ. ხელმძღვანელობს დაწყებით სწავლებას.

6. სოხანეიშვილი ს. ა.—მეთოდისტი, რუსული ენა, სტაჟი-2 წ.

7. ,ვაბუნია გ. შ.—სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტი, ... ბითი განათლების სპეციალისტი, სტაჟი-3 წ.

განათლების განყოფილებას არ ჰყავს ისეთი წამყვანი საგნების სპეციალისტები, როგორიცაა მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია.

განათლების განყოფილებას მუშაობაში დიდ დახმარებას უწევენ პარტიის ვანის რაიკომი და აღმასკომი, რომელნიც რეგულარულად იხილავენ რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა საკითხებს. ასე, მაგალითად: პარტიის რაიკომს 1974 წელს ბიუროს სხდომაზე განუხილავს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: „საპრასიის საშუალო და ზედაბზვანის რვაწლიან სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ"; „რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ";

„რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში გამოსაშვები გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ";

„შუამთის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ" და სხვ.

ვანის რაისაბჭოს აღმასკომს კი განუხილავს:

„დაბა ვანის კიროვისა და ტაბიძის სახელობის, შუამთისა და ამაღლების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისა და პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობის შესახებ";

„მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის დარგში სალხინოს, ძულუხის, შუამთისა და ტობანიერის საშუალო სკოლების მუშაობის შესახებ" და სხვ.

ვანის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას შემუშავებული აქვს სახალხო განათლების საბჭოს მუშაობის გეგმა, რომელშიც მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებია გათვალისწინებული. განყოფილების მუშაკებს შორის განაწილებულია ფუნქციები და თითოეული მათგანი აწარმოებს მის მიერ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას.

*

* *

სკოლებში სასწავლო მუშაობის წარმატების ერთ-ერთი განსაზღვრელი ფაქტორია მეთოდური დახმარება და მასწავლებელთა საქ-

მიანობისათვის სწორი მიმართულების მიცემა. ამ საქმეს რაიონის მასშტაბით ახორციელებს განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტი (გამგე ს. შ. ადეიშვილი). იგი ბევრ კარგ ღონისძიებას ატარებს მასწავლებელთა დახელოვნების, პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფის მიზნით.

მეთოდკაბინეტის მუშაობის ნაკლად უნდა ჩავთვალოთ საქმიანობის არასწორი დაგეგმვა და ნაკლები კონტროლი მეთოდკაბინეტში გაერთიანებული მთელი რიგი მომხსენებლებისა, რომლებიც დავალებული 2 მოხსენების ნაცვლად, როგორც წესი, ერთ მოხსენებას წარმოადგენენ ხოლმე. სერიოზული დახმარება სჭირდება მეთოდკაბინეტის ბიბლიოთეკას (ბიბლიოთეკარი ს. ბერძენიშვილი), რომელიც დღემდე არავითარ საქმიანობას არ ეწევა.

მეთოდკაბინეტის ნაკლია აგრეთვე ის, რომ მის საქმიანობაში დღემდე ვერავითარი ასახვა ვერ ჰპოვა ისეთმა მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, როგორიცა სკკპ ცკ-ის დადგენილება „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიურ კადრებთან მუშაობის შესახებ“, საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებები თბილისის 24-ე და ვეჯინის საშ. სკოლების შესახებ.

*
* *

უპატრონოდ მიტოვებული ორგანიზაციის შთაბეჭდილებას ტოვებს რაიონის ფილმოთეკა (გამგე ზ. მ. ხარძეიშვილი). სკოლები ნაკლებად ინტერესდებიან მასთან კავშირით. ამის შედეგია, რომ სოფ კიროვისა და საპარსიის საშუალო სკოლებში დღემდე არც ერთი ფილმი არ გაუტანიათ იქიდან. რვაწლიანი სკოლებიდან მხოლოდ დიხაშხოს და ციხესულორის სკოლებს მიაქვთ ხოლმე ფილმები. დაწყებითი სკოლები სრულიად გამოთიშულია ამ საქმიანობიდან.

გატანილ ფილმებს სკოლები გაკვეთილების გარეშე აჩვენებენ ბავშვებს, ხოლო გაკვეთილის ჩატარება სურათის თანხლებით არ ხდება.

ფილმოთეკაში მოუწესრიგებელია სკოლებზე ფილმების გაცემისა და იქიდან დაბრუნების საქმე. ზოგ სკოლას მთელი თვეების განმავლობაში უწყვია გატანილი ფილმები, მაგრამ არც მის დემონსტრირებას ახდენს და არც უკან აბრუნებს.

ფილმოტეკა უკრიტიკოდ ღებულობს ბაზიდან გაგზავნილ ყოველგვარ ფილმს. ამის შედეგია, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში არც ერთი ფილმი არ აქვს ფილმოტეკას. სამაგიეროდ, რუსული სკოლებისათვის გაგზავნილი 33 სურათი წლების განმავლობაში ინახება ადგილზე და არავითარი გამოყენება არ აქვს.

*

* *

ვანის რაიონის სკოლებში ჩატარებული მუშაობის შედეგები ფართოდ გაეცნო განათლების მუშაკთა აქტივს, რომლის სხდომა ჩატარდა 15 მარტს პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში. აქტივის კრებაზე მოწვეულ იქნა 200-ზე მეტი მასწავლებელი, სკოლის დირექტორი და მათი მოადგილეები. კრებას ესწრებოდნენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. კვანტალიანი, მდივანი ამხ. შ. გიორგაძე, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. თ. დვალიშვილი, რაიკომისა და აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები.

განათლების სამინისტროს ბრიგადის წევრებმა აქტივის მონაწილეებს გააცნეს შემოწმების შედეგები და ყურადღება გაამახვილეს სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. სიტყვებით გამოვიდნენ ბრიგადის ხელმძღვანელი რ. კანდელაკი და პარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი გ. კვანტალიანი.

რ. კანდელაკი (ხელმძღვანელი)
თ. მელქაძე
ნ. გორგობიანი
ე. ქუციკიძე
ჰ. თუთბერიძე
ს. აფხაიძე
ნ. თორაძე
ნ. ბენდიაშვილი
დ. გოგსაძე
ჯ. თოფურია
ლ. ჯანიაშვილი

ქ. თბილისი, 1975 წლის 4 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 22 მაისის ბრძანება № 408

საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების შესახებ

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1, მოსწავლეთა მისაღები კონტინგენტი 1975—1976 სასწავლო წლისათვის ოთხ IX კლასში დამტკიცდეს 120 მოსწავლის რაოდენობით.

2. მეცხრე კლასებში მიღებულ იქნენ 14—15 წლის ასაკის ვაჟები, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ რვა კლასს, კარგად ფლობენ რუსულ ენას და ჯანმრთელობის მდგომარეობით ვარგისნი აღმოჩნდებიან სამხედრო სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების დირექტორების, სამხედრო ხელმძღვანელების, ორგანიზატორების, მერვე კლასების ხელმძღვანელების, ადგილობრივი ალკკ კომიტეტების, სამხედრო კომისარიატებისა და მშობელთა კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით ა/წ 7 ივნისამდე ჩაატარონ სპეციალური თათბირები, სადაც გულდასმით განიხილონ ეს ბრძანება და სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატში მიღების პირობები.

—შექმნან კომისიები, რომლებიც უნარიანად უხელმძღვანელებენ რვაწლიან, საშუალო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში რვაკლასდამთავრებულთაგან სათანადოდ მომზადებული კანდიდატების დროულად შერჩევას რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის დასაკომპლექტებლად.

სკოლა-ინტერნატში მიღების პირობები დიწვრილებით გააცნონ მოსწავლეებს, სკოლების ხელმძღვანელებს, პედაგოგიურ კოლექტივებსა და მშობლებს;

—პირადი პასუხისმგებლობა დააკისრონ სკოლების დირექტორებს ამ ღონისძიების წარმატებით შესრულებისათვის;

—აქ მოცემული დანართის მიხედვით, ყოველ ორ კვირაში გაცნობონ შერჩეულ კანდიდატთა რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ, ხოლო ა/წ 15 ივლისამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებას წარუდგინონ საჭირო საბუთები ყველა შერჩეულ კანდიდატზე;

4. ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

—გააძლიერონ მოსწავლეებში სამხედრო პროფესიების პროპაგანდა ისე, რომ VIII კლ. მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს გამოუმუშავდეს მტკიცე მიდრეკილება, სწავლა განაგრძოს საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ—უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში, არჩეული პროფესიის მიხედვით;

—მერვე კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩაატარონ აუცილებელი პედაგოგიური მუშაობა, განუმარტონ მათ ამ ახალი ტიპის სკოლა-ინტერნატის მიზანი და ამოცანები, ვრცლად და საფუძვლიანად გააცნონ აღსაზრდელთათვის დაწესებული უპირატესობანი და შეღავათები;

—სასწავლო წლის დამთავრებამდე მოისმინონ სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, თუ როგორ სრულდება სამხედრო პროფესიების არჩევისადმი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მიერ დასახული ღონისძიებანი.

—შერჩეულ კანდიდატებთან სისტემატურად ჩაატარონ სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა და მეცადინეობა-კონსულტაციები რუსულ ენასა და მათემატიკაში.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს (გენერალ-მაიორ ვ. ი. მურუსიძეს), მითითება მისცეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარიატებს, რათა რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატისათვის შერჩეული კანდიდატები გაატარონ საექიმო კომისიაზე იმავე წესით, რაც დადგენილია სუვოროვის სამხედრო სასწავლებლებში შემსვლელთათვის.

6. ეთხოვოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს (ამხ. ე. კ. შარტავას) დაავალოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რათა ქმედითი დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ორგანოებს რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატისათვის მოსწავლე კომკავშირელთა რიცხვიდან ღირსეული კანდიდატების შერჩევის საქმეში.

7. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლებას" (ამხ. ნ. დ. შველიძეს), ფართოდ გააცნოს საზოგადოებრიობას რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის შექმნის მიზანი და ამ ახალი ტიპის სასწავლებელში სწავლის პირობები.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ა. ორახელაშვილმა) ყოველი თვის 15 და 30 რიცხვში მომახსენოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ. 22 მაისის ბრძანება № 413

დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის შესახებ

შემოწმებით დადასტურებულია, რომ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის საქმეში ჯერ კიდევ არაა სათანადო წესრიგი.

ძირითადი ნაკლი, ამ მხრივ, იმაში მდგოარეობს, რომ მოსამზადებელსა და პირველ კლასებში ბავშვების სკოლებში ჩარიცხვა ზოგ შემთხვევაში ხდება დაგვიანებით—სექტემბრის მეორე ნახევარში, ოქტომბერსა და ზოგჯერ ნოემბერშიც კი. ამასთან, რიცხავენ იმათაც, ვისაც 1-ელ ოქტომბრამდე არ უსრულდება 6 (7) წელი. სკოლაში ბავშვთა ჩარიცხვა ყოველთვის არ ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. ქალაქის ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეების ჩარიცხვისას არ არის დაცული მიკროორაიონების პრინციპი; ზოგჯერ, ქ. თბილისის ერთი რაიონიდან მეორეში, რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან სხვა ქალაქებისა და რაიონების სკოლებში მოსწავლეთა გადაყვანა ხდება დამაჯერებელი საფუძვლის გარეშე; ირღვევა მეათე კლასების მოსწავლეთა სხვა სკოლაში გადაყვანის წესი და სხვ. ხშირია შემთხვევები, როცა სკოლები და განათლების განყოფილებანი მშობლებს განათლების სამინისტროში აგზავნიან ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ადგილებზევე შეიძლება და, პირიქით, ადგილებზე წყდება საკითხი, რომელიც განათლების განყოფილებისა თუ განათლების სამინისტროს კომპენტენციაში შედის. ყოველივე ეს ზედმეტად აჭიანურებს და ართულებს საქმეს, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მშობელთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის საქმეში არსებულ დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი წესები დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის შესახებ დამტკიცდეს (თან ერთვის).

2. განემარტოთ სკოლების დირექტორებს (გამგეებს), რომ ამ წესის დარღვევა განიხილება, როგორც სახელმძღვანელო მითითებათა უგულებელყოფა და მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოსა და სახალხო განათლების ინსპექციას, მტკიცე ზედამხედველობა დააწესონ თანდართული წესების შესრულებაზე და და უზრუნველყონ ცხოვრებაში მათი ზუსტად გატარება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 15 მაისის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
20 მაისი, 1975 წელი

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სსრ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის შ ე ს ა ხ ე ბ

მოსამზადებელ კლასში ჩაირიცხებიან ის ბავშვები, რომელთაც 1-ელ ოქტომბრამდე უსრულდებათ 6 წელი, 1-ელ კლასში კი ისინი, ვინც ამ დრომდე 7 წლისა ხდება.

სოფლის სკოლების მოსამზადებელ და პირველ კლასებში ჩაირიცხებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უფრო ახლო მდებარე სკოლაში.

ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დაბების სკოლების ამ კლასებში ჩარიცხვა ხდება დაწესებული მიკრორაიონების მიხედვით. მეზობელი სკოლის მოსამზადებელსა და პირველ კლასებში ბავშვის ჩარიცხვა, გამონაკლისის წესით, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის უფროსი და-ძმა ან მისი ოჯახის რომელიმე სხვა წევრი სწავლობს ამ მეზობელ სკოლაში და თუ, ამასთან ერთად, ეს არ იწვევს მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირებას იმ სკოლაში, რომლის მიკრორაიონში ცხოვრობს ბავშვი,

ყოველ ასეთ გამონაკლისზე სათანადო ნებერთვას იძლევა რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილება, ქ. თბილისში კი რაიონული განათლების განყოფილებანი.

მოსამზადებელსა და პირველ კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა, სასწავლო წლების მიხედვით, ფორმდება სათანადო ბრძანების წიგნში.

2. მოსამზადებელი კლასებისა და I—IX კლასების მოსწავლეთა გადაყვანა სკოლიდან სკოლაში.

მოსწავლეები, როგორც წესი, სწავლობენ იმ მიკრორაიონის სკოლებში, სადაც მათი დედ-მამა ან მათი შემცვლელი პირები ცხოვრობენ. მოსწავლის გადაყვანა სხვა სკოლაში შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ოჯახი იცვლის საცხოვრებელ ადგილს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სხვა პირობებში ერთი სკოლიდან მეორეში მოსწავლის გადაყვანა ხორციელდება სკოლის დირექტორის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქის, რაიონის განათლების განყოფილების ნებართვით.

მოსწავლეთა გადაყვანის ნებართვას მოსამზადებელი კლასიდან მეცხრე კლასამდე (ჩათვლით) იმ სკოლის დირექტორის მიერ გაცემული დასაბუთებული შეამდგომლობის საფუძველზე, რომლიდანაც მოსწავლე გადადის, იძლევიან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში—შესაბამისი განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში შესაბამისი სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში მოსწავლის გადაყვანის უფლების მისაღებად მშობელმა შესაბამის განათლების განყოფილებას, განცხადებასთან ერთად, უნდა წარუდგინოს მოსწავლის წარმატების ფურცელი, დახასიათება, იმ სკოლის მიკრორაიონში საცხოვრებლად ჩაწერის ცნობა, რომელშიც გადადის და სკოლის დირექტორის დასაბუთებული შუამდგომლობა.

იმ სკოლის ხელმძღვანელობა, საიდანაც გადადის მოსწავლე, შესაბამისი სკოლიდან სათანადო წერილობითი დასტურის საფუძველზე დაუყოვნებლივ ფოსტით ან სპეციალური პირის ხელით უგზავნის მას მოსწავლის პირად საქმეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სხვა სკოლაში გადასული მოსწავლე დირექტორის ბრძანებით დაუყოვნებლივ უნდა ამოირიცხოს ამ სკოლის მოსწავლეთა სიიდან.

მოსწავლეთა გადაყვანა, როგორც წესი, ხდება სასწავლო წლის დაწყებამდე (1-ელ სექტემბრამდე), აუცილებლობის შემთხვევაში კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ 1-ლი და მე-2 მეოთხედის ბოლოს. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა დირექტორის ბძანებით ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მან მიიღო მისი პირადი საქმე.

3. რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულ მოსწავლეთა ჩარიცხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროს კლასებში ღა სხვადასხვა სასწავლებლებში.

რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულთა ჩარიცხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროს კლასებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალური განათლების სკოლებში (ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში) წარმოებს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე.

იმ მოსწავლეებს, რომლებიც იგზავნებიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ხელზე ეძლევათ რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობა და სათანადო საგზური იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სახელზე, რომელშიც იგზავნება იგი; რვაწლიანი სკოლის მოწმობა ასევე ხელზე ეძლევათ იმ მოსწავლეებსაც, რომლებსაც სურთ ისწავლონ ტექნიკუმებსა და მათთან გათანაბრებულ სასწავლებლებში.

რვაწლიანი სკოლის იმ რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეთა მოწმობები, რომლებიც სწავლას განაგრძობენ ამავე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში, რჩება ადგილზე.

ამასთან, რვაკლასდამთავრებული ყოველი მოსწავლე კურსის დამთავრების მოწმობას პირადად იღებს მოწმობების გაცემის სათანადო წიგნში ხელმოწერის შემდეგ და სკოლის დირექციის სახელზე წერს განცხადებას იმის შესახებ, თუ სად სურს სწავლის გაგრძელება. თუ მოსწავლეს სურს იმავე სკოლაში გააგრძელოს სწავლა, ეს უნდა გაფორმდეს სკოლის დირექტორის ბრძანებით IX კლასში მისი ჩარიცხვის შესახებ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სკოლის ხელმძღვანელობას ყოველ რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეზე უნდა ჰქონდეს ოფიციალური ცნობები მათი სწავლისა და შრომითი საქმიანობის შესახებ.

ყოველი რვაწლიანი და საშუალო სკოლა ზედამხედველობას აწესებს იმ რვაკლასდამთავრებული მოსწავლეების სასწავლო საქმიანობაზე, რომლებიც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სკოლებსა თუ სპეციალური საშუალო განათლების სასწავლებლებში

სწავლობენ და ღებულობს ოპერატიულ ზომებს, რათა რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლე არ დარჩეს სწავლების გარეშე. საჭიროებისას, სათანადო ზომების მიღების მიზნით, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორები მოსწავლის შესახებ სვამენ საკითხს რაიონის ან ქალაქის საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების წინაშე.

4. მეათე კლასის მოსწავლის სკოლიდან სკოლაში გადაყვანა

მოსწავლეთა გადაყვანა ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის X კლასიდან მეორეში დასაშვებია მხოლოდ ისეთ პირობებში:

ა) როცა ოჯახი იცვლის საცხოვრებელ ადგილს და ამის შესახებ არსებობს ოფიციალურად დამადასტურებელი ცნობები მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოებიდან და და სახლმმართველობებიდან;

ბ) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) როცა განათლების ორგანოებს პედაგოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნიათ მოსწავლემ შეიცვალოს სკოლა.

მეათე კლასის მოსწავლის გადაყვანა სხვა სკოლაში, რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილების დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მიერ.

მეაფე კლასებიდან მოსწავლის გადაყვანა, როგორც წესი, ზემოთ აღნიშნული პირობების დაცვით, წარმოებს სასწავლო წლის დაწყებამდე, აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო წლის I და II მეოთხედის ბოლოს, სხვა დროს მეათეკლასელი მოსწავლის გადაყვანა აკრძალულია.

მეათეკლასელი მოსწავლეების გადაყვანა თუ ჩარიცხვა სკოლებში, სათანადო ნებართვის საფუძველზე, ფორმდება სკოლის ბრძანებათა წიგნში.

5. ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა შვილების სწავლის შესახებ.

განათლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება ეძლევათ ქალაქად მცხოვრებ იმ მოსწავლეებს, რომელთაც ოჯახური პირობების გამო არა აქვთ საშუალება თავიანთი შვილები ატარონ მათ საცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელ ადგილზე არსებულ სკოლებში, დართონ ნება VIII კლასის დამთავრებამდე შვილების ჩარიცხვაზე იმ სკოლებში, რომლებშიაც ეს მასწავლებლები მუშაობენ. VIII კლასის დამთავრების შემდეგ, თუ ისინი სწავლას აგრძელებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უნდა ისწავლონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განკუთვნილ მიკრორაიონების სკოლებში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
სკოლების სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. Приказ № 317—Об утверждении отчета по Республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР за 1974 г.

2. ბრძანება № 348 „ბელორუსიის პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებისა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1974 წ. 14 ოქტომბრის № 857 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ ქ. თბილისის ორჯონიკიძის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების საღამოს საშუა-ლო სკოლებში 6

3. ბრძანება № 356—1974 წლის IV და 1975 წლის I კვარტალში სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასურსათო პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების მდგომარეობის შესახებ 17

4. ბრძანება № 356-ის დანართი 26

5. ბრძანება № 362—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტურობის შემოწმების შედეგების შესახებ 26

6. ბრძანება № 363—გეგეჭკორისა და სამტრედიის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, გაშვილებისა და მეურვეობა-მშრუნველობის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 24 აპრილის № 336 ბრძანების შესრულების შესახებ 30

7. ბრძანება № 384—თბილისის სახალხო განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ 32

8. ბრძანება № 404—ჩოხატაურის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 39

9. ბრძანება № 406—სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე /სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ვანის რაიონში 43

10. ბრძანება № 408—საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ ... ლესელიძის სახელობის სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების შესახებ 95
11. ბრძანება № 413—დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის შესახებ 98
12. წესები—საქართველოს სსრ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის შესახებ . . 100